WFD

UKaid
from the British people



ქალებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება საქართველოში

კვლევის ანგარიში

კვლევის ავტორები:

მარიამ დევიძე | გარემოსდაცვისა და კლიმატის ცვლილების მკლევარი
მანანა ქოჩლაძე | გარემოსდაცვისა და კლიმატის ცვლილების ექსპერტი
სოფო დავითური | გენდერული თანასწორობის ექსპერტი

ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის თანამშრომლების დახმარებით:

ლაშა ნაკაშიძე | WFD-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში
რაფაელ ხიმენეს აიბარი | ტექნიკური საკონსულტაციო განყოფილების გარემოსდაცვითი დემოკრატიის მრჩეველი
სესილია მაკონიოლა | პრაქტიკის, ინკლუზიის ხელმძღვანელი
ქეთევან ჩადუნელი | პროგრამის მენეჯერი

დოკუმენტი მომზადდა ავტორების მიერ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) პროგრამის “გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის და დემოკრატიული მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში” ფარგლებში.

აღნიშნულ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის მოსაზრებებსეს.

ქალებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება საქართველოში

კვლევის ანგარიში

ოქტომბერი, 2023

შინაარსი

კვლევის მიმოხილვა 4

კვლევის შედეგები 6

01 შესავალი 10

02 თეორიული საფუძველი და კონცეფციები 14

1 ადაპტაცია, შერბილება და მოწყვლადობა 17
2 გენდერი და კლიმატის ცვლილება 17
3 ძალაუფლება და შესაძლებლობები 18
4 ინტერსექციური მიდგომა გენდერისა და კლიმატის ცვლილების მიმართ 20
5 დასკვნა 21

03 გენდერული უთანასწორობა საქართველოში 22

1 ქალების ჩართულობა პოლიტიკაში და ძალაუფლება 25
2 ქალები და შრომის ბაზარზე მონაწილეობა 25
3 ქალები და სიღარიბე 28
4 ქალები და ჯანმრთელობა 28
5 ქალთა მიმართ ძალადობა 29

04 სოციალურ-კლიმატური მგრძნობელობა საქართველოში 30

1 კლიმატის ცვლილების ზემოქმედება საქართველოში 32
2 ურთიერთდამოკიდებულება კლიმატის ცვლილებასა და სოციალურ მოწყვლადობას შორის 33

05 მეთოდოლოგია 36

1 კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები 38
2 კვლევის მეთოდები 39
2.1. თვისებრივი კვლევის მეთოდები 39
2.2. რაოდენობრივი კვლევა 41

06 მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები 44

1 კლიმატის კრიზისის კანონზომიერებები და ზემოქმედება საქართველოში მცხოვრებ ქალებზე 46
2 ქალთა მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში და სისტემური პრობლემები, რომლებიც კლიმატის კრიზისთან ადაპტაციისთვის მათ შესაძლებლობებს აქვეითებენ 51
2.1. ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც მოწყვლადობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი 51
2.2. ქალების პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან 54
2.3. საბაზისო სოციალური სერვისების არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები 56
2.3.1. წვდომა სამედიცინო სერვისებზე 58
2.3.2. წვდომა კლიმატთან დაკავშირებულ განათლებაზე 59
2.3.3. წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე 60
2.3.4. წყალმომარაგების პრობლემები 62
2.3.5. ზრუნვის სისტემების არსებობის მნიშვნელობა 62
2.4. აქტივებზე წვდომა და მათი კონტროლი 63

3 ქალების სპეციფიკური მოწყვლადობა, რომელიც ძირითადად გამოწვეული ან გაძლიერებულია საქართველოში კლიმატის ცვლილების ზემოქმედებითა და ტენდენციებით 64
3.1. ზემოქმედება სოფლის მეურნეობაზე, როგორც ქალთა შრომის კატეგორიაზე 65
3.2. კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ჯანმრთელობაზე 67
3.3. გაუარესებული გარემო პირობები 67
3.4. ეკონომიკური პირობები და ზემოქმედება ადამიანების კეთილდღეობაზე 69
4 კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გავლენის ქვეშ მყოფი ქალების კონკრეტული ჯგუფების მოწყვლადობა და ინტერსექციურობის კონცეფცია 71
5 პოლიტიკური სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ ქალებსა და კლიმატთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე გავლენის ან დადებითი ცვლილების მოხდენა 74
5.1. უწყებების რეაგირება (უმოქმედობა) კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებზე 74
5.2. ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც მნიშვნელოვანი სუბიექტი კლიმატის ცვლილების მართვის გაუმჯობესების საქმეში 78
5.3. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი კლიმატის სამართლიანობის მიღწევის საქმეში 79
5.4. მედიის საშუალებით კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელობა 80
6 სივრცეები და პრაქტიკები რომლებიც ხელმისაწვდომია ქალებისათვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ან გამწვავებული მოწყვლადობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად 80
6.1. სამეზობლო და არაფორმალური ადგილობრივი ჯგუფები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებისათვის 80
6.2. ქალების შესაძლებლობების გაძლიერება მცირე მასშტაბის კლიმატგონივრული წარმოების ხელშეწყობის გზით 81
6.3. კოოპერატივების გაძლიერება სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალების მედეგობის გასაზრდელად 82
6.4. კლიმატის აქტივიზმის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ სივრცეებზე უფლების აღდგენა 83
6.5. ქალების ტრადიციული ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინება კლიმატის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში 84

07 დასკვნები 86

ლიტერატურა 90

კვლევის მიმოხილვა

შესავალი: კლიმატის ცვლილება მრავალწახნაგოვანი პრობლემაა, რომელსაც სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და განვითარებასთან დაკავშირებული შედეგები აქვს. მისი ზემოქმედება არათანაბრად არის გადანაწილებული, რაც მას სამართლიანობის საკითხად აქცევს. კლიმატის ცვლილება აძლიერებს არსებულ უთანასწორობას და არაპროპორციულად ზემოქმედებს ქალებზე, უმცირესობებზე და დაუცველ მოსახლეობაზე. კლიმატის სამართლიანობა გულისხმობს ამ უთანასწორო ზემოქმედებების აღიარებას და მათ მოგვარებას და ზომების მიღებას ამ უსამასაქართველოს კონტექსტში უმნიშვნელოვანესია კლიმატის ცვლილების სოციალური და გენდერული ზემოქმედების გაგება, თუმცა ეს საკითხი ჯერ შესწავლილი არ არის.

მოწყვლადობისა და მედეგობის თეორიული ცნებები: კლიმატის ცვლილების შედეგები მოწყვლადობასა და ადაპტაციაში გენდერული უთანასწორობის გათვალისწინებას მოითხოვს. კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებები ორიენტირებულია კლიმატის მომავალი ცვლილების შემცირებაზე, ხოლო ადაპტაცია კლიმატის ცვლილების მიმდინარე ან მოსალოდნელი შედეგების შეცვლას ითვალისწინებს. კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობაზე გავლენას ახდენს დაუცველობა, მგრძნობელობა და ადაპტაციის უნარი, რაც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შეიძლება განსხვავებული ჰქონდეთ. ხოლო მედეგობა ადაპტაციის შესაძლებლობასა და გარდაქმნის უნარს გულისხმობს. ირკვევა, რომ რესურსებისა და ძალაუფლების ხელმისაწვდომობაში არსებული უთანასწორობის გამო, კლიმატის ცვლილება ქალებზე არაპროპორციულ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს.

გენდერისა და კლიმატის ცვლილების მიმართ ინტერსექციური მიდგომა: ინტერსექციური მიდგომა სოციალური სტრატიფიკაციის მრავალი განზომილების ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავს და ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანის სოციალურ მდგომარეობაზე გავლენას სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ. ის აჩვენებს, თუ როგორ წარმოიქმნება ჩაგვრა ძალაუფლების მრავალი ღერძის ურთიერთქმედების შედეგად და ამით უნიტარული თუ ადიტიური მიდგომების მიმართ საკუთარ უპირატესობას აჩვენებს. ინტერსექციურობის კონცეფცია აღიარებს სოციალური კატეგორიების დინამიურ და ურთიერთდაკავშირებულ ბუნებას და მათ როლს ძალაუფლების დინამიკისა და ისეთი სისტემების გამყარებაში, როგორიცაა კაპიტალიზმი და პატრიარქატი. კლიმატის სამართლიანობა გენდერს, ძალაუფლებასა და კლიმატის ცვლილებას შორის არსებული, ერთმანეთში გადახლართული ურთიერთობების დადგენას მოითხოვს. ინტერსექციური მიდგომა უზრუნველყოფს ძალაუფლების რთული და განვითარებადი დინამიკის უფრო სრულყოფილ გაგებას, რაც იძლევა იმ სოციალური და პოლიტიკური პირობების უფრო ზუსტად შეფასების შესაძლებლობას, რომლებიც კლიმატის ცვლილების მართვაზე გავლენას ახდენენ.

გენდერული უთანასწორობა საქართველოში: ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გენდერული კვოტის დაწესების შედეგად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში ქალების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა დასაქმებისას ისინი კვლავ დისკრიმინაციას განიცდიან. გენდერული უთანასწორობა ფიქსირდება შრომის ბაზარზე, სადაც ქალების მონაწილეობის მაჩვენებელი მამაკაცების მონაწილეობის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. გენდერული სახელფასო განსხვავება საქართველოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს - ქალების შრომის ანაზღაურება მამაკაცების შრომის ანაზღაურებაზე მნიშვნელოვნად დაბალია. გარდა ამისა, ქალებს ხშირად არ აქვთ წვდომა ბავშვების მოვლის სერვისებზე, რაც მათ მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევს.

საქართველოში მცხოვრები ქალების მნიშვნელოვან ნაწილს ფინანსური არასტაბილურობის პრობლემა აქვს. დედობის დაცვის პოლიტიკა სათანადოდ არ ხორციელდება, რომლის შედეგადაც ეკონომიკურად არააქტიური და უმუშევარი ქალები მოწყვლადები ხდებიან. ზოგიერთი ქალი ეკონომიკური გაჭირვების გამო საზღვარგარეთ მიდის სამუშაოდ. გარდა ამისა, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია არასათანადო სამედიცინო სერვისის, კონტრაცეპტივების შეზღუდული ხელმისაწვდომობისა და ადრეული ქორწინების პრაქტიკის გამო. ოჯახში ძალადობა, ფემიციდის შემთხვევების ზრდასთან ერთად, ქვეყნის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ბევრი ქალი აცხადებს, რომ ძალადობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის ემოციური, ეკონომიკური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებების სიმცირე განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სირცხვილის გრძნობა, ფინანსური პრობლემები და შიში.

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგიის თავში აღწერილია მიდგომა, რომელიც გამოყენებულ იქნა ქალების იმ მოწყვლადობის შესასწავლად, რომელსაც საქართველოში კლიმატის ცვლილების ზემოქმედება და ტენდენციები კიდევ უფრო ამწვავებს. კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართულ საზოგადოებაში გენდერული თანასწო-

რობისა და ქალების როლის შესწავლა, აქტივებზე მათი წვდომისა და აქტივებზე კონტროლზე, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილებით. ის ამოცანად ისახავს, დაადგინოს, თუ როგორ მოქმედებს გენდერული უთანასწორობა და ტრადიციული გენდერული როლები კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ ქალთა მოწყვლადობაზე. კვლევაში შესწავლილია ურთიერთკავშირი ქართულ საზოგადოებაში არსებულ სისტემურ პრობლემებს, კლიმატის ცვლილებასა და ქალთა მოწყვლადობას შორის. გამოვლენილია კლიმატის ცვლილების ზემოქმედება როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში მცხოვრებ ქალებზე. გარდა ამისა, კვლევაში გამოკვეთილია შესაძლებლობები, ტრადიციული ცოდნა და გადაწყვეტები ქალების შესაძლებლობების გასაძლიერებლად და კლიმატის ცვლილების მიმართ მათი მედეგობის გასაზრდელად.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ერთობლიობა მრავალფეროვანი კლიმატის, სოციალური დინამიკის და საქართველოში ქალთა კონკრეტული ჯგუფებისათვის დამახასიათებელი მოწყვლადობის გასათვალისწინებლად.

სამაგიდე კვლევა: შეგროვდა ზოგადი ინფორმაცია კლიმატის ცვლილების მიმართ ქალთა მოწყვლადობის შესახებ და საქართველოსთვის დამახასიათებელი მონაცემები.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვა: ჩატარდა ინტერვიუები სამინისტროს წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან გენდერის საკითხებში, რომლებსაც აქვთ ცოდნა საქართველოში მცხოვრებ ქალებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ.

ჩაღრმავებული ინტერვიუები: ჩატარდა დეტალური ინტერვიუები სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელ ქალებთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, გარემოსდაცვით აქტივისტებთან და ბიზნესის მფლობელებთან, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად. ჯამში ჩატარდა 10 ინტერვიუ.

რეპრეზენტატიული გამოკითხვა: რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად ჩატარდა ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა სოფლად და ქალაქებში მცხოვრები 760 ქალი. შერჩევის ცდომილების ზღვარი 95%-ანი სანდოობით 3.6%-ია. შერჩევის რეპრეზენტატიულობის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ იქნა ალბათური შერჩევის მოდელი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ქალების ასაკი და დასახლების ტიპი.

სამაგიდე კვლევა: შეგროვდა ზოგადი ინფორმაცია კლიმატის ცვლილების მიმართ ქალთა მოწყვლადობის შესახებ და საქართველოსთვის დამახასიათებელი მონაცემები.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვა: ჩატარდა ინტერვიუები სამინისტროს წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან გენდერის საკითხებში, რომლებსაც აქვთ ცოდნა საქართველოში მცხოვრებ ქალებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ.

ჩაღრმავებული ინტერვიუები: ჩატარდა დეტალური ინტერვიუები სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელ ქალებთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, გარემოსდაცვით აქტივისტებთან და ბიზნესის მფლობელებთან, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად. ჯამში ჩატარდა 10 ინტერვიუ.

რეპრეზენტატიული გამოკითხვა: რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად ჩატარდა ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა სოფლად და ქალაქებში მცხოვრები 760 ქალი. შერჩევის ცდომილების ზღვარი 95%-ანი სანდოობით 3.6%-ია. შერჩევის რეპრეზენტატიულობის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ იქნა ალბათური შერჩევის მოდელი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ქალების ასაკი და დასახლების ტიპი.

კვლევის შედეგები:

კლიმატის კრიზისის კანონზომიერებები და ზემოქმედება საქართველოში მცხოვრებ ქალებზე

კლიმატის ცვლილების ზემოქმედება: საქართველოში მცხოვრებმა ქალებმა კლიმატის ცვლილების რამდენიმე მნიშვნელოვანი ზემოქმედება დაასახელეს. ესენია: გაძლიერებული გვალვები, ნიადაგის ეროზია, გახშირებული ძლიერი ქარი, სითბური ტალღები, არაპროგნოზირებადი ამინდი, გახშირებული სეტყვა და მოკლე გაზაფხული და შემოდგომა. მათ ასევე თოვლის რაოდენობის კლება და ყინვების შესუსტებაც აღნიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად მცხოვრები ქალები აცნობიერებენ, მათ აღქმა განსხვავებულია. სოფლად მცხოვრები ქალების აზრით, კლიმატის ცვლილება მათზე უფრო მწვავედ მოქმედებს და ამ საკითხის მიმართ მეტ ინტერესს იჩენენ.

ზემოქმედების კატეგორიები: კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ქალაქებსა და სოფლებში განსხვავებულია. მაგალითად, გვალვა სოფლად საკვების პროდუქტების მარაგებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნების შემცირებას იწვევს, ხოლო ქალაქებში, ძირითადად, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ჯანმრთელობასა და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაზე. სითბური ტალღები მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ორივე ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ქალებზე ახდენენ. გარდა ამისა, ქალები საუბრობენ უსაფრთხოების დონის შემცირებასა და სტრესის დონის ზრდაზე, როგორც კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზემოქმედებაზე.

ბუნებრივი კატასტროფების რისკი და მათზე რეაგირება: გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ ცხოვრობს საფრთხეების რისკის ზონაში, სადაც ხშირია ისეთი მოვლენები, როგორიცაა გვალვა, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და სეტყვა. ეს კატასტროფები ზიანს აყენებს მათ საცხოვრებელ სახლებს, ინფრასტრუქტურას, სასოფლო-სამეურნეო მიწებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, საძოვრებს და სხვა ნაგებობებს. ირკვევა, რომ კატასტროფების დროს ქალები დახმარებას ძირითადად ოჯახის წევრებისგან ან მეზობლებისგან ელიან. მათგან ძალიან ცოტა უკავშირდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, რაც კატასტროფებზე რეაგირების უფრო ძლიერი სისტემების აუცილებლობაზე მიუთითებს. გარდა ამისა, ქალები უკმაყოფილებას გამოთქვამენ კატასტროფების შესახებ ადრეული შეტყობინების პრაქტიკის არარსებობის გამო, ხაზს უსვამენ მზადყოფნის მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ შვილები ჰყავთ.

ქალთა მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში და სისტემური პრობლემები, რომლებიც კლიმატის კრიზისთან ადაპტაციისთვის მათ შესაძლებლობებს აქვეითებენ

სტრუქტურული უთანასწორობისა და კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის დაუცველობის გენდერული ასპექტები: დოკუმენტში ხაზგასმულია ის, თუ როგორ არაპროპორციულ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქართულ საზოგადოებაში ქალებზე ისეთი სტრუქტურული უთანასწორობა, როგორიცაა უთანასწორობა დასაქმებაში და უთანასწორობა რესურსებისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობაში. ეს უთანასწორობა ქალებს ხელს უშლის საკუთარი სოციალური უფლებების რეალიზებასა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაში, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს გარე პრობლემებთან, კერძოდ კლიმატის ცვლილებასთან, ქალების ადაპტაციის შესაძლებლობებს. მოწყვლადობა განმარტებულია, როგორც სტრუქტურული მდგომარეობა და შესწავლილია კავშირები უთანასწორობასა და კლიმატის კრიზისს შორის.

ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც მოწყვლადობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი: სტაბილური შემოსავალი ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან გამკლავების უნარის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ ქალების მნიშვნელოვან რაოდენობას არ აქვს სტაბილური შემოსავალი და დამოკიდებულია შემოსავლის სხვა წყაროებზე, როგორიცაა სახელმწიფო პენსია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაცია ან ფულადი გზავნილები. ირკვევა, რომ ბევრი ქალის შემოსავლის ოდენობა არ არის საკმარისი მათი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ქვეყანაში ქალების საშუალო თვიურ ხელფასს არ აღემატება.

ქალების პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან: ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციით მიღებული თანხა საკუთარი სტაბილური შემოსავლის წყაროს ქალების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის წარმოადგენს. ბევრი ქალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს

საკუთარი ოჯახის მიერ მოხმარების მიზნით აწარმოებს. რესურსებზე შეზღუდული წვდომისა და ცვალებადი გარემო პირობების გამო სოფლის მეურნეობაში ჩართული ზოგიერთი ქალი სირთულეებს აწყდება. დოკუმენტში განხილულია, თუ როგორ განსხვავდება ამ საქმიანობაში ქალებისა და მამაკაცების როლი და მოტივაცია, რაც კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის განსხვავებულ შრეებს ასახავს.

საბაზისო სოციალური სერვისების არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები: ძირითად სოციალურ სერვისებზე წვდომა კრიზისებისა და კლიმატის ცვლილები მიმართ ქალების მედეგობისა და მათთან გამკლავების უნარის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. დოკუმენტში განხილულია ცენტრალურ და პერიფერიულ დასახლებებს შორის ამ სერვისებზე წვდომის კუთხით არსებული განსხვავებები, რაც ქალებზე არაპროპორციულ ზემოქმედებას ახდენს. აღნიშნულია სოფლად ინფრასტრუქტურის, სერვისებისა და სამედიცინო ობიექტების ნაკლებობა, აგრეთვე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემები მობილობასა და სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

წვდომა სამედიცინო სერვისებზე: ანგარიშში განხილულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის პრობლემები, რომლებსაც ქალები აწყდებიან სამედიცინო სერვისებზე წვდომისას და წამლების მაღალი ფასი. საუბარია სოფლად კვალიფიციური ექიმების, სამედიცინო ტექნოლოგიებისა და სათანადო სამედიცინო დაწესებულებების ნაკლებობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ზოგიერთი ქალი ჯანდაცვის უფასო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრობს.

წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე: დოკუმენტი იკვლევს ქალაქებში და სოფლად საზოგადოებრივ ტრანსპორტთან წვდომასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ქალების მობილობასა და შესაძლებლობებზე. განხილულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის კუთხით სოფლებსა და ქალაქებს შორის არსებული განსხვავებები. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებაზე, ნახსენებია ამინდი და კლიმატური პირობები. აღნიშნულია, რომ ცუდი ამინდი ხშირად საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას აფერხებს.

წყალმომარაგების პრობლემები: დოკუმენტში განხილულია წყალმომარაგების პრობლემები, რომლებსაც ქალები აწყდებიან, განსაკუთრებით სოფლად, და ის, თუ როგორ მწვავდება ეს პრობლემები ზაფხულში. წყლის დეფიციტი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს სოფლის მეურნეობაზე, საოჯახო საქმეებსა და ზოგადად ცხოვრების ხარისხზე. ქალები აღნიშნავენ, რომ მათ უწევთ წყლის მოტანა და ასახელებენ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა დიდი მანძილი წყაროებამდე და დამოკიდებულება წყლის რეზერვუარებზე.

აქტივებზე წვდომა და მათი კონტროლი: ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბევრ ქალს არ აქვს კერძო საკუთრება ან აქტივები და რომ ამ კუთხით ქალაქებში და სოფლად ვითარება განსხვავებულია. განხილულია სიტუაცია მიწის რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით და აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ოჯახი ფინანსური მიზეზების გამო მიწას ქალის სახელზე არეგისტრირებს. ასევე აღნიშნულია ოჯახების დახმარების კუთხით სახელმწიფოს შერჩევითი მიდგომა მიწის ნაკვეთების სიდიდის მიხედვით, რამაც მცირე ნაკვეთების მქონე ქალებზე, შესაძლოა, არაპროპორციული უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს. ზოგადად, დოკუმენტში ხაზგასმულია კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის გენდერული განზომილებები, განსაკუთრებით რესურსებზე, სერვისებზე და შესაძლებლობებზე წვდომის კუთხით.

საქართველოში მცხოვრები ქალების მოწყვლადობა, რომელიც ძირითადად გამოწვეული ან გაძლიერებულია საქართველოში კლიმატის ცვლილების ზემოქმედებითა და ტენდენციებით

ზემოქმედება სოფლის მეურნეობაზე, როგორც ქალთა შრომის კატეგორიაზე: მცირე სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებში მომუშავე ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილების მიმართ. ტემპერატურის მატება და ამინდის ცვალებადობა მეტ ძალისხმევასა და რესურსებს მოითხოვს, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და მარცვლეულის მოსაყვანად. ეს პრობლემები არაპროპორციულად აისახება ქალებზე, რადგან მცირემასშტაბიან სოფლის მეურნეობას ძირითადად ქალები ეწევიან. კლიმატის ცვლილება აფერხებს სოფლის მეურნეობის წარმოებას, რაც მოსავლის შემცირებას, ხარჯებს ზრდასა და სამუშაო ძალის გაზრდის საჭიროებას იწვევს. სოფლის მეურნეობაში ჩართულ ქალებს ამ ცვალებად პირობებთან ადაპტაციისათვის საჭირო რესურსები და ცოდნა ხშირ შემთხვევაში არ აქვთ. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევით ფერმერების მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროების აღქმის არარსებობის, საკმარისი ინფორმაციის ნაკლებობისა და სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის მაღალი ფასის გამო.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ჯანმრთელობაზე: კლიმატის ცვლილება უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალების ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით იმ ქალების ჯანმრთელობაზე, რომლებიც

დაუცველი არიან ტემპერატურის ძლიერი ცვალებადობისა და გარემოსდაცვითი საფრთხეების მიმართ. განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ქრონიკული დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, ვინაიდან მათ, როგორც საკუთარ ფიზიკურ, ასევე მათი ჯანმრთელობისთვის ამინდის ცვლილებებით გამოწვეულ პრობლემებთან გამკლავება უწევთ. ფოკუს ჯგუფების მონაწილე ქალები საუბრობენ იმაზე, თუ როგორ იწვევს კლიმატის ცვლილება არტერიული წნევის მომატებასა და სტრესს, რაც მათ სამედიცინო დახმარებაზე უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის. გარდა ამისა, ჰაერის ხარისხის გაუარესება ალერგიული დაავადებების მქონე ქალების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

გაუარესებული გარემო პირობები: კლიმატის ცვლილება გარემოსდაცვით გამოწვევებს აძლიერებს. ამასთან, ქალაქებსა და სოლად მცხოვრები ქალები განსხვავებულ პრობლემებზე საუბრობენ. ქალაქებში მცხოვრებ ქალებს აწუხებთ ისეთი პრობლემები, როგორიცაა ჰაერის დაბინძურება, გაზრდილი საგზაო მოძრაობა და უსისტემო ურბანული განვითარება, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ქალაქებში მცხოვრები ქალებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბუნებრივი და მწვანე სივრცეები იმ დროს, როდესაც ქალაქებში ასეთი სივრცეების ფართობი სულ უფრო და უფრო მცირდება. გარდა ამისა, ჯანსაღი საკვები სულ უფრო რთულად ხელმისაწვდომი და ძვირი ხდება. მათგან განსხვავებით, სოფლად მცხოვრები ქალები საუბრობენ გარემოსდაცვით პრობლემებზე, რომელთაგან ზოგიერთი გამოწვეულია სამრეწველო და სამთო-მოპოვებითი ობიექტების მუშაობით, ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენებით, კლიმატის ცვლილებით, და სხვა.

უსაფრთხოება და ზემოქმედება კეთილდღეობაზე: კატასტროფების რისკის ზონებში მცხოვრები ქალების ნახევარზე მეტს დაბალი შემოსავალი აქვს, რამაც, შესაძლოა, კლიმატის ცვლილებისთვის მზადყოფნისა და მასთან ადაპტაციის მათი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეამციროს. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ ბევრ ოჯახს არ აქვს კატასტროფების რისკისა და მათ მიერ გამოწვეული ზიანის შესამცირებლად საჭირო ნივთები, როგორიცაა პირველადი დახმარების ნივთები, ჰიგიენური საშუალებები და გათბობისა და განათების ალტერნატიული წყაროები. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაც. ქალაქებში და სოფლად მცხოვრებ ბევრ ქალს აწუხებს ისეთი პრობლემები, როგორიცაა სახლების ცუდი მდგომარეობა, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართობი და ისეთი ინფრასტრუქტურის არქონა, როგორიცაა საკანალიზაციო სისტემა.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გავლენის ქვეშ მყოფი ქალების კონკრეტული ჯგუფების მოწყვლადობა და ინტერსექციურობის კონცეფცია

ანგარიშში განსაზღვრულია ქალების რამდენიმე სახის სოციალური სტატუსი და მახასიათებელი, როგორიცაა ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, დედობა, სოციალური მდგომარეობა, და სხვ. ანალიზიდან ირკვევა, რომ ხანდაზმული და ეკონომიკურად დაუცველი ქალები უფრო მოწყვლადები არიან, ამავდროულად იკვეთება აშკარა კავშირი გენდერთან, შემოსავალსა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა საფრთხეების რისკის ზონებში მცხოვრები ქალების ნახევარზე მეტს დაბალი შემოსავალი აქვს, რამაც, შესაძლოა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მათი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეამციროს. ტექსტში ასევე საუბარია კლიმატის ცვლილების ზემოქმედებაზე ისეთი კონკრეტული ჯგუფების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, როგორიცაა იძულებით გადაადგილებული პირები და ეკომიგრანტები. ასევე წარმოდგენილია ქალთა ისეთი სხვა ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მოწყვლადობა, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობები, ქვიარები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ა.შ.

პოლიტიკური სუბიექტების როლი კლიმატის ცვლილების შედეგად ქალების წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევაში

დოკუმენტში ხაზგასმულია კლიმატის ცვლილების საკითხების ძლიერი მართვის აუცილებლობა ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობითა და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნულია ისიც, რომ არსებული უწყებები ქალებთან დაკავშირებით კლიმატის ცვლილების რისკების საკითხებზე სისტემატურად არ მუშაობენ. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა გენდერულად მგრძნობიარე არ არის. არ ხდება მონაცემების გენდერის მიხედვით დაყოფა, რაც სასარგებლო იქნებოდა კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისა და სტრატეგიებისათვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, ზოგადად, ქალების ნდობის დონე ამ უწყებების მიმართ დაბალია და საჭიროა სახელმწიფო უწყებებსა და ქალებს, განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება.

ანგარიშში დასკვნის სახით ხაზგასმულია, რომ ქალებისა და უმცირესობების წარმომადგენლობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში დაბალია. ჩამოთვლილია პრიორიტეტული ზომები კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესამცირებლად, როგორიცაა, მაგალითად, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობის გაძლიერება, მშენებლობების ხარისხის კონტროლი, ტყეების დაცვა და აღდგენა და კატასტროფების რისკის მართვის გეგმების მომზადება.

მონაწილეები ასევე ხაზს უსვამენ კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობის შესახებ ცოდნის, სოფლად ძირითადი სერვისების გაუმჯობესებისა და ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატიული წარმოების დანერგვის მნიშვნელობას. ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია და პრობლემების ადგილზე ოპერატიულად გადაწყვეტა მთავარ პრიორიტეტებად სახელდება. ზოგადად, რესპონდენტებს ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ, სხვა უწყებებთან შედარებით, ოდნავ მაღალი ნდობა აქვთ. ირკვევა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონებში ინფორმაციასა და სერვისებზე წვდომის, კლიმატის ცვლილების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების, სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელებისა და მოსახლეობის მარგინალიზებული ჯგუფების პრობლემების გაჟღერების კუთხით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

სივრცეები და პრაქტიკები, რომლებიც ხელმისაწვდომია ქალებისათვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ან გამწვავებული მოწყვლადობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად

სამეზობლო და არაფორმალური ადგილობრივი ჯგუფები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებისათვის: სამეზობლო კავშირები ქალებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სოფლად. ურბანულ დასახლებებში არსებული ბინათმესაკუთრეთა ფორმალური ასოციაციები და მათი თავმჯდომარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ადგილობრივი პრობლემების მოგვარებასა და ამ საკითებზე ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში. საზოგადოებრივი თავშეყრის, კულტურული და საგანმანათლებლო სივრცეების არსებობა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მობილიზაციის შესაძლებლობებს აძლიერებს. ადგილობრივ დონეზე ქალები ხშირად აქტიურ როლს ასრულებენ და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინიციატივებსაც აყენებენ. გასული წლის განმავლობაში საზოგადოებრივ საქმიანობას რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეწეოდა, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების ჩართულობას უსვამს ხაზს.

ქალების შესაძლებლობების გაძლიერება მცირე მასშტაბის კლიმატგონივრული წარმოების ხელშეწყობის გზით: მცირე მასშტაბის წარმოების ხელმძღვანელი ქალები ქალების შესაძლებლობების გაძლიერების კარგი მაგალითია. ეს ქალები საკუთარი ბიზნესის შექმნისა და გაფართოების გზაზე ბევრ გამოწვევას უმკლავდებიან და ამით სხვებსაც შთააგონებენ. საკუთარ საქმიანობაში ისინი ჩვეულებრივ ტრადიციულ ცოდნას იყენებენ, რაც, შესაძლოა, მოწყვლადი იყოს კლიმატის ცვლილების მიმართ. ქალები ინტერესდებიან სხვადასხვა ინიციატივებით, როგორიცაა ნარჩენების გადამუშავება და რესურსების მდგრადი გამოყენება.

კოოპერატივების გაძლიერება სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალების მედეგობის გასაზრდელად: კოოპერატივებს კლიმატის ცვლილების მიმართ სოფლის მეურნეობის მედეგობის გაძლიერება შეუძლიათ. ისინი ზრდიან რესურსებს, მოგებას და ერთობლივი მუშაობის შედეგებს, რაც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირებას უწყობს ხელს. კოოპერატივები ზრდიან ქალების ჩართულობას, აუმჯობესებენ რესურსებზე წვდომას და აძლიერებენ ლიდერობის შესაძლებლობებს.

კლიმატის აქტივიზმის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ სივრცეებზე უფლების აღდგენა: აქტივიზმს შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს ვითარება გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებისა და საკუთარი პრობლემების გამოსათქმელად ქალებისათვის შესაძლებლობის მიცემის კუთხით. საკუთარი პრობლემების შესახებ საჯაროდ საუბრის შესაძლებლობები და სივრცეები შეზღუდულია. ადგილობრივი, რეგიონული ან ცენტრალური უწყებების გადაწყვეტილებების მიღების ფორმალურ პროცესებში ჩართვის პროცედურებისა და შესაბამისი სივრცეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება აქტივისტებსაც კი უჭირთ. ამიტომ, აქტივიზმმა, შესაძლოა, პოლიტიკურ ასპარეზზე მარგინალიზებული ჯგუფების ცნობადობის გაზრდას შეუწყოს ხელი. საკუთარი ღონისძიებების ჩასატარებლად აქტივისტები ხშირად საზოგადოებრივ სივრცეებს იყენებენ მათი მნიშვნელობის ხაზგასასმელად. მარგინალიზებული ჯგუფებისთვის მობილიზაცია და აქტივიზმში ჩართვა რთულია.

ქალების ტრადიციული ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინება კლიმატის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში: ქალების მიერ ბუნებისა და კლიმატის ცვლილების აღქმა ყალიბდება იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობენ ისინი: სოფლის თუ ქალაქის ტიპის დასახლებებში. ისინი ბუნებრივი რესურსების მართვის, ამინდის, კლიმატის კრიზისთან ადაპტაციის გზებისა და ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების შესახებ მდიდარ ცოდნას ავლენენ. ქალების ცოდნა და უნარები მნიშვნელოვანია კულტურული ტრადიციებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მეთოდების შესანარჩუნებლად.

01

შესავალი



ფოტო: ნათელა გრიგალაშვილი

1

შესავალი



საქართველოს მოსახლეობის 52%-ს შეადგენენ ქალები,

მრავალფეროვანი სოციალური მახასიათებლებითა და საჭიროებებით და განსხვავებული პრობლემით,

კლიმატის ცვლილება მსოფლიოს სხვადასხვა სახის სოციალურ, ეკონომიკურ, აგრეთვე გარემოსა და განვითარებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს უქმნის, რაც საქართველოზე ლოკალიზებული ხასიათის მრავალფეროვანი ზემოქმედებებით აისახება. ეს არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი საკითხი; პირიქით, თავისი არსით, ეს სამართლიანობის პრობლემაცაა (Gardiner 2011; Shue 2014). კლიმატის ცვლილება ზემოქმედებას ყველაზე ახდენს, მაგრამ ეს ზემოქმედება ყველაზე თანაბრად არ არის გადანაწილებული. კლიმატის ცვლილება არსებულ სისტემურ უთანასწორობას კიდევ უფრო ამძაფრებს; ქალები, უმცირესობები და მოსახლეობის სხვა დაუცველი ჯგუფები კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას არაპროპორციულად განიცდიან (Nellemann, Verma & Hislop, 2011). აქედან გამომდინარე, კლიმატის სამართლიანობა გულისხმობს ცალკეულ ადამიანებსა და თემებზე კლიმატის ცვლილების არათანაბარი და არაპროპორციული ზემოქმედების აღიარებასა და მასთან ბრძოლას და წარმოქმნილი უსამართლობის გამოსწორებას სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით (Sultana 2022).

კლიმატის უსამართლობას აქვს როგორც ისტორიული, ასევე სივრცითი ხასიათი, რამაც ე.წ. გლობალურ სამხრეთში მცხოვრებ ერებსა და საზოგადოებებზე და აგრეთვე გლობალური ჩრდილოეთის მარგინალიზებულ საზოგადოებებზე კლიმატის ცვლილების არაპროპორციულად მძიმე ტვირთი განაპირობა (Sultana 2022). უკანასკნელ ათწლეულებში ისეთი კატასტროფების სიხშირე და სიმძიმე, როგორიცაა ქარიშხლები/ციკლონები, წყალდიდობები, ზღვის დონის აწევა, სითბური ტალღები, ტყის ხანძრები, ჰაერის ხარისხის გაუარესება და ნიადაგის ეროზია გლობალურ სამხრეთში ბევრ ადგილას მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, ამ კატასტროფების ზემოქმედება გლობალური ჩრდილოეთის ტერიტორიებზეც სულ უფრო მეტად ვრცელდება, ვინაიდან კლიმატის ცვლილების ტემპი მთელ მსოფლიოში აჩქარებულია. ამის შედეგად მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ადამიანთა სიკვდილიანობის, მატერიალური ზარალის და ადგილმონაცვლეობის მაჩვენებლები და აღდგენის ხარჯები, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, რომლის მოსახლეობა კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას მყისიერად და ყველაზე მწვავედ განიცდის (იქვე).

კლიმატის სამართლიანობის მისაღწევად აუცილებელია კლიმატის ცვლილების სოციალური და გენდერული ზემოქმედების კარგად ცოდნა; თუმცა, ეს საკითხი საქართველოში თითქმის არ არის შესწავლილი. **საქართველოს მოსახლეობის 52%-ს შეადგენენ ქალები, მრავალფეროვანი სოციალური მახასიათებლებითა და საჭიროებებით და განსხვავებული პრობლემით, კლიმატის კრიზისის ჩათვლით.** კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) მეექვსე შეფასების ანგარიშში (IPCC, 2022, გვ. 12) აღნიშნულია, რომ „არამდგრადი მიწათსარგებლობა და მცენარეული საფარის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენება, გაუტყეურება, ბიომრავალფეროვნების განადგურება, დაბინძურება და მათი ურთიერთქმედება უარყოფითად მოქმედებს ეკოსისტემების, საზოგადოებების, თემებისა და ცალკეული ადამიანების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის უნარზე“. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების თანახმად, საქართველოში კლიმატი უკვე მნიშვნელოვნად არის შეცვლილი. ქვეყანაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მიწისპირა ფენაში თითქმის ყველგან გაზრდილია, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობას, ჯანმრთელობას, გეოლოგიურ პროცესებს, და სხვ. (გაეროს განვითარების პროგრამა, 2021 წ.). შედეგად, მაგალითად, სოფლის მეურნეობაზე უარყოფითი ზემოქმედების გაძლიერება ქალების შრომას კიდევ უფრო ამძიმებს (დევიძე, 2021).

არსებული სოციალური და ეკონომიკური სისტემური გამოწვევები კლიმატთან დაკავშირებული რისკების მიმართ თემების დაუცველობის ხარისხს ზრდის. მაგალითად, ის, რომ საქართველოში სოფლად მცხოვრები თემების საარსებო საშუალებები არ არის დივერსიფიცირებული, სოფლის მეურნეობაზე, როგორც შემოსავლის ძირითად წყაროზე, დამოკიდებული მოსახლეობის მოწყვლადობის ხარისხს ზრდის. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ანგარიშის თანახმად, საქართველოში თვითდასაქმებული ქალების 59% მცირე მეურნეობებშია დაკავებული (FAO, 2018). გარდა ამისა, სოფლად მცხოვრები ქალები მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვინაიდან საოჯახო საქმეს ძირითადად ქალები ასრულებენ, მათი საქმიანობა კი დამოკიდებულია წყლისა და საკვების გამოყენებაზე, კლიმატის ცვლილების შედეგადაც, ამ რესურსების კლება, პირველ რიგში, სწორედ მათზე აისახება (Jost et al., 2016).

კლიმატის მიმართ მგრძნობელობას ისეთი სხვადასხვა სოციალური ფაქტორი განსაზღვრავს, როგორიცაა პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობები, სოციალური სტატუსი, შემოსავალი, ასაკი და ა.შ. კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და შრომის ბაზრებზე ქალების არათანაბარი მონაწილეობა უთანასწორობას კიდევ უფრო აძლიერებს და ხშირად ქალებს კლიმატის გეგმებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობას არ აძლევს (UNFCCC). ეს აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან ქალები, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას რიგი დაბრკოლებების გამო ვერ ახერხებენ (ღია საზოგადოება საქართველო, 2019). ამრიგად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნება კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით გაძლიერებული ქალთა მოწყვლადობა, ქალების წვდომა აქტივებზე და მათ მიერ აქტივების კონტროლი, აგრეთვე მათი საჭიროებები და ის შესაძლებლობები, რომლებიც არსებობს საქართველოში ქალთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად. კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქალების მრავალფეროვანი ჯგუფების მოსაზრებებისა და გამოცდილების ანალიზის შედეგად წინამდებარე კვლევა ხელს შეუწყობს კლიმატის ისეთი ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიების შემუშავებას, რომლებშიც უფრო მკაფიოდ იქნება გათვალისწინებული გენდერული საკითხები.

02

თეორიული საფუძველი და კონცეფციები

2

თეორიული საფუძველი და კონცეფციები

კლიმატის ცვლილება ადამიანთა საზოგადოებებში, გარემოსა და ქვეყნების ეკონომიკაში შორსმიმავალ შედეგებს იწვევს. გენდერს მოწყვლადობასა და ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აქვს, რადგან კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ქალებზე არაპროპორციულად აისახება რესურსებზე, განათლებაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე წვდომის კუთხით არსებული გენდერული უთანასწორობისა თუ სხვა ფაქტორების გამო. კლიმატის სამართლიანობის მისაღწევად აუცილებელია ფემინისტური შეხედულებებისა და იდეების გათვალისწინება. გენდერისა და კლიმატის ცვლილების კვლევაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ადაპტაციასა და მოწყვლადობის შემცირების მიმართულებით გენდერული χგუფების გამოცდილების არასათანადოდ გათვალისწინების პრობლემასთან ბრძოლა კვლავაც საჭიროა. წინამდებარე თავში ნაჩვენებია, რომ კლიმატის ცვლილებას, ადაპტაციას, შერბილებასა და მოწყვლადობას შორის არსებული ურთიერთკავშირების დადგენა ინტერსექციურ მიდგომას მოითხოვს, რომელიც ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, სოციალურ პრაქტიკასა და პროცესებს ითვალისწინებს.

1 ადაპტაცია, შერბილება და მოწყვლადობა

კლიმატის ცვლილების სოციალური, სივრცითი და დროითი შედეგები რეაგირების შერჩეული ფორმის - ადაპტაციის ან შერბილების მიხედვით განსხვავდება. შერბილება არის კლიმატის მომავალი ცვლილების შემცირება, ხოლო ადაპტაცია - კლიმატის ცვლილების მიმდინარე ან მოსალოდნელი ზემოქმედების შეცვლა (Jerneck 2018). ადაპტაცია შეიძლება მოიცავდეს ცხოვრების წესის, ქცევებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილებას, როგორიცაა, მაგალითად, საარსებო საშუალებების უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე ცვლილებების შეტანა მიწათსარგებლობასა და ბიომრავალფეროვნების მართვაში, მაგალითად, ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვა (Ravera et al. 2016). ადაპტაცია შეიძლება იყოს თანდათანობითი - არსებული სისტემის ან პროცესის შესანარჩუნებლად, ან ტრანსფორმაციული - სისტემის მახასიათებლების შესაცვლელად. მეტიც, ადაპტაცია შეიძლება იყოს დაცვითი, რომელიც გულისხმობს უარყოფითი ზემოქმედების წინააღმდეგ მიმართული ზომების განხორციელებას, ან ოპორტუნისტული - კლიმატის ცვლილების პოტენციური დადებითი ზემოქმედების გამოყენებას (იქვე).

მედეგობის ჩარჩოები აფასებენ სისტემის მიერ ადაპტირებისა და მოსალოდნელ თუ მოულოდნელ გამოწვევებსა და ზეწოლებთან გამკლავების უნარს, რომელიც საფრთხეს არ უქმნის მის ფუნქციონირებას და რეაგირებისა და ცვლილების შესაძლებლობებს (Thompson-Hall, Carr and Pascual 2016). კლიმატის ცვლილების შემთხვევაში სოციალურ-ეკოლოგიური სისტემების საერთო მედეგობაზე გავლენას სოციალური სუბიექტებისა და ეკოლოგიური კომპონენტების მიერ კონკრეტულ ზემოქმედებასთან შეგუების ერთობლივი უნარი ახდენს (იქვე). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის, თუ რამდენად ექვემდებარებიან სუბიექტები ცვლილებას, მათი მგრძნობელობა (ანუ მოწყვლადობა ცვლილებებით გამოწვეული ზიანის მიმართ) და ადაპტაციის უნარი (რაც გულისხმობს ცვლილებასთან გასამკლავებლად საჭირო ინსტრუმენტებისა და რესურსების ფლობასა და ადაპტაციისთვის მათი გამოყენების უნარს) (იქვე). ეს ფაქტორები გარემოსდაცვითი მოწყვლადობის სხვადასხვა ხარისხს განაპირობებენ.

ამ გაგებით, ადაპტაციის შესაძლებლობა არის მოწყვლადობის შემცირების საშუალება და განისაზღვრება, როგორც ექსტრემალური მოვლენების ზემოქმედების პროგნოზირების, გადატანის, შეგუების ან ზემოქმედებისგან აღდგენის ზოგადი უნარი. თუმცა, აუცილებელია შესწავლა იმისა, თუ როგორ არის განაწილებული ადაპტაციის შესაძლებლობები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის (Jerneck 2018). Jerneck (2018) აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ღარიბ ჯგუფებს, რომლებიც ამავდროულად კლიმატური მოვლენების ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, შესაძლოა, სხვადასხვა სახის წინაღობების გამო, ადაპტაციისა და შერბილების საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია გაუჭირდეთ. მაგალითად, ზოგჯერ კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მოწყვლადობის განსაკუთრებული ფორმით ვლინდება, როდესაც მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფები კონკრეტული კლიმატური ფაქტორების განსხვავებული ზემოქმედების ქვეშ ექცევიან. სხვა შემთხვევებში, ზემოქმედებამ შესაძლოა მოწყვლადობის განსხვავებული ფორმები გამოიწვიოს, მაგალითად, როდესაც მთელი მოსახლეობა ერთი კლიმატური ფაქტორის ზემოქმედების ქვეშაა, მაგრამ ამ ფაქტორთან მიმართ მათი მგრძნობელობა და ადაპტაციის შესაძლებლობები განსხვავებულია (Thompson-Hall, Carr and Pascual 2016).

ისევე, როგორც თავად კლიმატის ცვლილებას, მასზე რეაგირებასაც (ადაპტაციის ჩათვლით) გენდერული ხასიათი აქვს. მისი გენდერული ხასიათი „მასშტაბების, სივრცისა და სუბიექტურობის მიხედვით“ იცვლება (Jerneck 2018, p. 629). თუ ქალები მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ, მათ, შესაძლოა, ამ ზემოქმედებასთან გასამკლავებლად საჭირო რესურსებზე წვდომასა და ადაპტაციის შესაძლებლობების განვითარების გზაზე მეტი პრობლემა შეექმნათ (იქვე).

2 გენდერი და კლიმატის ცვლილება

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) თანახმად, ქალებზე კლიმატის ცვლილების ისეთი შედეგები, როგორიცაა გვალვა, წყალდიდობა, ძლიერი წვიმა, სითბური ტალღები და წყლის დეფიციტი, არაპროპორციულ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. (WHO, 2014). ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის კუთხით უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. გარდა ამისა, ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ამინდსა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე (იქვე). ამ სახის მოწყვლადობა ქალთა სქესისთვის კი არ

არის დამახასიათებელი, არამედ მიწაზე, შრომაზე, გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებასა და სხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გენდერული უთანასწორობიდან გამომდინარეობს (Jerneck 2018).

კლიმატის ცვლილების გენდერული ასპექტების კვლევა ხაზს უსვამს ისეთი სტრუქტურული უთანასწორობის არსებობას, რომელიც გარკვეულ ჯგუფებს რესურსებზე, განათლებაზე და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებაზე წვდომას აძლევს და ამავდროულად სხვებს ამის შესაძლებლობას უზღუდავს. ფემინისტი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კლიმატის სამართლიანობის სამართლიანად ან ეფექტიანად მიღწევა ფემინისტური პერსპექტივებისა და შეხედულებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია (Kaijser and Kronsell 2014). კლიმატის ცვლილება ინტერსექციურ გენდერულ უთანასწორობასა და მოწყვლადობას კიდევ უფრო აძლიერებს (იქვე). ამ შემთხვევაში ინტერსექციური უთანასწორობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს სხვადასხვა იდენტობა (რასა, სქესი, კლასი, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობები, და სხვ.) აქვთ და რომ ეს იდენტობები ერთმანეთთან იკვეთება და ამ გზით უთანასწორობის კონკრეტული ფორმები წარმოიქმნება (Crenshaw 1989). ეს საკითხი მომდევნო ქვეთავებში უფრო დეტალურად იქნება განხილული. თუმცა, კლიმატის სამართლიანობის ფემინისტური მიდგომა უფრო შორს მიდის. ფემინისტი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კონკრეტულ კონტექსტში სოციალური და ეკოლოგიური პირობების ცვლილება გენდერულ ურთიერთობებზე მრავალი გზით აისახება (Sultana 2021).

პატრიარქატი რესურსების მოპოვების, განაწილებისა და გამოყენების გზებს კარნახობს. ის განსაზღვრავს სამუშაოს კატეგორიზაციას და მის დაყოფას საგარეო და საშინაო საქმეებად, აგრეთვე სოციალურ ნორმებისა და ვალდებულებების ჩამოყალიბებასა და შესრულებას ენისა და დისკურსის საშუალებით (Jerneck 2018). ამ შემთხვევაში პატრიარქატი არის „სოციალური სტრუქტურებისა და ნორმების სისტემა, რომელშიც დომინირებენ მამაკაცები და რომელიც ჩაგრავს და ექსპლუატაციას უწევს ქალებს“ (Walby 1989: 214). ეს არის სოციალური ურთიერთობების სისტემა. Walby-ს თანახმად, პატრიარქატი ექვსი კომპონენტისგან შედგება - ”წარმოების პატრიარქალური მოდელი, პატრიარქალური ურთიერთობები ანაზღაურებად შრომაში, პატრიარქალური ურთიერთობები სახელმწიფოში, ძალადობა მამაკაცების მხრიდან, პატრიარქალური ურთიერთობები სქესობრივ ცხოვრებაში და პატრიარქალური ურთიერთობები ისეთ კულტურულ ინსტიტუტებში, როგორიცაა რელიგია, მედია და განათლება” (იქვე).

ამ შემთხვევაში Walby გულისხმობს, რომ პატრიარქატი სხვადასხვა დონეზე მოქმედებს, მაგალითად, ეკონომიკურ დონეზე (წარმოების პატრიარქალური რეჟიმი და პატრიარქალური ურთიერთობები ანაზღაურებად შრომაში), სახელმწიფო დონეზე (ქალების დაუშვებლობა სახელმწიფო რესურსებსა და ძალაუფლებაზე) და ძალადობის, სქესობრივი ცხოვრებისა და კულტურის დონეზე. კონკრეტული პატრიარქალური პრაქტიკის იდენტიფიცირება თითოეული ამ კომპონენტისა თუ სტრუქტურის ფარგლებშია შესაძლებელია (იქვე).

გენდერული განსხვავებები ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებში, საკუთრებასა და ცოდნაში ყველა საზოგადოებაში არსებობს და კლიმატის ცვლილების ფონზე არაპროპორციული და მუდმივი სოციალური მოწყვლადობის ძირითად ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. გენდერული განსხვავებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ საზოგადოებებში, რომლებშიც ტრადიციულ გენდერულ ნორმებს იცავენ (Garcia and Tschakert 2022). მაგალითად, ქალებს შეიძლება მოუწიოთ „პასუხისმგებლობების ფემინიზაცია“ და კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად და შესაგუებლად შეასრულონ დამატებითი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები იმ ვალდებულებებთან ერთად, რომლებიც მათ, როგორც მცირე მეურნეობების მფლობელებს, საოჯახო საქმეების შემსრულებლებსა და ოჯახზე მზრუნველებს, უკვე აქვთ (Arora-Jonsson 2014). ამ შემთხვევაში გენდერული ნორმები დაკავშირებულია იმ სოციალურ მოლოდინებთან და ქცევებთან, რომლებიც აძლიერებენ გენდერულ უთანასწორობას და ზღუდავენ პიროვნულ დამოუკიდებლობასა და თვითგამოხატვის უფლებას (Briggs and George, 2023). ტრადიციული გენდერული ნორმების მიხედვით, ქალებმა უპირველეს ყოვლისა მზრუნველის როლი უნდა შეასრულონ. პატრიარქალური ნორმები ქალებს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისათვის საჭირო რესურსებზე, განათლებასა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე წვდომას უზღუდავს. მაგალითად, ქალები შეიძლება საადაპტაციო ღონისძიებებსა და სერვისებზე არ დაუშვან (იქვე).

3 ძალაუფლება და შესაძლებლობები

გენდერისა და კლიმატის ცვლილების კვლევაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, ადაპტაციასა და მოწყვლადობის შემცირების მიმართულებით გენდერული ჯგუფების გამოცდილების სათანადოდ გათვალისწინება ჯერ კიდევ არ ხდება (Garcia and Tschakert 2022). მიუხედავად იმისა, რომ მოწყვლადობის ცნება ხშირად სიღარიბესთან არის დაკავშირებული, მოწყვლადობა რთული კონცეფციაა, რომელიც სხვადასხვა გარემოებებში განსხვავებულად ვლინდება. Enarson (1998) ამტკიცებს, რომ მოწყვლადობა არ არის ადამიანის ან საზოგადოების თანდაყოლილი თვისება და ის არც მხოლოდ ერთი ისეთი ფაქტორის შედეგია, როგორიცაა სიღარიბე, სოფლად ცხოვრება ან სქესი. პირიქით, ის

ძირგადგმულია სოციალური ცხოვრების, ძალაუფლებრივი ურთიერთობებისა და პროცესების იმ მოდელებში, რომლებიც გარკვეულ ჯგუფებს ან ადამიანებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აგდებენ, რაც მათ რისკებისა და კატასტროფების მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის (იქვე). ვინაიდან მოწყვლადობას სოციალური ფაქტორები აყალიბებენ, მასზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ის მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი კატასტროფამდე ან კატასტროფის საფრთხემდე იმყოფებოდა, არამედ კატასტროფის დროს არსებული და მის შემდეგ შექმნილი მდგომარეობაც. შედეგად, მოწყვლადობა არის სტრუქტურული, ფარდობითი და პროცესზე დამოკიდებული მდგომარეობა და არა ინდივიდუალური ან პიროვნული მახასიათებელი (Jerneck 2018).

მოწყვლადობის მიდგომები ორიენტირებულია სუბიექტებზე და დიდ ყურადღებას უთმობენ ღირებულებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ცოდნას (Adger 2006). მედეგობის კონცეფცია, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი, ერთიან, კომპლექსურ მიდგომას წარმოადგენს (Cote and Nightingale 2012). ის აქცენტს აკეთებს გარდაქმნის უნარზე, რაც ნიშნავს "არსებითად ახალი სისტემის შექმნის შესაძლებლობას იმ დროს, როდესაც ეკოლოგიური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურები არსებულ სისტემას სიცოცხლისუუნაროს ხდიან" (Walker et al. 2004). მოწყვლადობის კონცეფციასა და მედეგობის კონცეფციას შორის ძირითადი შეუთავსებლობა შესაძლებლობისა და ძალაუფლების მიმართ მათ მიდგომაში მდგომარეობს (Ravera et al. 2016). შესაძლებლობა და ძალაუფლება მოწყვლადობის მიდგომის ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს მაშინ, როდესაც მედეგობის მიდგომებში ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა (Cote and Nightingale 2012). გარდა ამისა, მედეგობის მიდგომაში არ არის გათვალისწინებული კულტურული ღირებულებები, რომლებიც ასევე აუცილებელია სოციალურ-ეკოლოგიური სისტემების განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის (იქვე).

ფემინისტმა მკვლევარებმა (მაგ., Tschakert and Tuana 2013) არაერთხელ გააკრიტიკეს მედეგობის მიდგომა და მისი დამოკიდებულება მოწყვლადობის ცნებასთან. ისინი განსაკუთრებით აღნიშნავენ მედეგობის დისკურსის გენდერულ განზომილებებს და ხაზს უსვამენ ძალაუფლების დინამიკის, ინტერსექციურობისა და სოციალური სტრუქტურების გათვალისწინების მნიშვნელობას მოწყვლადობისა და მედეგობის უკეთ გაგებისათვის. Tschakert და Tuana თვლიან, რომ დომინანტური კონცეფციები მოწყვლადობას არასასურველად მიიჩნევენ. ასეთი კონცეფციების მიხედვით, მოწყვლადობა მინიმუმამდე უნდა შემცირდეს, ხოლო მედეგობა, რომელიც დადებით ასპექტად ითვლება, უნდა გაძლიერდეს. Tschakert და Tuana მიიჩნევენ, რომ მოწყვლადობა არ უნდა ჩაითვალოს პასიურად ან უარყოფითად, რადგან მოწყვლადობაში იგულისხმება მგრძნობელობა, დაუცველობა ან რისკი (2013). პირიქით, მოწყვლადობა უნდა განვიხილოთ, როგორც გავლენის მოხდენის და გავლენის ქვეშ მოქცევის უნარი, ანუ სხვებთან მიმართებაში ყოფნის მდგომარეობა (Ravera et al. 2016). შესაბამისად, მიზანი უნდა იყოს არა მოწყვლადობის აღმოფხვრა, არამედ ადამიანებს შორის და ადამიანებსა და მათ გარემოს შორის როგორც არსებული, ასევე მომავალი ურთიერთობების განვითარების უკეთესი გზების ძიება (იქვე).

მართალია, რომ ქალები კლიმატის ცვლილების მიმართ უფრო მოწყვლადები არიან. თუმცა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ქალებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტრესის ფაქტორებზე რეაგირება ან მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ (Garcia and Tschakert 2022). მარგინალიზებულ და ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს ზედმეტი პასუხისმგებლობები არ უნდა დავაკისროთ (Garcia and Tschakert 2022). კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მხარდამჭერი ინიციატივები ხშირად სტერეოტიპებს ამყარებენ და ქალების შესაძლებლობების გაძლიერებას უშლიან ხელს. ქალების, როგორც მოსახლეობის მოწყვლადი და ქმედუუნარო ნაწილის, აღქმის გაძლიერებამ შესაძლოა ძალაუფლების გენდერული დისბალანსი კიდევ უფრო გაამყაროს (იქვე). ისეთი ინიციატივების ერთ-ერთ მაგალითს, რომელსაც შეუძლია სტერეოტიპების გაძლიერება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონტექსტში ქალების შესაძლებლობების შესუსტება, ინდოეთის სოფლებში ღუმელების დარიგება წარმოადგენს. პროგრამა, რომელიც ბიომასაზე მომუშავე ღუმელებს არიგებდა, მიზნად საჭმლის მომზადებასა და შეშის შეგროვების კუთხით ქალების დატვირთვის შემცირების ხელშეწყობას ისახავდა (Khandelwal et al 2017). თუმცა, ამ ინიციატივამ ქალებისათვის გარკვეული უარყოფითი შედეგები გამოიღო, მაგალითად „გოგონების გათხოვება უფრო ადრეულ ასაკში, რადგან შეშის შესაგროვებლად მშობლების სახლში მათი დარჩენა აღარ იყო საჭირო" (იქვე: 20). კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი იყო ის, რომ შეშის შეგროვება ქალებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევდა (იქვე). ამ უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუ ადგილობრივი ქალები ჩართული იქნებოდნენ პროგრამის შემუშავებაში და გადაწყვეტილებების მიღებისას თანაბარი ხმის უფლებით ისარგებლებდნენ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალების ძლიერ მხარეებს, შესაძლებლობებს და ძალაუფლების უთანასწორო დინამიკას, რომელიც უთანასწორობას იწვევს (Aurora-Jonsson 2011). ქალების მოწყვლადობის ხარისხის ზრდისა და მისი მიზეზების მიუხედავად, ქალები მაინც ახერხებენ ორგანიზებას, ფიქრსა და სტრესის გამომწვევ ფაქტორებთან გამკლავებას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ სტრუქტურულ ფაქტორებსა და ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც ქალებს უფრო მოწყვლად სოციალურ მდგომარეობაში აგდებენ; არ არის საჭირო ქალების, როგორც ძლიერი და ქმედითი სუბიექტების, როლის ზედმეტად ხაზგასმა. ქალების როლისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება შეიძლება ისეთივე საზიანო იყოს, როგორც მათი, როგორც უმწეო მსხვერპლების, წარმოჩენა (Garcia and Tschakert 2022).

ფემინისტი მკვლევარები დიდი ხანია აცხადებენ, რომ საჭიროა უთანასწორობის ძალაუფლებრივი სტრუქტურებისა და სოციალური კონსტრუქციების შესწავლა და არა მხოლოდ სტრუქტურასა და შესაძლებლობებს შორის არსებულ დამოკიდებულებაზე კამათი (Rocheleau et al 1996). კონკრეტულ კონტექსტში ჩაგვრის სხვადასხვა ფორმების სწორად გასაგებად და აღმოსაფხვრელად აუცილებელია დიფერენციაციის გამომწვევი კონტექსტუალური ფაქტორები საფუძვლიანი შესწავლა (Carastathis 2016). უნდა გვახსოვდეს, რომ მოწყვლადი საზოგადოებები ერთგვაროვანი არ არის, პირიქით, მათი წევრების მოწყვლადობა განსხვავებულია გენდერისა და ისეთი სხვა ფაქტორების თანკვეთის შედეგად, როგორიცაა კლასი, რასა, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლობა, მიგრანტის სტატუსი და ა.შ. (Garcia and Tschakert 2022). ინტერსექციური მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია ძალაუფლებრივი ურთიერთობებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე იმ პროცესების უფრო დეტალურად შესწავლა, რომლებიც უთანასწორობას წარმოქმნიან (Garcia and Tschakert 2022).

4 ინტერსექციური მიდგომა გენდერისა და კლიმატის ცვლილების მიმართ

ინტერსექციურობა არის სოციალური სტრატიფიკაციის ისეთ სხვადასხვა ფორმებს შორის არსებული რთული ურთიერთდამოკიდებულები დადგენის საფუძველი, როგორიცაა რასა, სქესი, კლასი, სექსუალური ორიენტაცია და სხვ. (Carastathis 2016). ინტერსექციური მიდგომა ხაზს უსვამს იმას, რომ პიროვნების სოციალური მდგომარეობა არ შეიძლება დაყვანილ იქნას ისეთ ერთ განზომილებამდე, როგორიცაა სქესი ან რასა. ნაცვლად ამისა, ის ითვალისწინებს მრავალი განზომილების ურთიერთდამოკიდებულებას და აღიარებს მრავალფეროვან სამყაროში ცხოვრებისეული გამოცდილების სირთულეს (იქვე). ინტერსექციურობის კონცეფცია ხაზს უსვამს იმას, რომ სხვადასხვა სოციალური ფენების (მაგ. რასა, სქესი, კლასი, სექსუალური ორიენტაცია, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები და ა.შ.) სოციალური ურთიერთქმედება ძალაუფლების ურთიერთდაკავშირებული სისტემებისა და სტრუქტურების კონტექსტში ხდება. ამ რთული ურთიერთქმედების შედეგად ჩნდება ხელსაყრელი და არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობის ურთიერთდაკავშირებული ფორმები, რომლებსაც აყალიბებენ ისეთი ისტორიული ძალები, როგორიცაა კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი, რასიზმი, ჰომოფობია, ეიბლიზმი და პატრიარქატი:

> ინტერსექციური ანალიზი, როგორც ჩაგრული ჯგუფებისგან და მათ შესახებ მიღებული ცოდნა, ავლენს [...] ძალაუფლების სტრუქტურულ, დისციპლინურ, ჰეგემონურ და ინტერპერსონალურ განზომილებებს და აჩვენებს, თუ როგორ იქმნება და მკვიდრდება ჩაგვრა იდენტობის მრავალი ასპექტის მეშვეობით.
>
> Dill and Zambrana 2009:7

ინტერსექციური მიდგომა გამორიცხავს ჩაგვრის დაყვანას მხოლოდ ერთ ძირეულ კატეგორიამდე, როგორიცაა კლასი. ამის ნაცვლად, ის ამტკიცებს, რომ ჩაგვრა გამოწვეულია ძალაუფლების მრავლობითი, დეცენტრალიზებული და ურთიერთშემადგენელი ღერძების ურთიერთქმედებით (Carastathis 2016).

მეტიც, ინტერსექციურობის კონცეფცია ხაზს უსვამს ერთდროულად მრავალი სოციალური მდგომარეობის არსებობას და მათ ურთიერთქმედებას. ის ეჭვქვეშ აყენებს უნიტარულ თუ ადიტიურ მიდგომებს, რომლებიც პრიორიტეტს ერთ კატეგორიას ანიჭებენ და სხვა კატეგორიებს უგულებელყოფენ ან ამატებენ ისე, თითქოს ისინი დამოუკიდებლად არსებობენ. ნაცვლად ამისა, ინტერსექციური მიდგომები აღიარებენ, რომ ეს კატეგორიები ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შემადგენელი ნაწილები არიან. ინტერსექციურობა აფიქსირებს ჩაგვრის ერთდროულად მოქმედ ფორმებს და აყალიბებს ჩაგვრის სისტემების კონვერგენციისა და ურთიერთკავშირის თეორიას (იქვე).

ამრიგად, ინტერსექციურობის მიდგომა არ ნიშნავს მხოლოდ მრავალი ანალიტიკური კატეგორიის განხილვას ან იმ ფაქტორების ამომწურავი სიის შედგენას, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობასა და მოწყვლადობაში. პირიქით, ის ცდილობს გააფართოვოს თვალთახედვა და იფიქროს იმაზე, თუ რომელი ფაქტორი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი კონკრეტულ კონტექსტში. ამასთან, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სოციალური კატეგორიების არსი და მნიშვნელობა მუდმივი ან უცვლელია; პირიქით, მათი განხილვა აუცილებელია იმ კონკრეტულ ისტორიულ და სივრცულ კონტექსტში, რომელშიც ისინი იმყოფებიან და მათზე მოქმედი ძალების გავლენის გათვალისწინებით. ითვლება, რომ სოციალური კატეგორიები მუდმივად ყალიბდებიან და იცვლებიან და სწორედ ეს წარმოადგენს ინტერსექციურობის კონცეფციის საფუძველს (Kaijser and Kronsell 2014). ქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური კატეგორიების ჩამოყალიბებისა და შეთავსების პროცესის, აგრეთვე ამ კატეგორიების პოტენციური ვარიაციების გათვალისწინება. Kai-

jser and Kronsell აღნიშნავენ, რომ ძალების დინამიკისა და მათი შედეგების ამოცნობისა და გააზრების გარდა, ინტერსექციური მიდგომის გამოყენება გვიქმნის წარმოდგენას პიროვნული და კოლექტიური იდენტობების ჩამოყალიბების შესახებ, აგრეთვე გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ჩამოყალიბებული კატეგორიების მობილიზაცია პოლიტიკურ პროექტებში (იქვე).

ფემინისტური თვალსაზრისით ინტერსექციურობა ძალაუფლებისა და ცოდნის ჩამოყალიბების ფემინისტურ გაგებას ეფუძნება. ფემინისტური კვლევები ხშირად კვლავ ანტირასისტულ და პოსტკოლონიალურ თემებს ეხებიან, რაც ქვიარის, მასკულინობისა და შეზღუდული შესაძლებლობების კვლევებთან ერთად, გვაძლევს შესაძლებლობას, უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ყალიბდება ნორმები და როგორ იკვეთება ძალაუფლებრივი ურთიერთობები (Kaijser and Kronsell 2014). ინტერსექციურობა იმ ფემინისტური თეორიების საერთო წერტილს ან პლატფორმას წარმოადგენს, რომლებიც პოსტკოლონიალური და ანტირასისტული ფემინიზმის წიაღში წარმოიშვა, ხოლო მასთან დაკავშირებული კონცეფციები ისეთი სხვადასხვა ფემინისტური მიმდინარეობების ფარგლებში ჩამოყალიბდა, როგორიცაა ეკოფემინიზმი, ცხოველებზე ცდების ჩატარების საწინააღმდეგო მოძრაობა და პოსტსტრუქტურული ფემინიზმი (იქვე).

გარდა ამისა, ინტერსექციური მიდგომა ხელს უწყობს ინკლუზიურობას ისეთი სოციალურ პოზიციებსა და გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც ხშირად კატეგორიების ესენციალისტურ და გამომრიცხავ კონსტრუქციებში ყურადღების მიღმა რჩება. ის ებრძვის ძალაუფლების დომინანტურ სტრუქტურებს, რომლებმაც, შესაძლოა უნებლიედ გამორიცხონ ისეთი გარკვეული ჯგუფები, როგორიცაა ქვიარ თემი ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ან მოახდინონ მათი მარგინალიზაცია (Carastathis 2016).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანების კლასიფიკაციის გამოყენებამ, შესაძლოა, დეტერმინიზმი და ძალაუფლების რთული და მუდმივად განვითარებადი დინამიკის უგულებელყოფა გამოიწვიოს. იმის აღიარებით, რომ კატეგორიები არა სტატიკური, არამედ საკმაოდ დინამიური, ცვალებადი და ურთიერთდაკავშირებულია, ინტერსექციური მიდგომა სცდება კატეგორიების უბრალოდ ეტიკეტირებას და, ნაცვლად ამისა, იკვლევს, თუ როგორ არიან ისინი დაკავშირებული ძალაუფლების უფრო ძლიერ დინამიკასთან, ინსტიტუციურ პრაქტიკასთან, პოლიტიკურ მოძრაობებსა და სიმბოლურ წარმოდგენებთან (Kaijser and Kronsell 2014). ძალაუფლების ეს დინამიკა, ინსტიტუციური პრაქტიკა და სიმბოლური წარმოდგენები შექმნილია და გამოიყენება იმ კონკრეტული სისტემების (მაგ., კაპიტალიზმი და პატრიარქატი) მიერ, რომლებიც, როგორც ჩანს, გადამწყვეტია კლიმატის ცვლილების ზემოქმედებაზე გლობალური რეაგირებისათვის.

5 დასკვნა

ადაპტაცია, შერბილება და მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების სოციალური, სივრცითი და დროითი ზემოქმედების გასაგებად უმნიშვნელოვანესი ცნებებია. ფემინისტური პოზიცია, რომელიც გენდერულ ურთიერთობებზე სოციალური და ეკოლოგიური პირობების ცვლილების ანალიზს მოითხოვს, ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატის სამართლიანობის სამართლიანად და ეფექტიანად მისაღწევად. მოწყვლადობას ასევე აძლიერებს ძალაუფლებრივი ურთიერთობები, სოციალური ცხოვრების წესი და პროცესები, რომლებიც გარკვეულ ჯგუფებს რისკის ქვეშ აყენებს. აქედან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების მიმართ ქალების მოწყვლადობის შესამცირებლად აუცილებელია ძალაუფლებრივი დისბალანსის აღმოფხვრა.

გენდერსა და კლიმატის ცვლილებას შორის რთული ურთიერთობის გასაგებად აუცილებელია ინტერსექციური მიდგომა. ინტერსექციური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სოციალური იდენტობის კატეგორიებსა და ძალაუფლების დინამიკას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობისა და პასუხისმგებლობის უთანასწორობას უწყობს ხელს. ინტერსექციური მიდგომა არახელსაყრელი მდგომარეობისა და ჩაგვრის განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბებაში მრავლობითი ფაქტორების მნიშვნელობის აღიარებას მოითხოვს. საბოლოო ჯამში, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას ინტერსექციური მიდგომის გამოყენება იმ სოციალური და პოლიტიკური ვითარების უკეთ გაგების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც კლიმატის ცვლილების მართვას აყალიბებენ.

03

გენდერული უთანასწორობა საქართველოში

3

გენდერული უთანასწორობა საქართველოში

წინამდებარე თავში საუბარია საქართველოში გენდერული უთანასწორობის გამოვლინებებზე. შესწავლილია სფეროები, რომლებშიც ქალების მგრძნობელობის დონე განსაკუთრებით მაღალია. მონაცემები აჩვენებს, რომ ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების, რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით ქალთა მოწყვლადი მდგომარეობა კონკრეტული ფაქტორებით არის განპირობებული. თუმცა, ძირეული მიზეზები ყველა სფეროში მსგავსია. პირველი, სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები არ არის ასახული კონკრეტულ პოლიტიკასა თუ სტრატეგიებში. სახელმწიფოს არ აქვს კომპლექსური ხედვა, რომელიც ქალთა უფლებების რეალიზებასა და თანასწორობას უზრუნველყოფს. მეორე, ქალების გენდერული როლი ისევ ტრადიციული ხასიათისაა, რომელიც მათ, როგორც პასიურებსა და მოწყვლადებს, წარმოაჩენს.

1 ქალების ჩართულობა პოლიტიკაში და ძალაუფლება

2020 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში საქართველოს საარჩევნო კოდექსში სავალდებულო გენდერული კვოტების დანერგვის შემდეგ პოლიტიკაში ქალთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობის სხვა ღონისძიებები არ განხორციელებულა. 2023 წლის სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს პარლამენტში 27 ქალია (19.3%) (საქართველოს პარლამენტი, 2023 წ.). ქალების წარმომადგენლობა საქართველოს სამინისტროებში მაღალია; თუმცა, ზოგიერთ სამინისტროში ეს ასე არ არის (მაგ., საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ქალებს გადაწყვეტილებების მიმღები თანამდებობების 38% უკავიათ, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროში - მხოლოდ 3.7% (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022 წ.). პოლიტიკურ პარტიებს შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა სათანადოდ ჩამოყალიბებული არ აქვთ, ან ასეთი პოლიტიკა საერთოდ არ გააჩნიათ (UNDP 2022a). გარდა ამისა, პოლიტიკაში აქტიურად ჩართული ქალები აწყდებიან „სხვადასხვა სახის კრიტიკას (ასაკი, გარეგნობა, პირადი ცხოვრება), რაც მამაკაცი კანდიდატების/პოლიტიკოსების მიმართ ნაკლებად არის მოსალოდნელი“ (იქვე: 8). უფრო მეტიც, პოლიტიკურ პარტიებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი (UNDP 2022a).

ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, სადაც გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებს ძირითადად მამაკაცები იკავებენ. სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღების შედეგად, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა გაიზარდა: „კერძოდ, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე პროპორციული წესით აირჩიეს 31.4% (441) ქალი, ხოლო მაჟორიტარული სისტემით - 7.6% (50) ქალი“ (UNDP 2022a: 28). გენდერული დისკრიმინაციის გამო ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ქალები იშვიათად მუშაობენ გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022 წ.). როგორც წესი, ისინი მდივნებად ან ადმინისტრაციაში მუშაობენ, სადაც მათ გადაწვეტილებების მიღების შესაძლებლობები არ აქვთ.

თუმცა, ქალები ხანდახან ადგილობრივ პოლიტიკაში ისეთი ფორმით ერთვებიან, რომელიც ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ხვდება. მაგალითად, ისინი ესწრებიან საჯარო შეხვედრებსა და სოფლებში ჩატარებულ შეხვედრებს, მონაწილეობენ პრობლემების იდენტიფიცირებასა და ინიციატივების ჩამოყალიბებაში. მათ ძირითადად ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები აინტერესებთ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წ.). თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის თანახმად, ასეთი შეხვედრები ძალიან იშვიათად იმართება (ჩვეულებრივ, არჩევნებამდე) (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022 წ.), ხოლო როდესაც შეხვედრები ტარდება, ქალებს, როგორც წესი, ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ და ამიტომ შეხვედრებს რამდენიმე ადამიანი ესწრება. ეს განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს ეხებათ, რომლებისთვისაც დასწრება გადაადგილების შესაძლებლობებისა და ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომის გამო, პრობლემას წარმოადგენს (იქვე). ქალები უფრო აქტიურები სხვა ისეთ პოლიტიკურ ასპარეზზე არიან, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციები.

2 ქალები და შრომის ბაზარზე მონაწილეობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (2020) თანახმად, „შრომის ბაზარზე მონაწილეობა“ ნიშნავს დასაქმებულობას ან დასაქმების აქტიურ ძიებაში ყოფნას. ეს მაჩვენებელი სამუშაო ძალაში მონაწილეობის ხარისხით განისაზღვრება. მონაცემები შრომის ბაზარზე მონაწილეობის კუთხით ქალებსა და მამაკაცებს შორის მნიშვნელოვან უთანასწორობაზე მიუთითებს. ეს მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 40.4%-ია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში - მნიშვნელოვნად მაღალი: 62%, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქალები ეკონომიკურად ნაკლებად აქტიურები არიან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (2020b) მონაცემები დასაქმებასთან დაკავშირებით აჩვენებს, რომ ქალების მხოლოდ 33.9% არის დასაქმებული, ხოლო 16.2% - არ არის დასაქმებული. შედარებისთვის, მამაკაცების 49.5% დასაქმებულია, ხოლო 20.2% - ამჟამად დაუსაქმებელი (იქვე). შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, ოფიციალურ სტატისტიკაში უმუშევრობის აშკარა დაბალ დონეს განაპირობებს. მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქალებს შესაძლოა არ აქვთ საკმარისი დრო ანაზღაურებად სამსახურში სამუშაოდ, რაც შრომის ბაზარზე მათი მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელს განსაზღვრავს. საყურადღებოა, რომ შრომის

მონაცემები შრომის ბაზარზე მონაწილეობის კუთხით

უთანასწორობა ქალებსა და
მამაკაცებს შორის



62% მამაკაცები

40.4% ქალები

ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე ქალების მონაწილეობის ალბათობა უმაღლესი განათლების არმქონე ქალებთან შედარებით 20%-ით უფრო მაღალია, თუმცა, ამის მიუხედავად, უმაღლესი განათლების მქონე ქალების მონაწილეობა სამუშაო ძალაში ნებისმიერი საფეხურის განათლების მქონე კაცების მონაწილეობას მაინც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება (UN Women, 2018b, p. 21). უნდა აღინიშნოს, რომ ქალების წილი მნიშვნელოვანია ისეთ სექტორებში დასაქმებულებს შორის, როგორიცაა ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა, სასტუმრო ბიზნესი და სოციალური სამუშაო. თუმცა, ბევრად მეტი კაცია დასაქმებული ისეთ დარგებში, რომლებიც ფიზიკურ შრომას მოითხოვს და საზოგადოებრივ ტრანსპორტში (იქვე).

UN Women-ის ანგარიშის (2018a) თანახმად, ყოველი მეოთხე ქალი საკუთარ თავს დიასახლისად მიიჩნევს. გარდა ამისა, ქალების 24%-ს ურჩევნია დარჩეს სახლში და იზრუნოს შვილებზე, ხოლო ხუთიდან ერთი ქალი, რომელიც ამბობს რომ არ მუშაობს, აღნიშნავს, რომ მათი მეუღლეების სურვილია, რომ მათ არ იმუშაონ. ამ გარემოებებს კიდევ უფრო ართულებს ბავშვის მოვლის სერვისების ნაკლებობა, რაც მომუშავე დედების მოქნილობის ხარისხს კიდევ უფრო ამცირებს. მაგალითად, სკოლები 15:00 საათზე იხურება, საბავშვო ბაღები - 18:00 საათზე, ხოლო სამუშაო დღე, ჩვეულებრივ, 18:00 საათზე სრულდება (იქვე).

გენდერული სახელფასო განსხვავება არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ქალების დაბალ ეკონომიკურ აქტიურობას განაპირობებს. UN Women-ის ანგარიშის (2018a) თანახმად, ბევრი ქალი სამუშაო ძალაში არმონაწილეობის მიზეზად არსებულ სამსახურებში არასაკმარის ანაზღაურებას ასახელებს (2018b). საქართველოში ქალების საშუალო შემოსავალი მამაკაცების საშუალო შემოსავალს მნიშვნელოვან ჩამოუვარდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წელს ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 869.1 ლარი იყო, ხოლო მამაკაცების - 1361.8 ლარი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მამაკაცების ხელფასი ქალების ხელფასს დაახლოებით 1.6-

ჯერ აღემატება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 წ.). 20128 წელს სახელფასო სხვაობამ 41% შეადგინა. თბილისში ეს მაჩვენებელი 43% იყო, სხვა ურბანულ დასახლებებში - 53%, ხოლო სოფლებში - 26% (UN Women, 2018a). საგანგაშოა ის, რომ ეს სხვაობა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არ შემცირებულა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალების მდგომარეობა შრომის ბაზარზე მნიშვნელოვნად არ არის გაუმჯობესებული. მეტიც, საქართველოს ქალაქებში მცხოვრებ 1364 ქალს შორის ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლები პრემიებით, შემწეობებითა და კომპენსაციებით სარგებლობენ (Bendeliani et al., 2014).

შრომის გენდერული ნიშნით დაყოფა თანამედროვე საზოგადოებაში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. ამას მოწმობს მამაკაცების არაპროპორციული კონცენტრაცია ისეთ პროფესიებში, სადაც ტრადიციულად მამაკაცები დომინირებენ და პირიქით, ქალების არაპროპორციული კონცენტრაცია ისეთ დარგებში, სადაც ტრადიციულად ქალები დომინირებენ. სამუშაოს დაყოფის ასეთი მოდელი კიდევ უფრო აძლიერებს გენდერული ნიშნით უთანასწორობას; ქალებს ეზღუდებათ წვდომა შრომის ბაზართან დაკავშირებულ რესურსებზე, შესაძლებლობებზე და ძალაუფლებაზე. გენდერულ სახელფასო განსხვავებასთან ერთად, საქართველოს შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელია არაფორმალური დასაქმება. არაფორმალური დასაქმება მოიცავს ისეთ სამუშაოებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, შეკეთება, საოჯახო საქმე, ვაჭრობა. საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 23% არაფორმალურად არის დასაქმებული (UN Women, 2018b). არაფორმალურ სექტორში ძირითადად ქალები არიან დაკავებული. ბევრი მათგანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა და წელიწადში მამაკაცებთან შედარებით 80 დღით მეტს მუშაობს (აზიის განვითარების ბანკი, 2018 წ.). მეტიც, იმ დარგებშიც კი, სადაც ქალები უფრო მეტად არიან დასაქმებული, ქალებს ხშირად დაბალი თანამდებობები უჭირავთ აღმასრულებელი ან გადაწყვეტილების მიღების შეზღუდული შესაძლებლობებით (UN Women, 2018b). გენდერული ნიშნით შრომის ასეთი დაყოფა და არაფორმალურ დასაქმებაში ქალების ძალიან მაღალი წილი ხაზს უსვამს საქართველოს შრომის ბაზარზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ძლიერ და მრავალწახნაგოვან ხასიათს.



გენდერულად მგრძნობიარე სახელმწიფო სტრატეგიების არარსებობა ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების გზაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მოქმედმა ხელისუფლებამ განახორციელა მხოლოდ ორი პროექტი, რომელთა მთავარ მიზანს ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. პირველი ინიციატივა, პროექტი სახელწოდებით „აწარმოე საქართველოში“, მიზნად ისახავდა მწარმოებლებისა და მეწარმეების მხარდაჭერას კვოტების სისტემით, კერძოდ, 2015 წელს ბენეფიციართა მინიმუმ 20%, ხოლო 2016 წელს - 30% ქალი უნდა ყოფილიყო (საფარი, 2017). პროექტმა მიზანს გარკვეულწილად მიაღწია, თუმცა ქალებს დაფინანსება, ძირითადად, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ეძლეოდათ. მეორე ინიციატივა, კოოპერატივების განვითარების პროექტი, სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერებას ისახავდა მიზნად. თუმცა, 2017 წლისთვის ქალები კოოპერატივის წევრების მხოლოდ 27%-ს შეადგენდნენ და ქალების მხოლოდ 8%-ს ეკავა უმაღლესი თანამდებობები კოოპერატივებში (იქვე). აღნიშნული დასკვნები ხაზს უსვამს გენდერულად მგრძნობიარე ისეთი პოლიტიკის აუცილებლობას, რომელიც კონკრეტულად ქალებზე იქნება ორიენტირებული და აღმოფხვრის შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის ძირეულ მიზეზებს.

სახელმწიფო პოლიტიკასა და პროგრამებში არ არის განსაზღვრული საოჯახო პასუხისმგებლობის მქონე დასაქმებულების პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ზომები და არაფერია ნათქვამი სამუშაო ადგილზე გენდერული დისკრიმინაციის შესახებ. გარდა ამისა, არაფერია ნათქვამი მინიმალური ხელფასისა თუ სამუშაოს თანაბარი ანაზღაურების შესახებ, რაც სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს. მეტიც, ეკონომიკურად არააქტიური, უმუშევარი, ნაწილობრივ დასაქმებული ან არაფორმალურ შრომაში ჩართული ქალები სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას ან დაცვას არ იღებენ, რაც მათი ეკონომიკური მოწყვლადობის ხარისხს ზრდის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც საქართველოში მცხოვრები ქალები იმყოფებიან, დასაქმების შესაძლებლობის საძიებლად მათ ქვეყნიდან წასვლას აიძულებს. საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ჩართული ქალების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.

3 ქალები და სიღარიბე

რაც შეეხება იმ ქალებს, რომლებიც არ არიან წასული საზღვარგარეთ სამუშაოდ, ისინი ხშირ შემთხვევაში არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან. კერძოდ, მსოფლიო ბანკის სისტემატური დიაგნოსტიკური კვლევის ანგარიშის (2018) თანახმად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სიღარიბის საფრთხის წინაშე დგას (UN Women 2020a). ამას ასევე მოწმობს ის ფაქტი, რომ 2017 წელს შინამეურნეობების 33.7% საკუთარ თავს ღარიბად აღიქვამდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ყველა დემოგრაფიული ჯგუფი, ბავშვების გამოკლებით, საკუთარ მდგომარეობას სიღარიბის რეალურ მონეტარულ მაჩვენებლებზე უარესად აფასებს (იქვე). ამ კონტექსტში ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, რადგან იმ შინამეურნეობების ნახევარს, რომელთა უფროსი ქალია (ძირითადად ქვრივები და მარტოხელა დედები), არ აქვს შრომით მიღებული შემოსავალი და, შესაბამისად, ისინი დამოკიდებული არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე ან სოციალურ შემწეობებზე. გარდა ამისა, დედობის დაცვის პოლიტიკა არასათანადოდ ხორციელდება და მშობიარობის ან შვილად აყვანის დროს ეკონომიკურად არააქტიური, უმუშევარი ან არაფორმალურ სექტორში მომუშავე ქალების მხარდაჭერას ვერ უზრუნველყოფს.

4 ქალები და ჯანმრთელობა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია რეგიონში (2023). ეს ვითარება შეიძლება რამდენიმე ფაქტორით აიხსნას. ესენია: ანტენატალური და პერინატალური მოვლა, რომელიც სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, მონიტორინგის ადეკვატური მექანიზმების ნაკლებობა და ჯანდაცვის პროფესიონალების არასაკმარისი რაოდენობა. ვითარებას პოსტნატალური სერვისებისადმი სისტემატური მიდგომის არარსებობა ამძიმებს; მშობიარობის შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტი დედათა ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან ელემენტად არ ითვლება.

საქართველოში აბორტების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, კონტრაცეპტივებზე წვდომა კვლავ შეზღუდულია. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, ამ საკითხის გადასაჭრელად საჭირო სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა ოჯახის დაგეგმვის სერვისებისთვის არახელსაყრელ გარემოს ქმნის (2016). ოჯახის დაგეგმვის კონსულტაციებსა თუ მომსახურებას სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამები არ ითვალისწინებენ (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2019 წ.). ოჯახის დაგეგმვის სერვისები ასევე არ არის გათვალისწინებული პირველად ჯანდაცვაში. თბილისის ფარგლებს გარეთ ამ სერვისებზე შეზღუდული წვდომა საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს.

საქართველოს ახალგაზრდებს შორის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სათანადო ცოდნის ნაკლებობა შესაძლოა ქვეყანაში გავრცელებული ნაადრევი ქორწინების პრაქტიკას უკავშირდებოდეს. სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს ჩატარებულ კვლევაში გამოვლენილ იქნა ნაადრევი ქორწინების 131 შემთხვევა, საიდანაც 20 შემთხვევა სკოლის მიტოვებით დასრულდა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წ.). უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია ნაადრევი ქორწინების და სკოლის მიტოვების მასთან დაკავშირებული შემთხვევების შესახებ ყოველთვის არ აღწევს სახელმწიფომდე, რადგან ზოგიერთი ახალგაზრდა გოგონა შეიძლება ოფიციალური რეგისტრაციის ან სოციალური სამსახურების შეტყობინების გარეშე დაქორწინდეს.

5 ქალთა მიმართ ძალადობა

ოჯახში ძალადობა საქართველოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ქვეყანაში გაიზარდა ფემიციდის შემთხვევები. საქართველოს სახალხო დამცველი ფემიციდის შემთხვევებს, როგორც გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულს, უწევს მონიტორინგს. 2018 წელს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის 17 შემთხვევა დაფიქსირდა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წ.). ამ დანაშაულთა უდიდესი ნაწილი ქმრებმა, პარტნიორებმა, ყოფილმა ქმრებმა, ყოფილმა პარტნიორებმა ან მეგობარმა მამაკაცებმა ჩაიდინეს (იქვე).

ჯავახიშვილის მიერ 2010 წელს ოჯახში ძალადობის შესახებ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული პირველი კვლევის თანახმად, ქალების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ (36%) აღნიშნა, რომ განიცდიდა იძულებით კონტროლს ქმრის ან პარტნიორის მხრიდან, რაც სახლიდან გასვლის ან მუშაობის აკრძალვასაც მოიცავდა. ემოციურ ძალადობას, როგორიცაა მუქარა ან დამცირება, განიცდიდა ქალების 14%, 6% განიცდიდა ეკონომიკურ ძალადობას, ხოლო 7% -ფიზიკურს (ჯავახიშვილი, 2010 წ.). UN Women-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ (2017 წ.) აჩვენა, რომ 15-64 წლის ასაკის იმ ქალების დაახლოებით 14%-მა, რომლებიც ოდესმე ოჯახურ ურთიერთობაში ყოფილან, ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობა განიცადა.

2020 წელს 112-ში ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით 18 482 ზარი დაფიქსირდა, თუმცა გამოიცა მხოლოდ 10 321 შემაკავებელი ორდერი და გამოძიება მხოლოდ 4 637 საქმეზე დაიწყო (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წ.). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიოში გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების რეალური რაოდენობა უფრო დიდია (Palermo et al 2014). გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების შეუტყობინებლობის მიზეზები შეიძლება იყოს:

> […] სირცხვილი და სტიგმა, ფინანსური წინაღობები, დამნაშავეთა დაუსჯელობის განცდა, ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაციის ან ასეთ სერვისებზე წვდომის არარსებობა, კულტურული შეხედულებები, ბავშვების დაკარგვის საფრთხე, დამნაშავისთვის პრობლემების შექმნის შიში, შურისძიების შიში, სასამართლოებსა და სამართალდამცავ ორგანოებში მსხვერპლთა მიმართ დისკრიმინაციული და სტერეოტიპული დამოკიდებულება და ჯანდაცვის მუშაკების მიმართ უნდობლობა.
>
> Palermo et al 2014: 603

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დაბალია. ქალებს ყოველთვის არ შეუძლიათ ძალადობის სხვადასხვა ფორმების ზუსტად ამოცნობა, განსაკუთრებით ეს ეკონომიკურ და ემოციურ ძალადობას ეხება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წ.). ზემოთ ნახსენები ძალადობის სხვადასხვა ფორმების ამოცნობის შემდეგ ქალებმა, შესაძლოა, ძალადობის შესახებ არავის შეატყობინონ; თუმცა, შეტყობინების შემთხვევაშიც ისინი ხშირად დამხმარე სამსახურებისგან (მათ შორის პოლიციისგან) არაადეკვატურ პასუხს იღებენ (საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წ.; საქართველოს სახალხო დამცველი 2020 წ.; საქართველოს სახალხო დამცველი 2022 წ.).

ქალებს ყოველთვის არ შეუძლიათ ძალადობის სხვადასხვა ფორმების ზუსტად ამოცნობა, განსაკუთრებით ეს ეკონომიკურ და ემოციურ ძალადობას ეხება.

საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წ.

04

სოციალურ-კლიმატური მგრძნობელობა საქართველოში

ქალებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის
შეფასება საქართველოში

ფოტო: ნათელა ბერიკაშვილი

4

სოციალურ-კლიმატური მგრძნობელობა საქართველოში

1 კლიმატის ცვლილების ზემოქმედება საქართველოში

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში (UNDP 2021a) წარმოდგენილია საქართველოზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების კომპლექსური მეცნიერული ანალიზი. წინამდებარე ანგარიშში განსაზღვრულია კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისა და სექტორისთვის დამახასიათებელი მოწყვლადობის მოდელები და გამოკვეთილია მათი გავლენა ბუნებრივ რესურსებზე. კლიმატური ზონებისა და მცენარეული საფარის მრავალფეროვნების გამო, კლიმატის ცვლილება საქართველოზე მოზაიკურ ზემოქმედებას ახდენს. კლიმატის ძირითადი მაჩვენებლები, როგორიცაა ჰაერის ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა და ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანად არის შეცვლილი. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიწისპირა ფენაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 1956-1985 წლებთან შედარებით 0.5°C-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში გაიზარდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - შემცირდა. ზოგიერთ რაიონში ნალექების რაოდენობის 20%-იანი ზრდაც კი დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ქარის საშუალო წლიური სიჩქარე წელიწადის ყველა დროს შემცირებულია, ზოგიერთ რეგიონში ქარის მაქსიმალური სიჩქარე და სიხშირე გაიზარდა.

კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოს რესურსებსა და კომპონენტებზე. ნიადაგის გაძლიერებული წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და ტყეების დეგრადაციას იწვევს. კლიმატის ცვლილებამ დააჩქარა მყინვარების უკანდახევისპროცესი,რისშედეგადაცმყინვარებისფართობიდამყინვარებისრაოდენობა,განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში შემცირდა. ვინაიდან საქართველოს მდინარეები მყინვარების ნადნობი წყლით, წვიმის წყლით, მიწისქვეშა წყლით და თოვლის ნადნობი წყლით იკვებებიან, მყინვარების მოცულობის ცვლილება პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მდინარეებზე და ზედაპირული წყლის სხვა ობიექტებზე. მაგალითად, მდინარე რიონის აუზში ზედაპირული ჩამონადენის მოცულობა გაზრდილია, თუმცა, პროგნოზების თანახმად, მომავალში ის შემცირდება. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებამ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეროზიას და შტორმების გაძლიერებას შეუწყო ხელი. ისეთი მეტეოროლოგიური მოვლენები, როგორიცაა გვალვა, ზვავი, წყალდიდობა და ძლიერი ქარი, უფრო ხშირი და ინტენსიური გახდა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ისეთი კატასტროფების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა, როგორიცაა წყალდიდობა და წყალმოვარდნა. ამ სახის კატასტროფები წელიწადში რამდენჯერმე ხდება. ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი მატების, თოვლის დნობისა და ძლიერი წვიმების გამო კატასტროფული წყალდიდობები ყოველ 5-6 წელიწადში ერთხელ ფიქსირდება. ასევე გაზრდილია ისეთი გეოლოგიური პროცესების მასშტაბები და სიხშირე, როგორიცაა ღვარცოფი, მეწყერი და კლდეზვავი. ტყის ხანძრები საფრთხეს უქმნის ეკოსისტემებს, დაცულ ტერიტორიებსა და სახეობებს. შესაბამისად, ზოგიერთი სახეობის პოპულაციები მნიშვნელოვნად არის შემცირებული (Chaladze 2012).

> გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კლიმატისა და გარემოს რესურსების ცვლილებამ სოფლის მეურნეობის სექტორში მოწყვლადობის სხვადასხვა ფორმები წარმოქმნა. მეცხოველეობა უკვე განიცდის უარყოფითი ზემოქმედების შედეგს, რომელმაც რძის წარმოების შემცირება გამოიწვია. შემცირებულია მრავალწლოვანი კულტურების, მარცვლეულისა და ბოსტნეულის ხარისხი და მოსავლიანობა, საძოვრები დეგრადირებულია. გახშირებულმა მეტეოროლოგიურმა და გეოლოგიურმა საფრთხეებმა დასახლებების, ინფრასტრუქტურისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების დაზიანების, ადამიანებში უსაფრთხოების განცდის დასუსტებისა და სტრესის გაჩენის, ადგილმონაცვლეობისა და დაღუპვის შედეგად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 70% და დასახლებული პუნქტების თითქმის 60% საშიშროების სხვადასხვა ხარისხის რისკის ქვეშაა. ქვეყანაში დაფიქსირებულია ზვავის თითქმის 5,000 კერა. 2015 წელს თბილისში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 22 და დაზარალდა 700-მდე ადამიანი, იძულებით გადასახლებას დაექვემდებარა 67 ოჯახი, დიდი ზიანი მიადგა სახლებს, გზებს, საკომუნიკაციო სისტემებსა და ურბანულ ინფრასტრუქტურას, მათ შორის თბილისის ზოოპარკს (Global Facility for Disaster Risk Reduction and Recovery 2015). კლიმატის ცვლილება საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობასაც აზიანებს. ის, რომ სახელმწიფო უწყებები არ არიან მზად იმისათვის, რომ შეამცირონ კატასტროფების რისკები, მოახდინონ სასწრაფო რეაგირება და უზრუნველყონ დროული დახმარება, კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებას კიდევ უფრო აძლიერებს. მაგალითად, 2023 წლის აგვისტოში, რაჭის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტის დაბა შოვში მომხდარმა მეწყერმა 32 ადამიანი იმსხვერპლა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები კი სტიქიის ზონაში კატასტროფიდან ორი საათის შემდეგ მივიდნენ (civil.ge. 2023). ეს მძიმე შედეგები ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილების შედეგად საქართველოში შექმნილი მრავალწახნაგოვანი გამოწვევების გადასაჭრელად პროაქტიური ზომების მიღებისა და კლიმატის მიმართ მედეგი სტრატეგიების მომზადების აუცილებლობას.

2 ურთიერთდამოკიდებულება კლიმატის ცვლილებასა და სოციალურ მოწყვლადობას შორის

განსხვავებული სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედება საქართველოს ყველა რეგიონში სხვადასხვა სახის მოწყვლადობას იწვევს, რომელიც ადამიანთა ჯგუფების მიხედვითაც განსხვავებულია. მარგინალიზებული და სოციალურად დაუცველი ჯგუფები კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ უფრო მგრძნობიარენი არიან. ამ შემთხვევაში მარგინალიზაცია არის სოციალური კონსტრუქცია, სადაც მარგინალობას ძალაუფლება განსაზღვრავს (Cullen & Pretes 2000). ამ გაგებით, მარგინალობა არის „ძალაუფლებრივი ურთიერთობა იმ ჯგუფსა და „სხვებს“ შორის, რომელიც საკუთარ თავს „ცენტრად“ მიიჩნევს, ხოლო ყველა უმცირესობასა და არაწევრს მარგინალურად ან „სხვად“ განიხილავს“ (იქვე: 217). მარგინალობა ჩვეულებრივ ორი კონცეპტუალური მოდელით განისაზღვრება - სივრცითი და სოციალური მარგინალობა Gatzweiler & Baumuller 2014). სოციალური მარგინალობა ხშირად ემყარება ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ.; და ხშირად, ამან შეიძლება ასეთი ჯგუფების სივრცითი მარგინალიზაცია გამოიწვიოს (მაგ., მარგინალიზებული ჯგუფების განდევნა პრივილეგირებული სოციალური სივრცეებიდან) (Cullen & Pretes 2000).

მარგინალიზებული და სოციალურად დაუცველი ჯგუფები არიან (არა მხოლოდ) ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, ქალები, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობები, ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები, ეკომიგრანტები, დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემები (UNFCCC 2018; Climate Just n.d.). აქედან გამომდინარე, მათი საჭიროებების დადგენა და ინკლუზიური მიდგომის გამოყენება იმ პირობების შესაბამისად, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ჯგუფებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესაფასებლად. მაგალითად, კლიმატის ცვლილების მხოლოდ ერთი ისეთი შედეგი, როგორიცაა გვალვა, ერთი და იმავე ასაკობრივი ჯგუფის ქალებზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად მოქმედებს. რუკა 1-ზე ნაჩვენებია 2021-2050 წლებში სითბური ტალღების განსხვავებული შედეგები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ 65 წელს გადაცილებულ ქალებზე (NALAG 2016).

საქართველოში კლიმატის ცვლილების მოდელების აღნიშნული მეცნიერული თვალსაზრისით გაანალიზების შემდეგ, განვიხილავთ იმას, თუ როგორ შეიძლება იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული კლიმატის ცვლილება და სოციალური მოწყვლადობა. ერთი მხრივ, ვითვალისწინებთ, რომ სოციალური და პოლიტიკური დინამიკა კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის გარკვეულ ფორმებს აჩენს; მეორე მხრივ, კლიმატის ცვლილება სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებსა და უთანასწორობას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოში ურბანიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა, რამაც ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, სხვადასხვა სახის ცვლილებები გამოიწვია. 2018 წლის მონაცემებით, მოსახლეობის დაახლოებით 58% ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო აქედან ნახევარი (დაახლოებით 1.1 მილიონი) - თბილისში (აზიის განვითარების ბანკი, 2021 წ.). ურბანიზაცია არის ურბანული ცენტრების გაფართოება, რაც იწვევს მცენარეული საფარის ცვლილებას, ბუნებრივი მიწის საფარის ჩანაცვლებას შენობებით, ტროტუარებითა და სხვა ზედაპირებით. შედეგად კი ურბანული სითბოს კუნძულის ეფექტი იქმნება (Hulley 2012). ეს ხდება თბილისში, სადაც სითბოს კუნძულის ეფექტი სიცხის ზემოქმედებას კიდევ უფრო აძლიერებს, ვინაიდან თბილისში სითბური ტალღების ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სიხშირე უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქებში (Keggenhoff et al. 2015). ძლიერი სითბური ტალღები ჯანმრთელობის სერიოზულად დაზიანებისა და სიკვდილის რისკს შეიცავენ (Im & Eltahir 2017). სიცხის ტალღების მიმართ მოწყვლადობას პირველ რიგში განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჯანმრთელობის სერიოზულად დაზიანების რისკი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამიტომ, ხანდაზმულები, ქრონიკული დაავადებებისა და ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის მქონე ადამიანები, დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები სითბური ტალღების რისკების მიმართ უფრო მეტად დაუცველები არიან (Hajat, Kovats, & Lachowyc 2007; Lopez-Bueno et al. 2020).

ჰაერის დაბინძურებამ ქალაქებში, მათ შორის თბილისში, ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე გააუარესა. 2016 წელს საქართველოში 6845 გარდაცვალების მთავარ მიზეზად ჰაერის დაბინძურება დასახელდა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019 წ). სითბური ტალღებსა და ჰაერის დაბინძურებასთან საბრძოლველად აუცილებელია ურბანული მწვანე სივრცეები. თუმცა, თბილისში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ტერიტორიების ფართობის მაჩვენებელი დადგენილიც არ არის; სხვა ქალაქებში ამ მაჩვენებლის სტანდარტიც კი არ არის დამტკიცებული (იქვე). გარდა ამისა, სითბური ტალღების მიმართ ადამიანების მედეგობაში ძალიან დიდ როლს მათი საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა (Zuurbier et al. 2021) ასრულებს.

2030 წლის თბილისის მედეგობის სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ გეომორფოლოგიის, არასათანადოდ კონტროლირებული მშენებლობების, გაუმართავი სანიაღვრე სისტემების, და სხვ. გამო, თბილისი ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული წყალდიდობების მიმართ მოწყვლადია. თბილისს აქვს მეწყრებთან, გრუნტის არამდგრადობასა და სეისმურ აქტიურობასთან დაკავშირებული პრობლემები (თბილისის მერიის მედეგობის ოფისი, 2019 წ.). თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში სიცხის სიხშირე და ხანგრძლივობაც მკვეთრად გაიზრდება (UNDP 2021a). ეს ქალაქის ინფრასტრუქტურას, მათ შორის საზოგადოებრივ ტრანსპორტს, საფრთხეებისა და ექსტრემალური ამინდის მიმართ მგრძნობიარეს ხდის. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ძირითადად ქალები, სტუდენტები, დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები და უმუშევრები სარგებლობენ (ბაბუნაშვილი, 2021 წ.), კლიმატის ცვლილების ზემოქმედება დამატებითი რისკების მიმართ მარგინალიზებული ადამიანების დაუცველობის ხარისხის გაზრდის.

მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობა გეოგრაფიულად მარგინალიზებულია, რადგან ისინი პერიფერიაში, სოციალური მომსახურების, სავაჭრო, პოლიტიკური და ძალაუფლების ცენტრებისგან შორს ცხოვრობენ. პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მათ თანაბარ პარტნიორებად არ აღიარებენ, მათი საარსებო საშუალებებიც კი არ არის სათანადოდ განვითარებული (FAO 2020). საქართველოში ადამიანებს ჯერ კიდევ არ აქვთ თანაბარი წვდომა წყალმომარაგების სისტემებზე. სოფლად მცხოვრები ბევრი ადამიანი წყალს ჭებიდან და ჭაბურღილებიდან იღებს (ADB 2020). სოციალური და სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემების, სამედიცინო სერვისების, სათანადო ინფრასტრუქტურის (გზები, საკანალიზაციო სისტემები, სანიაღვრე სისტემები, ხიდები, შენობები), ღირსეული საცხოვრებლისა, და სხვ. არარსებობა კატასტროფების შედეგების შერბილების ან თავიდან

აცილების უნარსა და შესაძლებლობებს ამცირებს. მძიმე საცხოვრებელი პირობები, დასაქმებისა და განათლების შესაძლებლობების არქონა ახალგაზრდა და ეკონომიკურად აქტიურ ადამიანებს მაღალმთიანი რეგიონების დატოვებისკენ უბიძგებს. სოფლებში განსაკუთრებით ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ქალების ნაკლებობაა (Kohler et al. 2017; Tevzadze & Kikvidze 2016). სოციალური სერვისების, მათ შორის სკოლების, ამბულატორიებისა და საავადმყოფოების არარსებობა, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ქალებს ქალაქებში გადასახლებას აიძულებს. სოფლის მეურნეობა სოფლად მცხოვრები ადამიანებისათვის შემოსავლის მთავარი წყაროა და შერეული მეურნეობა მათ საარსებო საშუალებებში კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს (Theissen et al. 2019; Tevzadze & Kikvidze 2016). აღსანიშნავია, რომ საქართველოს მაღალმთიანეთში ადამიანები მცენარეთა გამოყენების უფრო მდიდარ და მრავალფეროვნებას ტრადიციულ ცოდნას ავლენენ, ვიდრე ევროპის სხვა რეგიონებში მცხოვრებლები. ტრადიციული ცოდნა სასურსათო უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკოლოგიური მეხსიერებაა, რომელსაც საქართველოს ზოგიერთ რაიონში კულტურული გადარჩენის მნიშვნელობაც აქვს (Bussmann et al., 2016; Bussmann et al. 2017; Sosnovcová 2020).

კლიმატის მიმართ ადამიანების, განსაკუთრებით ქალების, მგრძნობელობის მდგენელებია მობილობა და ტრანსპორტის გამოყენება. ეს მათ ხელს უშლის ისეთ სერვისებზე წვდომაში, რომლებიც მათ თემებში არ არის უზრუნველყოფილი. სოფლად ქალების ყოველდღიური გადაადგილების მაჩვენებელი ქალაქების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაბალია. ქალების მობილობა პირდაპირ არის დამოკიდებული მათ შემოსავალზე და ქალების თქმით, ტრანსპორტზე წვდომის არქონის გამო ისინი ხშირად სამსახურზე უარს ამბობენ. საქართველოში რეგისტრირებული მანქანების მხოლოდ 19%-ია ქალების საკუთრება (სახალხო დამცველი, 2021 წ.). მუნიციპალური ტრანსპორტის სერვისი საქართველოს მხოლოდ 23 მუნიციპალიტეტში მოქმედებს და დასახლებების მხოლოდ 8%-ს (სულ 270 დასახლება) ფარავს (გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, 2022 წ.). ამ და სხვა ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა ოჯახზე ზრუნვა და კულტურული ღირებულებები, ქალების უმეტესობა სოფელს ვერ ტოვებს. აქედან გამომდინარე, სოფელში სარეკრეაციო სივრცეების ნაკლებობა, უმუშევრობის პრობლემა, უწყლობა, და ა.შ. მათ უფრო მეტად აწუხებთ (ტაბიძე და ქოჩლაძე, 2021 წ.). დასახლებების მხოლოდ 23%-ში (800) არსებობს სკვერები ან ბავშვთა გასართობი მოედნები. ბავშვთა გასართობი ადგილების სიმცირე კიდევ უფრო აღრმავებს ქალების დროით სიღარიბეს (გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, 2022 წ.).

ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებელი ბევრად დაბალია სოფლად, რაც ინფორმაციასა და საზოგადოებრივ ჩართულობაზე წვდომას ართულებს (იქვე). ეს შედეგები მეტყველებს სერვისების დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების გენდერულ სიბრმავეზე, რაც მობილობისა და სატრანსპორტო პოლიტიკის უსარგებლობას განაპირობებს. ისინი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ ხისტ გენდერულ როლებს, რომელთა თანახმადაც ქალები პირველ რიგში პასუხისმგებელი არიან მოვლასა და ზრუნვაზე (Briggs and George 2023) და, შესაბამისად, სერვისებზე (როგორიცაა ბავშვების ჯანმრთელობის დაცვა ან გართობა) წვდომა ოჯახის სახელით აქვთ.



რუკა 1. სითბური ტალღების და ექსტრემალური ტემპერატურის ზემოქმედება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ 65 წელზე უფროსი ასაკის ქალებზე 2021-2050 წლებში, 2015 წ.

05

მეთოდოლოგია

5

მეთოდოლოგია

1 კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები

კვლევაში შესწავლილია საქართველოში მცხოვრები ქალების მოწყვლადობა, რომელსაც კლიმატის ცვლილების ზემოქმედება და ტენდენციები ამწვავებს. კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართულ საზოგადოებაში გენდერული თანასწორობისა და ქალების მდგომარეობის, აქტივებზე მათი წვდომისა და მათ მიერ აქტივების კონტროლის, მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების მიმოხილვა და აგრეთვე იმის დადგენა, თუ როგორ მოქმედებს გენდერული უთანასწორობა და ტრადიციული გენდერული როლები კლიმატის ცვლილებისა და მისი ზემოქმედების მიმართ ქალთა მოწყვლადობაზე.

კვლევაში გამოვლენილია ის სისტემური პრობლემები, რომლებსაც ქალები ქართულ საზოგადოებაში აწყდებიან და აგრეთვე ის, თუ როგორ არის ეს პრობლემები და კლიმატის ცვლილება ერთმანეთთან დაკავშირებული და როგორ განსაზღვრავენ ისინი ქალების მოწყვლადობას. კვლევაში აღწერილია კლიმატის ცვლილების ზემოქმედება და ის, თუ როგორ აისახება ის ქალებზე (მათ შორის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე) სოფლად და ქალაქებში. გარდა ამისა, კვლევაში

განხილულია შესაძლებლობები, ტრადიციული ცოდნა და გადაწყვეტები, რომლებმაც, შესაძლოა, ხელი შეუწყონ ქალების შესაძლებლობების გაძლიერებას და კლიმატის ცვლილების მიმართ (და არა მხოლოდ) მათი მედეგობისა და ადაპტაციის უნარის გაზრდას

აქედან გამომდინარე, კვლევა შემდეგ შეკითხვებს პასუხობს:

- როგორია ქალების მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში, მათი წვდომა აქტივებზე და აქტივების მათ მიერ კონტროლი, გადაწყვეტილებების მიღებაში მათი როლი და როგორ ხდის ეს მათ მეტ-ნაკლებად მოწყვლადს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზემოქმედების მიმართ?
- ქალებისათვის დამახასიათებელი რომელი სახის მოწყვლადობა არის გამოწვეული ან გამწვავებული პირველ რიგში საქართველოში კლიმატის ცვლილების ზემოქმედებითა და ტენდენციით?
- რა ზემოქმედებას ახდენს ქალების სხვადასხვა ჯგუფებზე კლიმატის ცვლილება და ტენდენციები, კონკრეტული ჯგუფისთვის მოწყვლადობის რომელი ფორმაა დამახასიათებელი და რომელია საერთო?
- რა სივრცეები არსებობს დღევანდელ საქართველოში ქალებისათვის იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც გამოწვეულია ან გამწვავებული კლიმატის ცვლილებით?
- რა შესაძლებლობები არსებობს და ვის შეუძლია გავლენის ან დადებითი ცვლილების მოხდენა ამ შესაძლებლობების ფარგლებში?

2 კვლევის მეთოდები

საქართველოში კლიმატი ძალიან მრავალფეროვანია, ისევე როგორც საზოგადოება და მის ფარგლებში არსებული ძალაუფლების დინამიკა. აქედან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობა და რისკები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს დასახლების ტიპის (ქალაქი და სოფელი) და ქალების ჯგუფების (ეთნიკური უმცირესობები, ასაკობრივი ჯგუფები, სოციალური მდგომარეობა, შემოსავალი, განათლება და ა.შ.) მიხედვით. სწორედ ამიტომ კვლევა სოციალური კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ტრიანგულაციას იყენებს. თვისებრივი კვლევა საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობისა და მოწყვლადობის კუთხით ქალებთან დაკავშირებული რეპრეზენტატიული მონაცემებისა და განზოგადებული სქემების შეგროვების შესაძლებლობას იძლევა. ამავდროულად თვისებრივი კვლევა ქალების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სიღრმისეულად შესწავლასა და მათ მიმართ მიზანმიმართულ მიდგომას უზრუნველყოფს.

2.1. თვისებრივი კვლევის მეთოდები

სამაგიდე კვლევა: ჩატარდა სამაგიდე კვლევა იმის დასადგენად, თუ რა არის ცნობილი კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ ქალების მოწყვლადობის შესახებ და კონკრეტულად რა მონაცემები მოიპოვება საქართველოსთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვა: 2023 წლის 27-დან 31 მარტამდე პერიოდში ჩატარდა ოთხი ინტერვიუ სამინისტროს წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან გენდერის საკითხებში. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირები არიან ის ადამიანები, რომლებმაც იციან, რა უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს კლიმატის ცვლილებამ ქალებზე და რა სივრცეები არსებობს დღევანდელ საქართველოში ქალებისათვის იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც გამოწვეულია ან გამწვავებული კლიმატის ცვლილებით.

ჩაღრმავებული ინტერვიუები: იმ სხვა ადამიანებისა და ქალთა ჯგუფებისგან მონაცემების შესაგროვებლად, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ წარმოდგენილი ფოკუს ჯგუფებში, გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდი, როგორიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუ. ამ ადამიანების მიდგომებისა და შეხედულებების ცოდნა კვლევისთვის სასარგებლო იქნებოდა. ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა შშმ ქალებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, გარემოს დამცველ აქტივისტებთან, ეკომიგრანტებთან, მცირე ბიზნესის (ფერმა ან საწარმო) მფლობელებთან და ა.შ.

ამ ქალებს სხვადასხვა სახის სისტემური პოლიტიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები აქვთ, რომლებიც კლიმატის ცვლილების შედეგად, შესაძლოა, კიდევ უფრო გამწვავდეს. გარდა ამისა, მათ აქვთ განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მედეგობის გაძლიერების ხელშემწყობი პრაქტიკის მაგალითები, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირებისა და მობილიზაციის შესაძლებლობები, ინდიკატორები ინტერსექციური ანალიზის ჩასატარებლად და გამოწვევები კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საქმეში. ამიტომ, 2023 წლის 8-17 მაისს, Zoom პლატფორმის მეშვეობით ათი ჩაღრმავებული ონლაინ ინტერვიუ ჩატარდა. თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 45-60 წთ გაგრძელდა. რესპონდენტ(ებ)თან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გაკეთდა ინტერვიუების სტენოგრამა და აუდიოჩანაწერი.

ცხრილი 1:
ჩაღრმავებულ ინტერვიუებში მონაწილე რესპონდენტების მახასიათებლები

რესპონდენტების მახასიათებლები	ამ სტატუსის მქონე რესპონდენტების რაოდენობა
გარემოს დამცველი აქტივისტები	2
ქვიარი	1
ეკომიგრანტი (აჭარიდან და სვანეთიდან)	3
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები	2
იძულებით გადაადგილებული პირი	1
ფერმერი	2
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამფუძნებელი	2
მეწარმე	2
კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანი	1

ფოკუს ჯგუფების შეხვედრები: გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების თანახმად (UNDP 2021a, p. 30), „ყველაზე ნიშვნადი დათბობა დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, სადაც ტემპერატურის ნაზრდმა 0.4-0.70C შეადგინა. გამოვლენილი დათბობის ფონზე ნიშვნადია თბური ტალღების ხდომილების ალბათობის და ხანგრძლივობის ზრდა“. შეიცვალა ნალექების რეჟიმიც; ნალექების რაოდენობა გაიზარდა დასავლეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში შემცირდა. კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სოფლის მეურნეობაზე, რაც საკვების წარმოებაზე უარყოფითად აისახება. მაგალითად, დედოფლისწყაროსა და ზუგდიდში ხორბლისა და სიმინდის წარმოებაზე კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. სავარაუდოდ, ამ კულტურებზე მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობით გამოწვეული ზეწოლა მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. გარდა ამისა, საქართველოში ნიადაგის ეროზია სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, მას ემატება წყლისმიერი ეროზია, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია ჭიათურის მუნიციპალიტეტში. მოწყვლადობის პრობლემის განხილვისას აუცილებელია ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა გეოლოგიური და სეისმური საფრთხეების გააქტიურება, ცვლილებები ტყეთმოწყობასა და მიწათსარგებლობაში. ყველა ამ და სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე (მაგ., ეთნიკური უმცირესობები), ამ მუნიციპალიტეტებში ფოკუს ჯგუფების შეხვედრები ჩატარდა.

ფოკუს ჯგუფების შეხვედრებში, რომლებიც საქართველოს 9 დასახლებულ პუნქტში ჩატარდა, სულ 132 ქალმა მიიღო მონაწილეობა. ფოკუს ჯგუფების 7 შეხვედრა სოფლად მცხოვრებ ქალებთან მოეწყო, 8 შეხვედრა - ქალაქებში მცხოვრებ ქალებთან, ხოლო 1 შეხვედრა - თბილისელ ქალებთან. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად განსხვავებული სოციალური მდგომარეობისა (ეთნიკური უმცირესობები, მარტოხელა დედები, შშმ ბავშვების დედები და სხვ.), ასაკისა და დასაქმების სტატუსის მქონე ქალები შეირჩნენ. ფოკუს ჯგუფების შეხვედრები კვლევას საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ ზონაში მცხოვრები ქალების სოციალური და კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის განსხვავებული მოდელების დადგენაში დაეხმარა. ფოკუს ჯგუფების შეხვედრები ჩატარდა 2023 წლის 10 აპრილიდან 4 მაისამდე პერიოდში. კეთდებოდა შეხვედრების სტენოგრამა და აუდიოჩანაწერი.

ცხრილი 2:
ინფორმაცია ფოკუს ჯგუფების ჩატარებული შეხვედრების შესახებ

ადგილი	ფოკუს ჯგუფების ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	თარიღი
თელავი	2	17	10.04.2023
დედოფლისწყარო	2	17	11.04.2023
მარნეული	2	17	21.04.2023
ახალციხე	2	15	24.04.2023
თბილისი	1	8	28.04.2023
ჭიათურა	2	17	01.05.2023
ფოთი	1	9	02.05.2023
მესტია	2	16	03.05.2023
ზუგდიდი	2	16	04.05.2023

მონაცემთა კოდირება: ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფის შეხვედრების ჩანაწერების გაშიფვრის შემდეგ მოხდა მათი კოდირება, ანუ მათ მიენიჭათ თემატური/შინაარსობრივი სახელები, რომელთა საფუძველზეც მოხდა ინტერვიუების დროს გამოთქმული პოზიციებისა და დამოკიდებულებების დალაგება. მონაცემები დაჯგუფდა და მათ შორის არსებული ლოგიკური კავშირები გამოიკვეთა. ამის შემდეგ ჩატარდა განსხვავებული და მსგავსი დამოკიდებულებებისა და მოდელების ანალიზი.

2.2. რაოდენობრივი კვლევა

რეპრეზენტატიული მონაცემები კვლევას საქართველოში ქალებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების განზოგადებული სურათის დანახვაში დაეხმარა. კერძოდ, გამოვლინდა ის, თუ რა სახის ზემოქმედებები შეინიშნება საქართველოს რეგიონებში, განსხვავებულად მოქმედებენ თუ არა სისტემური განმსაზღვრელი ფაქტორები ქალების მოწყვლადობაზე, როგორია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობები მათი დასახლების ტიპის მიხედვით, და სხვ. შესაბამისად, დასახლებების ტიპის მიხედვით რეპრეზენტატიული მონაცემების მისაღებად 760 ინტერვიუ ჩატარდა. ამ შემთხვევაში მთელი საქართველოსთვის ცდომილების ზღვარი 95%-იანი სანდოობით არის 3.6%, გარდა ამისა, ცდომილების ზღვარი სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებების მიხედვით 95%-იანი სანდოობით 5%-ია. კვლევისთვის რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად საჭირო საველე სამუშაოები 2023 წლის 3-დან 13 ივლისამდე ჩატარდა.

ცხრილი 3:
ინტერვიუების რაოდენობა და ცდომილების ზღვარი.

რეპრეზენტატიული გამოკითხვა დასახლების ტიპების მიხედვით	ცდომილების ზღვარი (95%-იანი სანდოობით)	ინტერვიუების რაოდენობა
სოფლის ტიპის დასახლებები	5.0%	377
ქალაქის ტიპის დასახლებები	5.0%	377
საქართველო	3.6%	**760**

დეტალური შერჩევა

რესპონდენტების შესარჩევად გამოყენებულ იქნა ალბათური შერჩევის მოდელი, კერძოდ, კლასტერული შერჩევა პირველადი სტრატიფიკაციის მეთოდით. შერჩევის ჩარჩო განისაზღვრა ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით საქართველოში ქალების განაწილების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვისა და კვლევაში სოფლად და ქალაქებში მცხოვრები როგორც ახალგაზრდა, ასევე ხანდაზმული ქალების ჩართვის უზრუნველსაყოფად.

საწყის ეტაპზე შესარჩევი სუბიექტები გეოგრაფიული ნიშნით, საქართველოს რეგიონების მიხედვით იყვნენ განაწილებული. რეგიონები სტრატების ფუნქციას ასრულებდნენ. ამის შემდეგ მოხდა რეგიონების დაყოფა სოფლებად და ქალაქებად. სტრატიფიკაციის შემდეგ მუნიციპალიტეტებიდან განისაზღვრა კლასტერები, შეირჩა ქალაქები და სოფლები.

კლასტერიზაციის პროცესში იდენტიფიცირებულ იქნა პირველადი (PSU), მეორადი (SSU) და საბოლოო (FSU) შერჩევის ერთეულები.

- პირველადი შერჩევის ერთეული (PSU): რეგიონები - თბილისი, აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და შიდა ქართლი. ერთეულები სოფლებისა და ქალაქების სტრატებად დაიყო.
- მეორადი შერჩევის ერთეული (SSU): ოჯახი. პირველი ოჯახი დასახლებაში შემთხვევითი პრინციპით შეირჩა. ინტერვიუერები ამ პირველი მისამართიდან სხვა ოჯახებში სახლებს/ბინებს შორის გარკვეული ინტერვალის დაცვით გადადიოდნენ.
- საბოლოო შერჩევის ერთეული (FSU): რესპონდენტი. თუ ოჯახში ერთზე მეტი ქალი იყო რესპონდენტების (ქალების) შერჩევა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის უზრუნველსაყოფად, დაბადების უახლოესი თარიღის მიხედვით ხდებოდა. თუ პირველი ვიზიტის დროს გარკვეული საპატიო მიზეზების გამო შერჩეულ რესპონდენტებთან გასაუბრება (რესპონდენტები არ იყვნენ სახლში, იყვნენ დაკავებული, შეუძლოდ, და სხვ.) შეუძლებელი იყო, ინტერვიუერი ვალდებული იყო სულ მცირე ერთხელ მაინც მისულიყო აღნიშნულ ოჯახში; იმ შემთხვევაში, თუ გასაუბრება მეორე ვიზიტის დროსაც ვერ ხერხდებოდა, აღნიშნული ოჯახის სხვა ოჯახით იცვლებოდა.

ცხრილი 4:
ინტერვიუების პროპორციული განაწილება რეგიონებისა და ქალთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	ინტერვიუების რაოდენობა		
საქართველოს რეგიონები	ქალაქებში მცხოვრები ქალები	სოფლად მცხოვრები ქალები	სულ
თბილისი	190	10	200
აჭარა რეგიონი	34	30	64
გურია რეგიონი	8	20	28
იმერეთი რეგიონი	45	70	115
კახეთი რეგიონი	10	60	70
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი	8	16	24
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი	0	9	9
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	24	50	74
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	9	25	34
ქვემო ქართლის რეგიონი	34	50	84
შიდა ქართლის რეგიონი	18	40	58
სულ	380	380	**760**

ქალებუს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	
18-29	155
30-44	188
45-64	255
65+	162
სულ	**760**

საველე სამუშაოებისათვის მომზადება

გამოკითხვა ჩაატარა სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA) მწვანე ალტერნატივასთან მჭიდრო კოორდინაციით. ჩატარდა პილოტური გამოკითხვა ინსტრუმენტებში კითხვების ლოგიკურობისა და ფორმულირების შესამოწმებლად. კითხვარის დასრულების შემდეგ ISSA-ს ინტერვიუერებს ჩაუტარდათ ტრენინგი კითხვარის თავისებურებებზე, გამოკითხვის პროტოკოლზე, მათ პასუხისმგებლობებსა და მოთხოვნებზე (მათ შორის ეთიკის), შერჩეული რესპონდენტების ტიპზე. გამოკითხვის პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სპეციალურად შერჩეული ორი მონიტორი სატელეფონო გამოკითხვით ინტერვიუერების მიერ ჩატარებულ სამუშაოს ამოწმებდა.

მონაცემთა კოდირება

საველე სამუშაოების ჩატარების პროცესში სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის სტატისტიკოსებმა კითხვარის საფუძველზე SPSS მონაცემთა ბაზა შეიმუშავეს. სტატისტიკოსებმა მონაცემები გაასუფთავეს, წონა მიანიჭეს და დაამუშავეს. მონაცემთა გაწმენდა სამ ქვეპროცესს მოიცავდა:

- მონაცემთა შემოწმება და შეცდომების გამოვლენა
- მონაცემთა დადასტურება;
- შეცდომების გამოსწორება.

ბოლო ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აღწერითი და ანალიტიკური სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

06

მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები

ფოტო: ნათელა გრიგალაშვილი

6

მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები



1 კლიმატის კრიზისის კანონზომიერებები და ზემოქმედება საქართველოში მცხოვრებ ქალებზე

კვლევაზე დაყრდნობით წინამდებარე ანგარიშში განხილულია კლიმატის კრიზისის კანონზომიერებები და ზემოქმედება საქართველოში მცხოვრებ ქალებზე. დასკვნებში ხაზგასმულია ქალების მაღალი მგრძნობელობა კლიმატის ცვლილების მიმართ და მათი დიდი სურვილით, გაიგონ მეტი კლიმატის ცვლილებისა და მასთან ადაპტაციის შესახებ.

ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალების მგრძნობელობა კლიმატის ცვლილების მიმართ საკმაოდ მაღალია, ამასთან ისინი გამოხატავენ სურვილსა და მზადყოფნას, გაიგონ მეტი კლიმატის ცვლილებისა და მასთან ადაპტაციის შესახებ. კლიმატის ცვლილების ყველაზე მძიმე ზემოქმედებებს შორის ქალები ასახელებენ გვალვების გაძლიერებას, ნიადაგის ეროზიას, ძლიერი ქარებისა და სითბური ტალღების გახშირებას, არამდგრად ამინდს, გახშირებულ სეტყვას და ხანმოკლე გაზაფხულსა და შემოდგომას. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ სამწუხაროდ, თოვლი აღარ მოდის და ყინვები აღარ არის ისეთი ძლიერი, როგორც ადრე, თუმცა ცივი დღეების რაოდენობა და გვიანი ყინვების შემთხვევები იზრდება. ასევე შეცვლილია ქარების მიმართულება და სიძლიერე, ხოლო ამინდი უფრო არაპროგნოზირებადი გახდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით...

"ან ძალიან ცივა, ან ძალიან ცხელა, გარდამავალი პერიოდი აღარ არსებობს, ან ზაფხულია ან ზამთარი"

თბილისელი ქალი

"ადრე ფოთში ზაფხული უფრო გრძელი იყო, ახლა - აღარ"

ფოთელი ქალი

"ყინვები გაძლიერდა და ცივი პერიოდი უფრო დიდხანს გრძელდება. ძირითადად ზამთარია, მოკლე შემოდგომა და ორი თვე გვალვა"

ახალციხელი ქალი

გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ ქალების მგრძნობელობა კლიმატის ცვლილების მიმართ მაღალია, ამასთან ისინი ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ მათ სჭირდებათ მეტი ცოდნა კლიმატის ცვლილებისა და მასთან ადაპტაციის შესახებ. ამ მხრივ სოფლად და ქალაქში მცხოვრებ ქალებს შორის ოდნავ განსხვავებული ტენდენციები ფიქსირდება. კერძოდ, სოფლად მცხოვრები ქალები უფრო ძლიერად გრძნობენ კლიმატის ცვლილებას და გამოთქვამენ მზადყოფნას, გაიგონ მეტი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ცხრილი 5:
მოსაზრებებზე დათანხმების შეფასება 5-ქულიანი სისტემით დასახლების ტიპის მიხედვი

მოსაზრება	ქალაქი	სოფელი	სულ
საქართველოში კლიმატი საგრძნობლად შეიცვალა - გაუარესდა	4.12	4.44	4.25
კლიმატის ცვლილება ჩემზეც უარყოფითად მოქმედებს	3.58	4.12	3.80
საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკებისა და ზემოქმედების შემცირებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს	4.12	4.22	4.16
საქართველოში სოციალური პრობლემების სიმძიმის გამო კლიმატის ცვლილებას ნაკლები ყურადღება ექცევა	3.70	3.97	3.81
მე მჭირდება მეტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კლიმატის ცვლილება და როგორ მოქმედებს ის ჩვენზე	3.45	3.78	3.58
მე მჭირდება მეტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავუმკლავდე კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას	3.41	3.82	3.58
მე მჭირდება მეტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემიძლია გავაკეთო კლიმატის ცვლილების შესარბილებლად	3.42	3.82	3.58

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს შემდეგი სახის მოვლენებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება გაუჭირდა (ან უარი თქვა შეფასებაზე): მეწყრული პროცესების (28.1%) და ზვავების (28.1%) გააქტიურება, ზღვის დონის აწევა (25.7%), წყალდიდობების/ წყალმოვარდნების სიხშირის ზრდა (24.0%), ტყის ხანძრების გაძლიერება (20.3%). ეს შეიძლება აიხსნას ამ მოვლენებისა და კლიმატის ცვლილებასთან მათი კავშირის შესახებ ცოდნის არქონით, ან ამ მოვლენების მთავარ მიზეზების შესახებ განსხვავებული წარმოდგენებით.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ტიპების დასახელების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია სოფლად მცხოვრებ ქალებს შორის, თუმცა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესები და მათი შედეგები სოფლად და ქალაქებში განსხვავებულად ვლინდება. მაგალითად, სოფლად მცხოვრებ ქალებზე ძლიერ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გვალვა, რის შედეგადაც მათ უმცირდებათ საკვები პროდუქტების მარაგები (50.4%), უმცირდებათ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნება (46.8%) და უმცირდებათ შემოსავალი (44.3%). გაძლიერებული გვალვების ზემოქმედება ქალაქში მცხოვრებ ქალებზე უფრო მეტად მათი ჯანმრთელობის გაუარესებაში (40.9%), შრომისუნარიანობის შემცირებასა (28.5%) და საკვები პროდუქტების მარაგების შემცირებაში (22.8%) ვლინდება. ქალაქებში (60.8%) და სოფლად (39.5%) მცხოვრები ქალების ჯანმრთელობაზე სითბური ტალღების ზემოქმედება გვალვის ზემოქმედებაზე ძლიერია. სავარაუდოდ, მაღალი უნდა იყოს ზემოქმედება სოფლად მცხოვრები ქალების ჯანმრთელობაზეც, თუმცა მათ უფრო მეტად სოფლის მეურნეობაზე გაზრდილი ზემოქმედება ადარდებთ. კლიმატის ცვლილების მნიშვნელოვან შედეგებად დასახელდა ზემოქმედებები, რომლებიც იწვევენ უსაფრთხოების დონის შემცირებას და ქალებში სტრესის დონის ზრდას.

დიაგრამაზე წარმოდგენილია გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების მიერ კლიმატის ცვლილების გამოვლინებასა და მის შედეგებთან დაკავშირებით გაცემული პასუხები შეჯამებული სახით. დიაგრამა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლენილ ყველაზე თვალსაჩინო კავშირებს აჩვენებს.

დიაგრამა 1:
მარჯვნივ წარმოდგენილია კლიმატის ცვლილების შედეგები, ხოლო მარცხნივ - მათი ზემოქმედება რესპონდენტებზე

სამუშაო დატვირთვისა და შრომის გაზრდა	**ნიადაგის ეროზია, გაძლიერებული გვალვა და ნალექების შემცირებული რაოდენობა**
შემოსავლის შემცირება	**ნალექების შემცირებული რაოდენობა, გახშირებული სეტყვა, გაძლიერებული გვალვა, ნიადაგის ეროზია და გაძლიერებული ქარები**
შინამეურნეობების სასურსათო უსაფრთხოების დონის შემცირება	**გახშირებული ძლიერი წვიმები და გაძლიერებული ყინვა**
ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობის გაუარესება	**სეზონური და მეტეოროლოგიური არასტაბილურობა, გაძლიერებული სითბური ტალღები**
ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება	**თოვლის შემცირება**
უსაფრთხოების შეგრძნების შესუსტება	**წყალდიდობებისა და მეწყრების, ძლიერი ქარებისა და წვიმების, სეტყვისა და ზვავების გახშირება**
დასახლების ინფრასტრუქტურის დაზიანება და მობილობის დაქვეითება	**ძლიერი წვიმების გახშირება**
ბუნებასთან გაუცხოება	**ბიომრავალფეროვნების შემცირება, ტყის ხანძრები**

კლიმატის ცვლილება სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სახის საფრთხის წარმოქმნითა და გაძლიერებით ვლინდება, თუმცა ხშირად ერთდროულად სხვადასხვა ფორმითაც იჩენს თავს. გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52.2%) აცხადებს, რომ მრავლობითი საშიშროების, ძირითადად, გვალვის, ძლიერი ქარისა და სეტყვის რისკის ზონაში ცხოვრობს. ამ ქალების ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ კატასტროფა მათ დასახლებაში წელიწადში 3-4-ჯერ მაინც ხდება.

კატასტროფების რისკის ზონებში მცხოვრები ქალების თანახმად, კატასტროფები აზიანებს საცხოვრებელ სახლებს (60.2%), კომუნიკაციებს (54.6%) და მუნიციპალურ (54.2%) ინფრასტრუქტურას, სასოფლო-სამეურნეო მიწებს (50.8%), კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს (26.4%), საძოვრებსა (19.7%) და სხვა კერძო ნაგებობებს (18.9%).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, ზოგადად, კატასტროფების შედეგად ყველაზე მეტად

პერიფერიაში მდებარე დასახლებები ზარალდება, რადგან კავშირი ამ დასახლებებსა და ისედაც დაშორებულ ურბანულ ცენტრებს შორის ადვილად ირღვევა, რაც სერვისებისა და პროდუქტების მიწოდებას ართულებს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გახშირებული მეწყრული მოვლენები დასახლებებში სხვადასხვა სახის გამოწვევებსა და პრობლემებს ქმნის. მოსალოდნელი დაზიანებების თავიდან ასაცილებლად ადგილობრივებს არ აქვთ სერვისებზე სათანადო წვდომა არა მხოლოდ კატასტროფების, არამედ სუსტი ქარის ან უამინდობის დროსაც კი.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით...

"ხანდახან სურსათის განაწილებაც ფერხდება, მეწყრის დროს პროდუქტები ჩვენს დასახლებაში ვერ ამოაქვთ"

მესტიელი ქალი

"პირადად მე მეწყერმა დიდი ზარალი მომაყენა: ჩემთან ბათუმიდან 15-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. სწორედ იმ დროს ხაიშის მიდამოებში ძლიერი წვიმა მოვიდა და როდესაც მეწყერი ჩამოწვა, სტუმრები ვერ გამოდიოდნენ. ტექნიკა იყო, მაგრამ ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელით"

მესტიელი ქალი

ქალები აღნიშნავენ, რომ სახლებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობისას არ ხდება ადგილობრივი გეოლოგიური და სეისმური პირობების სათანადოდ გათვალისწინება, ამის კატასტროფების მიმართ მოწყვლადი ადამიანების რაოდენობა იზრდება.

კატასტროფების მიმართ მოწყვლადია ქალაქებიც, კერძოდ, ძლიერი წვიმების და ქარის დროს იტბორება ქუჩები, ზიანდება შენობები და საცხოვრებელი სახლები და იზღუდება გადაადგილება. თუმცა, დასახლებებზე უარყოფითად ძლიერი სიცხეც მოქმედებს. მაგალითად, დედოფლისწყაროს ფოკუს ჯგუფის შეხვედრისას აღინიშნა, რომ "იმ სამი თვის განმავლობაში ჩვენთვის თითქოს ყველაფერი ჩერდება. სადღაც საღამოს 7 საათის შემდეგ ეს სიცხე ზაფხულის სიცხედ იქცევა. ივლისი და აგვისტო რთული თვეებია".

კატასტროფების რისკის ზონებში მცხოვრები ქალების 36.7% აცხადებს, რომ მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლი რისკის ზონაში მდებარეობს; 22.7%-ს აქვს ბოსტანი, 21.0%-ს - დამუშავებული მიწა, 6.1%-ს - დაუმუშავებელი მიწა, ხოლო 0.8%-ს - საკუთარი ბიზნეს-ობიექტი.

დიაგრამა 2:
კატასტროფების რისკის ზონებში მცხოვრები რესპონდენტების ოჯახების ქონება



ამ ქალების დაახლოებით ნახევარი (47.2%) აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ინფორმირებულია კატასტროფის შედეგად მათთვის მიყენებული ზარალისა და არსებული რისკების შესახებ. 29.2%-ის თანახმად, ამის შესახებ არცერთი უწყება არ არის ინფორმირებული, 19.9%-ს კი უჭირს პასუხის გაცემა. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი საუბრობს სახელმწიფო უწყებების მიერ მათთვის გაწეული დახმარების შესახებ. მათგან თითქმის ნახევარს უჭირს შეაფასოს, თუ რამდენად არის ის კმაყოფილი მიღებული დახმარებით.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, რისკის ზონაში მცხოვრები ქალებისთვის კატასტროფების ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას წარმოადგენს უსაფრთხოების დონის შემცირება (44.7%), მოსავლის შემცირება (36.1%) და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუარესება (31.3%). კატასტროფის შემთხვევაში გამოკითხულთა 51.4% პირველ რიგში ოჯახის წევრს დაუკავშირდება, 18.9% - მეზობელს, 12.7% - არავის. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (7.3%) ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს (6.2%) დაუკავშირდებიან, დაბალია.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები იხსენებენ კატასტროფებს და მათთან დაკავშირებულ ტრავმულ გამოცდილებას, მაგალითად, იმას, თუ როგორ დაიღუპნენ ადამიანები ძლიერი ქარის დროს, ან როგორ დაემართა ბავშვს ცრუ კრუპი წყალდიდობით გამოწვეული შიშის გამო. ისინი აცხადებენ, რომ მიღებული ტრავმა დიდხანს იგრძნობა და ქარისა და წვიმის დროს დაუცველობის განცდას იწვევს.

> “2012 წელს თელავში დიდი ქარიშხალი ამოვარდა. სამი წლის ბავშვი მყავდა. როდესაც სახლში წყალი შემოვიდა, მხოლოდ კარადა იყო მშრალი. ბავშვები გადასარჩენად კარადაში ჩავსვი. ამის მერე ძალიან მეშინია, ჩემს შვილს ცრუ კრუპი დაემართა და მთელი წელი საავადმყოფოში გავატარეთ. ახლა უკვე დიდია და თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ქარის და წვიმის მაინც ეშინია“
>
> – თელაველი ქალი

ქალებს განსაკუთრებით ეშინიათ სეტყვის, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს მათი ოჯახის მთელი მოსავალი, მოსავლის აღების დროსაც კი. ქალების დაკვირვებით, სეტყვის სიხშირე, ინტენსივობა და ხანგრძლივობა გაზრდილია. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქალებს განსაკუთრებით აწუხებთ ტყეების განადგურება ხანძრების შედეგად. ტყეების აღდგენა ხანგრძლივი პროცესია და დროა სახელმწიფომ ხანძრების პრევენციის სათანადო სისტემა უზრუნველყოს. აღინიშნა, რომ მაგალითად, სვანეთში, ლატალის თემში აქვთ სპეციალური ზარი, რომელიც ხანძრის დროს ადამიანების გასაფრთხილებლად გამოიყენება.

> “ჩვენ ძალიან ვეხმარებით ერთმანეთს, ვიცით, როგორ დავრეკოთ ზარი. ზარი იმის ნიშანია, რომ ყველა უნდა გამოვიდეს, კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. სახანძრო რაზმისა და ვერტმფრენის მოსვლამდე ხანძარს საკუთარი ხელებით ვებრძვით. ჩვენ გვაქვს ერთი საეკლესიო ზარი და მეორე საგანგაშო ზარი, მას სხვა ხმა აქვს და ყველამ იცის, რომ ამ დროს უნდა გამოვიდეს.”
>
> – მესტიელი ქალი

კატასტროფები, ისევე როგორც სხვა კრიზისები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე უფრო მწვავე ზემოქმედებას ახდენს. ამიტომ აუცილებელია ისეთი სამოქმედო გეგმები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება ასეთ ვითარებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქცევა და შესაბამისი მხარეების მოქმედებები მათ დასახმარებლად. გეგმები უნდა იყოს ინკლუზიური, ვინაიდან სხვადასხვა ტიპის შშმ პირებს შესაძლოა განსხვავებული სახის დახმარება დასჭირდეთ. რესპონდენტები იხსენებენ კარგ მაგალითს, კერძოდ, ძლიერი თოვლის გამო როგორ დაეხმარნენ ზემო აჭარაში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს საცხოვრებლად სკოლასთან ახლოს გადასვლაში.

კატასტროფებთან დაკავშირებით ქალები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი წინასწარ არ იღებენ შეტყობინებებს, რაც, სულ მცირე, მათ საკუთარი შვილების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება.

> “როდესაც შვილი გყავს, ყველაფერი შეგიძლია დაივიწყო. ერთადერთი, რაც კატასტროფების დროს გინდა, არის ბავშვის უსაფრთხოება. ბუნებრივი კატასტროფის დროს იმპულსურად მოქმედებ და თუ წინასწარ ხარ გაფრთხილებული, ემზადები”
>
> – ეკომიგრანტი ქალი

2 ქალთა მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში და სისტემური პრობლემები, რომლებიც კლიმატის კრიზისთან ადაპტაციისთვის მათ შესაძლებლობებს აქვეითებენ

წინამდებარე თავში გამოვლენილია სტრუქტურული უთანასწორობის გენდერული ასპექტები კლიმატის ცვლილების ზემოქმედებებთან დაკავშირებით. ეს სტრუქტურული უთანასწორობა, როგორიცაა დასაქმება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, წვდომა ძირითად სოციალურ სერვისებსა და მნიშვნელოვან რესურსებზე ქალებს ხელს უშლის საკუთარი სოციალური უფლებების რეალიზებასა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაში. ნაჩვენებია, რომ მოწყვლადობა სტრუქტურულ მდგომარეობას წარმოადგენს და გამოვლენილია კავშირები კლიმატის კრიზისთან. ზოგიერთი მაგალითი გვაძლევს შესაძლებლობას, გავაანალიზოთ, თუ როგორ ვითარდება ქალებისა და ქალთა სხვადასხვა ჯგუფების მოწყვლადობა. ისინი ზღუდავენ დამატებით გარე პრობლემებთან ქალების ადაპტაციის შესაძლებლობებს და ზრდიან კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ მათი დაუცველობის ხარისხს. კლიმატთან დაკავშირებული და სოციალური კრიზისი ქალების მიერ საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღებას იწვევს და ამძიმებს მათ სოციალურ, ჯანმრთელობისა და ეკონომიკურ მდგომარეობას. ძირითადად გაანალიზებულია რაოდენობრივი მონაცემები, ხოლო კორელაცია სხვა ცვლადებთან მნიშვნელოვანია გამოკითხულთა დასახლებების ტიპების მიხედვით.

2.1. ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც მოწყვლადობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი

სტაბილური შემოსავალი ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რაც ასევე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ მედეგობასთანაც არის კავშირში. ფოკუს ჯგუფის წევრების აზრით, პირადი შემოსავალი არის მათ მიერ შრომითი პოტენციალის გამოყენების, პიროვნული განვითარების, სოციალიზაციისა და სხვა სოციალური აქტივობების განხორციელებია ერთგვარი გარანტია. თუმცა, გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ თითქმის ყოველ მეოთხე ქალს (23.2%) არ აქვს სტაბილური შემოსავალი, ხოლო თითქმის ყოველი მესამე ქალის (33.3%) სტაბილური შემოსავლის წყაროს სახელმწიფოს მიერ მათთვის სხვადასხვა მიზეზით დანიშნული პენსია/შემწეობა (მაგ.: ხანდაზმულობის პენსია, იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობა, სოციალური დახმარება და ა.შ.). წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ფული ქალების მხოლოდ 2.8%-თვის წარმოადგენს საკუთარი სტაბილური შემოსავლის წყაროს, ხოლო ოჯახის წევრების ფულადი გზავნილები ან ნათესავებისგან მიღებული დახმარება ქალების 5.9%-ის შემოსავლის წყაროა.

სტაბილური შემოსავლის მქონე ქალების თითქმის ნახევრის მაქსიმალური თვიური შემოსავალი 400 ლარს შეადგენს. 32.5%-ის შემოსავალი 401-დან 800 ლარამდეა, 11.5%-ის - 801-დან 1200 ლარამდე, ხოლო 6.7%-ის - 1201 ლარზე მეტი. 12.7%-ს გაუჭირდა ან უარი თქვა შემოსავლის ოდენობის დასახელებაზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1055.5 ლარს შეადგენს. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის შემოსავალი ამ მაჩვენებელს არ აღემატება.

რაც შეეხება საქმიანობას, გამოკითხულთა შედარებით დიდი რაოდენობა დიასახლისი (26.7%) და პენსიონერია (26.1%). 14.3% დასაქმებულია საჯარო სექტორში, ხოლო 14.9% - კერძო სექტორში. სოფლის მეურნეობის სექტორში თვითდასაქმებული ქალების (2.3%) და მეწარმეების (2.9%) რაოდენობა ძალიან მცირეა. უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლის ოდენობა ოდნავ განსხვავდება საცხოვრებელი ადგილის

მიხედვით. ირკვევა, რომ ქალაქებში ქალების შემოსავალი შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. 400 ლარზე მაღალი შემოსავალი აქვს ქალაქში მცხოვრები ქალების 44%-ს და სოფლად მცხოვრები ქალების 32.2%-ს.

შემოსავლის წყაროების განაწილება და გამოკითხულთა ოჯახების შემოსავლების ოდენობა არც სახარბიელო სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის სურათს აჩვენებს. გამოკითხულთა 45.4%-ის შემოსავლის წყაროს ხელფასი ან შრომის ანაზღაურება წარმოადგენს, 35.5%-ის შემოსავლის წყაროს - სახელმწიფოსგან მიღებული პენსია/დახმარება, 6.6%-თვის შემოსავლის წყაროა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხა, 8.5%-თვის - ოჯახის წევრების ან ნათესავების ფულადი გზავნილები, კერძო ბიზნესიდან შემოსავალი მხოლოდ 0.9%-ს აქვს, 2.9%-მა კი უარი თქვა ან გაუჭირდა პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 8.7%-ის ოჯახების შემოსავალი 400 ლარამდეა, 14.9%-ის - 401-დან 800 ლარამდე, 15.4%-ის 801-დან 1200 ლარამდე, 14.6%-ის - 1201-დან 2000 ლარამდე და 7%-ის - 2001 ლარზე მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 31.6%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 7.8%-მა უარი თქვა პასუხის გაცემაზე. შემოსავლის განაწილება დასახლებების ტიპის მიხედვით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

დიაგრამა 3:
ქალებისა და მათი ოჯახების სტაბილური საშუალო თვიური შემოსავალი.



რაც შეეხება შემოსავლის მიღებისა და განკარგვის საკითხებს, ქალების 52.7% აცხადებს, რომ პასუხისმგებელია ოჯახში საკუთარი ფინანსური წვლილის შეტანაზე, აქედან 19.5%-ს ეს ვალდებულება მხოლოდ მას აკისრია. ქალების 43.3% ამ პასუხისმგებლობას მეუღლესთან, 19.1% - ოჯახის წევრ სხვა ქალებთან და 18% - ოჯახის წევრ სხვა მამაკაცებთან იყოფს. რაც შეეხება ფინანსური სახსრების განკარგვას, გამოკითხულთა დიდი რაოდენობა - 76.1% ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღება მათ უწევთ, ხოლო 14.7% აცხადებს, რომ ოჯახში მხოლოდ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას. ოჯახის ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობენ გამოკითხული ქალების მეუღლეები (56%), ოჯახის სხვა მამრობითი სქესის წევრები (25.2%) და სხვა ქალები (25.1%).

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ქალების თანახმად, მათთვის რთულია ოჯახის შემოსავლის საკუთარი საჭიროებისთვის გამოყენება, ვინაიდან ოჯახის შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ ის ბავშვებისა და ოჯახის ძირითად საჭიროებებზე იხარჯება. საკუთარი შემოსავლის მქონე ქალებიც იგივეს ამბობენ - მათი შემოსავალიც ოჯახის საჭიროებებისთვისაც გამოიყენება. დაბალი შემოსავალი, რომელიც ქალების გადმოცემით, ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს, ქალებსა და ბავშვებს ბევრ შესაძლებლობას უზღუდავს, აუარესებს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ზრდის სხვადასხვა პრობლემების მიმართ მათი მოწყვლადობის დონეს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით...

"ჩემს შემთხვევაშიც ასეა, მე ვარ ოჯახის მარჩენალი და წლებია, რაც ჩემს ქმარს მუშაობა აღარ შეუძლია. ამიტომ ჩვენ ჩვენს ყველა შემოსავალს ვიყოფთ და ოჯახს ვახმართ."

"თუ სამსახური და შემოსავალი არ გაქვს, პირადი მოხმარების ნივთებს ვერ იყიდი. ადამიანს ათასი რამ სჭირდება, მაგრამ ვერ ყიდულობს. მე ჩემი ოჯახის წევრებზე ვარ დამოკიდებული. ეს იმიტომაც არის ცუდი, რომ პიროვნულად ვერ ვითარდები. როცა ახალ სამსახურში მიდიხარ, რაღაცას სწავლობ, ვითარდები, სოციალურ ურთიერთობებს ამყარებ."

- ჭიათურელი ქალი

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57.8%) საკუთარი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ამბობს, რომ მათი შემოსავალი ძირითადად საკვებსა და ტანსაცმელს ხმარდება, ხოლო 30.3% აცხადებს, რომ მათ საკუთარი შემოსავალი/მოსავალი მხოლოდ საკვებად ჰყოფნით. კიდევ უფრო მძიმეა 5.8%-ის ეკონომიკური მდგომარეობა. ქალების მხოლოდ 3.8% ამბობს, რომ მათ საკუთარი შემოსავლით ძვირადღირებული ნივთების ყიდვა შეუძლიათ. სოფლებისა და ქალაქების ტიპებიდან გამომდინარე, ეს ტენდენცია ყველგან მსგავსია.

ქალების ნახევარზე მეტი (52.6%) ამბობს, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში ვერ შეძლო ამ პროდუქტებიდან/მომსახურებიდან ზოგიერთის ან მათი უმეტესობის შეძენა. მხოლოდ 6.7% აცხადებს, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა და ახლა მეტი პროდუქტის/მომსახურების შეძენა შეუძლიათ. 37.1% ამბობს, რომ მათი მდგომარეობა არ შეცვლილა და იგივე ნივთების შეძენას ახერხებენ. გამოკითხულთა აზრით, უფრო მეტად ქალაქებში მცხოვრები ქალების ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო სოფლად მცხოვრები რესპონდენტთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად არ შეცვლილა. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე მის დასახლებაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქალების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას ასე აფასებს: „ჩვენ, ქალები, ნიღაბს ვატარებთ, ხოლო ნიღბის უკან - ტკივილს" - ჭიათურელი ქალი

ზოგადად, ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობა კოვიდ-19-ის პანდემიის გამო მნიშვნელოვნად გაუარესდა. თუ ოჯახების ეკონომიკურ სტაბილურობაზე გარე ფაქტორები გარკვეულწილად ზემოქმედებენ, ეს ისეთი გარე სისტემური ზეწოლების მიმართ მათ მგრძნობელობაზე და არამდგრადობაზე მიუთითებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება.

დიაგრამა 4:
ცვლილებები ბოლო 3 წლის განმავლობაში ქალების ოჯახების მიერ პროდუქტებისა და სერვისების შეძენის შესაძლებლობებში (დასახლების ტიპის მიხედვით)



2.2. ქალების პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციით მიღებული თანხა საკუთარი სტაბილური შემოსავლის წყაროს ქალების მხოლოდ 2.8%-თვის წარმოადგენს. ამასთან, ქალების 30.8%-ს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს საკუთარი ოჯახის მიერ მოხმარების მიზნით აწარმოებს, ხოლო 10.1% - გასაყიდად, იმ ქალების ჩათვლით, რომლებიც ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ (9.6%). ამ ქალების დაახლოებით ნახევარი ამბობს, რომ ამ საქმიანობაში მათ მეუღლე ეხმარება. კვლევის მიხედვით, თითქმის ყოველი მეათე ქალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მარტო, ოჯახის წევრების დახმარების გარეშე ეწევა. გამოკითხულთა 17.5% პასუხისმგებელია ოჯახის საკუთრებაში არსებული პირუტყვის მოვლაზე, 7.2% - სარწყავ წყალზე. ამ ქალების ნახევარს მეუღლეებიც ეხმარებიან. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, სოფლის მეურნეობით ძირითადად 45-64 წლის ქალები არიან დაკავებული, შემდეგ მოდის 30-44 წლის (21.2%), 65 წელზე ზე მეტის (20.8%) და 18-29 წლის (13.1%) ასაკობრივი ჯგუფები.

დიაგრამა 5.
იმ ქალების ასაკობრივი ჯგუფები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს საკუთარი ოჯახის მიერ მოხმარების მიზნით აწარმოებენ.

ქალები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს საკუთარი ოჯახის მიერ მოხმარების მიზნით აწარმოებენ (ასაკის მიხედვით)



ანალოგიურად, ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ქალების უმეტესობა, ურბანულ დასახლებებში მცხოვრები ქალების ჩათვლით, სოფლის მეურნეობით არის დაკავებული. თუმცა, ის ქალები, რომლებსაც აქვთ მუდმივი სამსახური ქალაქებში სხვადასხვა მიმართულებით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას თითქმის არ ეწევიან. სოფლად მცხოვრები ზოგიერთი ქალისთვის სოფლის მეურნეობა ოჯახისთვის სურსათის წარმოების და არა საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, ამიტომ ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, როგორც სამსახურს, ნაკლებად აღიქვამენ. მიუხედავად ამისა, არსებობენ ისეთი ქალებიც, რომლებისთვისაც სოფლის მეურნეობა როგორც ინტერესის სფეროს, ასევე შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს. ზოგიერთი ქალისთვის სოფლის მეურნეობა ტურიზმის დამხმარე საქმიანობაა.

უნდა აღნიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობის მოდელი, როლი და მოტივაცია განსხვავებულია, რაც კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის განსხვავებულ დონეებსა და მიდგომებს განაპირობებს. მაგალითად, მამაკაცები დასაქმებული არიან სამრეწველო ობიექტებზე ან დასახლებების ფარგლებს გარეთ, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პატრიარქალური გენდერული ნორმებიდან გამომდინარე, ოჯახზე ზრუნვა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ქალების ფუნქციად ითვლება. გამოკითხული ქალების თანახმად, იმ ოჯახებში, სადაც მამაკაცები მუდმივად არ ცხოვრობენ, მამაკაცის ტრადიციული საქმიანობის შესრულებაც მათ უწევთ, მაგალითად, შეშის მოპოვება და დაპობა, მორწყვა.

„მამაკაცები სოფლიდან შემოსავლის საძებნელად წავიდნენ. ამიტომ სოფელს თავიდან ბოლომდე ავტომატურად ქალები უვლიან“

- ჭიათურელი ქალი

სოფლის მეურნეობაში მამაკაცები ჩვეულებრივ ისეთ სამუშაოს ასრულებენ, რომელიც ფიზიკურ შრომას ან ტექნიკასთან მუშაობას მოითხოვს, მაგალითად, ხვნა, თესვა, ტომრების გადაზიდვა, და სხვ. უშუალოდ მიწაზე მუშაობა და ბოსტნეულის მოყვანა ძირითადად ქალების მოვალეობაა. გარდა ამისა, მამაკაცები ხშირ შემთხვევაში დაკავებული არიან მონოკულტურების ფართომასშტაბიანი წარმოებით, მაგალითად, ჰექტრობით მიწის ფართობებზე ხორბლის მოყვანით. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მცირემასშტაბიან, მაგრამ მრავალფეროვან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ, ბოსტნეულის და მარცვლეულის მოყვანა, აგრეთვე მეფრინველეობა და მეცხოველეობა ძირითადად ქალების საქმეა. შედეგად, მამაკაცების მიერ მოყვანილი კულტურები ძირითადად განკუთვნილია გასაყიდად, ხოლო ქალების მიერ ოჯახისთვის წარმოებული პროდუქცია ფულად სარგებლად ყოველთვის ვერ გარდაიქმნება და ამიტომ უხილავია.

ფოკუს ჯგუფების ინფორმაციით ირკვევა, რომ ერთი მხრივ, სამუშაო ადგილების სიმცირე ქალებს სოფლის მეურნეობის წარმოებისკენ უბიძგებს; ხოლო მეორე მხრივ, ეს მათ ოჯახსა და ბავშვებზე ზრუნვის მათი მთავარი როლის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ისინი საოჯახო საქმედ თვლიან; ამ გზით ისინი ოჯახურ სივრცეშიც რჩებიან და ოჯახის მოვლასაც ახერხებენ.

„სხვა სამსახური რომ იყოს, ყველა წავა და იმუშავებს, მიწაზე თავის მოკვლა არავის უნდა“

- დედოფლისწყაროელი ქალი

ფოკუს ჯგუფების მონაწილე ქალებს შორის გაჟღერდა ისეთი ტენდენციაც, რომ ზოგიერთ მათგანს მიწაზე მუშაობა უყვარს, თუმცა, ისინი ასახელებენ სხვადასხვა პრობლემას, რომელიც მათ ამ საქმეში ხელს უშლის და წარმოების განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს. მაგალითად, სარწყავი წყლისა და წარმოების პრობლემა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება გარემო პირობებზე და რესურსების სიმცირე წარმოების გასაზრდელად „რადგან შენ დამოკიდებული ხარ იმაზე, რასაც ბუნება გაძლევს“ - ჭიათურელი ქალი. ქალების აზრით, მათ, ვინც სოფლის მეურნეობას შიშველი ხელებით ეწევა, შესაძლებლობებსა და საზღვრებს ბუნება უწესებს. ქალების თქმით, ბუნებაზე დამოკიდებულება სტაბილურ მოსავალს ვერ უზრუნველყოფს. ქალები ასევე საუბრობენ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ნაკლებობაზე და ამბობენ, რომ მათ ცოდნა ძირითადად წინაპრებისგან აქვთ მიღებული, თუმცა „ბუნებაც შეიცვალა და იმ გამოცდილებით, რაც ჩვენ გვქონდა, ვერაფერს გავხდებით“ - ლატალელი ქალი. მონაწილეთა საუბრებიდან იკვეთება ქალის, როგორც კულტურისა და ადგილობრივი ცოდნის მცველის, როლი, რომელიც ხშირად ამ როლიდან გამომდინარეობს (Gubela 2019; Shiva 1992). ბევრ კვლევაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას აქვს ისეთი ცოდნა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კლიმატთან ადაპტაციისათვის მისაღებ გადაწყვეტილებებში.

ფოკუს ჯგუფში მონაწილე ქალების აბსოლუტური უმრავლესობა პესტიციდებს თითქმის არ იყენებს. ეს, ერთი მხრივ, აიხსნება იმით, რომ მათი მეურნეობები მცირეა და პროდუქტების მოყვანა საკუთარი ძალებით პესტიციდების გარეშეც შეუძლიათ. მეორე მხრივ, რადგან ამ პროდუქტებს ისინი ძირითადად საკუთარი ოჯახისთვის აწარმოებენ, მათი მოტივაცია, შესაძლოა, ჯანსაღი პროდუქტების მოყვანაც იყოს. ქალაქში მცხოვრებმა რამდენიმე ქალმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ მიწის ნაკვეთები და სურთ მიწაზე მუშაობა და ჯანსაღი პროდუქტის მოყვანა, მაგრამ არ იციან, ეს როგორ გააკეთონ.

ქალების 61.1% საკუთარ და ოჯახის სხვა წევრების მიერ მიღებულ მოსავალს ზამთრისთვის ინახავს (მაგ., კონსერვი, ჩირი და ა.შ.), რასაც ძირითადად თავად აკეთებენ (41.5%), დანარჩენებს ასევე ეხმარებიან ოჯახი სხვა წევრი ქალები (34.1%) და მეუღლეები (26.1%) ან ოჯახი სხვა წევრი მამაკაცები (6.8%). დასახლების ტიპის მიხედვით, საკვებ პროდუქტებს ზამთრისთვის სოფლად უფრო მეტი ქალი (75.6%) ინახავს, ვიდრე ქალაქებში (50.9%).

დიაგრამა 6.
იმ ქალების განაწილება, რომლებიც ზამთრისთვის საკვები პროდუქტების მარაგს ამზადებენ, დასახლების ტიპის მიხედვით



2.3. საბაზისო სოციალური სერვისების არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები

ქალების მზადყოფნა და მზაობა, გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ კრიზისებსა და პრობლემებს, მათი მედეგობისა და რეაგირების ადეკვატურობის ხარისხის განაპირობებს. ძირითადი სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა ქალების მედეგობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, რაც კოვიდ-19 პანდემიის დროს კარგად გამოჩნდა. მაგალითად, „რეგიონებში მცხოვრებ ძალიან ბევრ შშმ ქალს და გოგონას ესაჭიროება დედაქალაქში გამგზავრება სამედიცინო დახმარების მისაღებად, რაც შეუძლებელი გახდა ვირუსის გავრცელების გამო გადაადგილების შეზღუდვის შედეგად“ (UN Women 2020b: 8). სხვადასხვა სახის პრობლემებთან ერთად, კლიმატის კრიზისი, მეტეოროლოგიური პირობების ცვლილებისა და საფრთხეების გაძლიერების გამო, გამოწვევებს მობილობასაც უქმნის, რაც, განსაკუთრებით სოფლად, ძირითად სოციალურ და მოვლის სერვისებზე წვდომის პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს.

საბაზისო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი სხვაობაა ცენტრალურ და პერიფერიულ დასახლებებს შორის, რაც ქალებზე სხვადასხვა სახით აისახება. ფოკუს ჯგუფების ინფორმაციით ირკვევა, რომ პერიფერიაში ცხოვრება ხასიათდება სხვადასხვა ძირითად სერვისებზე წვდომის პრობლემებით, მკაცრი კლიმატური პირობებითა და რთული ბუნებრივი ლანდშაფტით, გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერით, რაც ქალებისა და მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ დაუცველობას განაპირობებს

ქალები, განურჩევლად იმისა, თუ სად ცხოვრობენ, ეწევიან საოჯახო საქმეებს, ზრუნავენ ბავშვებზე და მათ განვითარებაზე. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყოველდღიურ საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში ქალების 81.3% იღებს მონაწილეობას, 16.8% კი ასეთ გადაწყვეტილებებს მხოლოდ თავად იღებს. გადაწყვეტილებების მიღებაში ასევე მონაწილეობენ მათი მეუღლეები (55.7%), ოჯახის სხვა ქალი წევრები (25.9%) და ოჯახის სხვა მამაკაცი წევრები (22.3%). ქალების 36.7% ყოველდღიურად უვლის ბავშვებს და ამ ქალების მხოლოდ 16.0%-ს უწევს გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღება. გამოკითხულთა თანახმად, ქალაქებში მცხოვრები ქალების 26.6% და სოფლად მცხოვრები ქალების 15.4% პასუხიმგებელია ბავშვების სკოლაში, საბავშვო ბაღში და სხვა გაკვეთილებზე ტარებაზე. განსხვავება შეიძლება აიხსნას საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემებით.

ინფრასტრუქტურისა და სერვისების ნაკლებობა, ქალებისა და მათი შვილების საჭიროებების მიუხედავად, მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის ნაკლებობის პრობლემა ქალაქებშიც არსებობს. მაგალითად, გამოკითხვით ირკვევა, რომ საბავშვო ბაღზე წვდომა არ აქვს სოფლად მცხოვრებ

რესპონდენტთა 14.8%-ს, და ქალაქებში მცხოვრებ რესპონდენტთა 7.1%-ს. გამოკითხვიდან ჩანს, რომ ეს პრობლემები სოფლად მცხოვრებ ქალებს შორის უფრო მწვავედ დგას. სოფლად მცხოვრები ქალების 6.3% ვერ სარგებლობს სკოლით, 4.1% - საავტომობილო გზით, 57.7% - ტროტუარებით, 43.5% - სკვერებით ან პარკებით, 40.5%-სამეზობლო/სათემო თავშეყრის ადგილით, 35.4% - საბავშვო მოედნით, 69.0% - ადაპტირებული ინფრასტრუქტურით, 31.0% - სამედიცინო პუნქტით, 53.9% - სასწრაფო სამედიცინო დახმარებით, 17.0% - სასურსათო მაღაზიით. ქალაქებში სკვერებისა და პარკების ნაკლებობა ქალების 15.2%-მა, ხოლო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების არარსებობა ქალების 16.7%-მა აღნიშნა. კოვიდ-19 პანდემიის დროს, სკოლების, საბავშვო ბაღების და სხვა დაწესებულებების დახურვის გამო, ქალებს მნიშვნელოვნად გაეზარდათ დატვირთვა და ოჯახის წევრების მოვლასთან დაკავშირებული საქმე, გაუარესდა მათი ფსიქიკური ჯანმრთელობა და გაიზარდა გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები (UNDP 2021b). ეს კარგად აჩვენებს ურთიერთკავშირს ქალებისა და ბავშვებისთვის საჭირო სერვისებზე წვდომასა და კრიზისის მიმართ მედეგობას შორის. კლიმატის კრიზისი უკვე ვლინდება სხვადასხვა სერვისებზე წვდომის შეფერხებით, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში: „როდესაც მეწყერი ჩამოწვა, სოფლის გზები ერთი კვირა იყო ჩაკეტილი, სკოლები თითქმის ერთი კვირა არ მუშაობდა“, - განაცხადა მესტიელმა ქალმა.

ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ იმ დასახლებებში, სადაც ოჯახები მრავალ სისტემურ პრობლემას აწყდებიან და სხვადასხვა სერვისებსა და სოციალურ სიკეთეებზე შეზღუდული წვდომა აქვთ, მძიმე ფიზიკური შრომა როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებსაც უწევთ. სოციალური სირთულეები ოჯახებს ბევრ პრობლემას უქმნის და მიგრაციისკენ უბიძგებს. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურული ობიექტების გაუმართაობას სისტემური ხასიათი აქვს, რაც ადამიანებს ბევრ სოციალურ სიკეთეზე წვდომას უზღუდავს. საგზაო ინფრასტრუქტურის არარსებობა დიდწილად საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობას ან ცუდად მუშაობას განაპირობებს, რაც დასაქმებაზე, სამედიცინო, სასწავლო, სავაჭრო და სხვა სერვისებზე წვდომას აფერხებს კლიმატის ცვლილება ამ პრობლემებს კიდევ უფრო ამძაფრებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით...

„ლენჯერში (სვანეთი) ორი ადგილია, სადაც ამ მეწყრის ბოლომე ტექნიკა გზის გაწმენდას ვერ ახერხებს. გზა უკვე მრავალი წელია ძალიან დაზიანებულია“

- მესტიელი ქალი

ინტერნეტისა და ელექტროენერგიის სათანადო და სტაბილური მიწოდების გარანტიის არარსებობა მათ ხელს უშლის განათლების მიღებაში, ტურისტების მომსახურებაში და ბევრ სხვა პრობლემასაც ქმნის. ამ სერვისებს ხშირად უამინდობაც აფერხებს.

ადაპტირებული ინფრასტრუქტურის, საცურაო აუზის, სპორტული აქტივობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ყველა რეგიონში სხვადასხვა ხარისხით გამოიკვეთა. თუმცა, ქალებისთვის განსაკუთრებით პრობლემური საბავშვო ბაღების არასაკმარისი რაოდენობა აღმოჩნდა. კანალიზაციის არარსებობასთან/ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები დაფიქსირდა არა მხოლოდ სოფლებში, არამედ ურბანულ დასახლებებშიც, მაგალითად, მარნეულში და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა მცირე ნაწილის ინფორმაციით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაზე/ობიექტზე წვდომა უამინდობის/კლიმატური პირობების გამო (ძლიერი ყინვის, სიცხის, ძლიერი წვიმის ან ძლიერი თოვლის გამო) ფერხდებოდა. კლიმატის ცვლილების ტენდენციის გათვალისწინებით და ადაპტაციის ღონისძიებების გატარების გარეშე, იმ ქალების რაოდენობა, რომელიც აღნიშნულ პრობლემას ასახელებენ, შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

დიაგრამა 7:
იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში უამინდობის/კლიმატური პირობების გამო (ძლიერი ყინვის, სიცხის, ძლიერი წვიმის ან ძლიერი თოვლის გამო) აღნიშნულ ინფრასტრუქტურაზე/ობიექტებზე წვდომა შეეზღუდათ



2.3.1. წვდომა სამედიცინო სერვისებზე

გამოკითხულთა 22.1% აცხადებს, რომ ქრონიკული ან სერიოზული დაავადება აქვს. რესპონდენტების 33.3%-ს ჯანმრთელობის ისეთი უმნიშვნელო პრობლემები აქვს, რომლებიც ადვილად მოსაგვარებელი, ხოლო 44.6% აცხადებს, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელია. ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ტენდენცია მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თითქმის არ განსხვავდება. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის თანახმად, ყოველ მეათე ქალს (10.1%) რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები აღენიშნება.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების უმეტესობა, ახალგაზრდებიც კი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს უჩივიან და თავიანთ ნაცნობებს შორის დაავადებების შემთხვევების ზრდაზე საუბრობენ. ეს უკავშირდება სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემებს, ექიმების მიმართ უნდობლობას და მიმართვის შიშს, წამლების სიძვირეს, გარემოსდაცვით პრობლემებს, საკვების ხარისხის კონტროლის არარსებობას, მძიმე სოციალურ პირობებს და გაძლიერებულ სტრესს, აგრეთვე კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ არაპროგნოზირებად და ხშირად ცვალებად ამინდს, გაზრდილ ტენიანობას, და სხვ.

> *„33 წლის ვარ და ჩანთით ბევრ წამალს ვატარებ... ხშირად ვხდები ავად“*
>
> *- ახალციხელი ქალი*

სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას განაპირობებს ადგილზე, მუნიციპალურ ცენტრებში კვალიფიციური ექიმების ნაკლებობა და დაავადებების ადგილზე მკურნალობის შეზღუდული შესაძლებლობა ან არარსებობა. რეგიონებში ყველა პროფილის ექიმი, მაგალითად, ოფთალმოლოგი და დერმატოლოგი არ არის, ან ისინი საჭირო გამოკვლევებს ვერ ატარებენ. სამედიცინო მომსახურების

მისაღებად თბილისში სიარული, ერთი მხრივ, გაზრდილ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, ეს განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონებში მცხოვრები ქალებისათვის, რადგან მათთვის საოჯახო საქმეებისა და ბავშვების დატოვება ადვილი არ არის. ამის გამო მათ უჭირთ თბილისში წასვლა და ექიმთან ვიზიტის გადადებას ცდილობენ.

> *"ჩვენ მოთმინებით ველოდებით იმ დროს, სანამ ავად გავხდებით."*
>
> *– მესტიელი ქალი*

> *"ცოტა ხნის წინ ჩემს შვილს ალერგიის დასადგენად ტესტის გაკეთება მოუნდა და ვერ შეძლო. ეს ტესტი აქ [დედოფლისწყაროში] არ კეთდება. ჩვენ ამისათვის თბილისში უნდა წავიდეთ."*
>
> *- დედოფლისწყაროელი ქალი*

ქალების განცხადებით, პრობლემაა ადგილზე საკმარისი რაოდენობის საავადმყოფოების ნაკლებობა, არსებული საავადმყოფოების მოუწესრიგებლობა და საჭირო სამედიცინო ტექნიკის არარსებობა. შესაბამისად, სათანადო მომსახურების გაწევა კარგ ექიმებსაც კი უჭირთ. სასწრაფო დახმარების მანქანებისა და რეანიმობილების არარსებობა, მათი ხელმისაწვდომობა ან გამართული მუშაობა ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კვლავაც პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, სვანეთში ზუგდიდის რეანიმობილით სარგებლობენ და მოქალაქეების აქტიურობის წყალობით მხოლოდ ახლახან მიიღებს პირობა იმისა, რომ სვანეთს ეს მომსახურება ექნება. სასწრაფო დახმარება განსაკუთრებით უამინდობის დროს ფერხდება.

> *"ერთი პაციენტი ძალიან მძიმედ იყო ავად. მის გადასაყვანად ვერტმფრენი მოვიდა. გზაში სეტყვაში მოხვდნენ. ძლივს გადარჩნენ. გარემო პირობები ყველაფერზე ძალიან მოქმედებს".*
>
> *– მესტიელი ქალი*

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები საუბრობენ ადაპტირებული სამედიცინო დაწესებულებებისა და ინვენტარის სიმცირეზე, რაც მათზე წვდომის პრობლემას წარმოქმნის.

გამოკითხულთა აზრით, სისტემურ პრობლემებს სახელმწიფო პროგრამების (მაგ., რეპროდუქციული ჯანმრთელობის სკრინინგის უფასო პროგრამები) შესახებ ინფორმაციის სიმცირე და ქალების ინფორმირებულობის დაბალი დონე ემატება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ეთნიკურ უმცირესობებში დგას. ისინი ასევე ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მისაღებად ქრთამის მოთხოვნისა და მიცემის შემთხვევებზეც საუბრობენ.

> *"ბევრმა ქალმა არ იცის, რომ მაგალითად პაპ ტესტის გაკეთება და სხვა გინეკოლოგიური მომსახურება უფასოა. ერთხელ ექიმთან მივედი და როდესაც ვუთხარი, რომ უფასო პაპ ტესტის გაკეთება მინდოდა, ძალიან გაბრაზდნენ. მათ ტესტი უფასოდ არ გამიკეთეს."*
>
> *- მარნეულელი ქალი*

2.3.2. წვდომა კლიმატთან დაკავშირებულ განათლებაზე

კატასტროფებისაგან საკუთარი თავისა და სხვების დასაცავად აუცილებელია, რომ ადამიანს კონკრეტული უნარები და ცოდნა ჰქონდეს. გენდერული სტერეოტიპები ხშირად აძლიერებს იმ აზრს, რომ ქალები მამაკაცებზე უფრო სუსტები და პასიურები არიან. ამ აღქმას, შესაძლოა, საშუალო განათლებაც უწყობს ხელს. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გენდერული უთანასწორობა, განსაკუთრებით საგანმანათლებლო კონტექსტში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით, კვლევების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ეს პრობლემა განსაკუთრებით კარგად ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და სხვადასხვა სქესის მიმართ მასწავლებლების განსხვავებული დამოკიდებულებიდან ჩანს. გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას სასწავლო პროგრამების გავლენის გარდა ,გარკვეული კლასგარეშე ფაქტორებიც უწყობენ ხელს (Tsiklauri 2016).

ინფორმირებულობის დონე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ ზოგადად დაბალია. აუცილებელია ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. კლიმატის კრიზისი ქალებს უფრო მეტად აწუხებთ, ვიდრე მამაკაცებს, თუმცა კლიმატის ცვლილების შესახებ მათი ინფორმირებულობის დონე ჯერ კიდევ დაბალია (Kurdadze et. al. 2020). ეს ხარვეზი სავარაუდოდ განპირობებულია კლიმატის ცვლილების მიმართ ქალების მედეგობის გაძლიერებაზე ორიენტირებული კონკრეტული პროგრამების სიმცირით.

ქალების უმრავლესობა კვლევისთვის საინტერესო უნარების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედი აცხადებს, რომ იცის ცურვა (23.9%), ამდენივემ იცის მანქანის მართვა (24.7%), ხოლო ხანძრის ქრობის ცოდნას/უნარებს 38.7% ფლობს. თუმცა, პირველადი დახმარების გაწევა რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (61.1%) შეუძლია. ასეთი უნარის არსებობა ნაწილობრივ შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ საკუთარი შვილებისთვის ამ სახის დახმარების გაწევა შეუძლიათ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ცოდნისა და უნარების ფლობის მაჩვენებელი ქალაქებში მცხოვრებ ქალებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად მცხოვრებ ქალებს შორის. თუმცა, გაუგებარია, თუ რას გულისხმობენ ქალები, მაგალითად, პირველადი დახმარების გაწევაში. შესაბამისად, ასეთი დახმარების სათანადოდ გაწევის ცოდნის მაჩვენებელი შეიძლება კიდევ უფრო დაბალიც იყოს. ჩვენს ეჭვებს საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემებში პირველადი დახმარების სასწავლო კურსების არარსებობაც აღრმავებს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება და ცოდნა, თუ როგორ იქცევიან რესპონდენტები კატასტროფის დროს. გამოკითხვისას ჩვენ რესპონდენტთა ქცევა მხოლოდ სითბური ტალღების დროს შევაფასეთ. გაირკვა, რომ ძლიერი სიცხის დროს ქალების უმეტესობა თავს არიდებს გარეთ გასვლას (62.8%), იღებს მეტ სითხეს (55.6%), რჩება გრილ ადგილას (47.2%) და იყენებს კონდიციონერს (41.4%). აღსანიშნავია, რომ კონდიციონერის გამოყენების მაჩვენებელია უფრო მაღალია ქალაქის ტიპის დასახლებებში, ვიდრე სოფლად.

2.3.3. წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე

გამოკითხულთა 43.8% ძირითადად საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე ქალების რაოდენობა ქალაქში (48.9%) უფრო მეტია, ვიდრე სოფლად (36.7%). გამოკითხულთა 21.9% ფეხით გადაადგილდება, 17.1% ოჯახის წევრის მანქანით მგზავრობს, 2.5% - ტაქსით, ხოლო 12.8% - საკუთარი მანქანით. აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრები ქალების მეოთხედზე მეტი (26.3%) ოჯახის წევრის მანქანით მგზავრობს და მხოლოდ 8.5% - საკუთარი მანქანით.

დიაგრამა 8:
რესპონდენტთა გადაადგილების ძირითადი საშუალებები დასახლების ტიპის მიხედვით



კვლევაში მონაწილე სოფლად მცხოვრებ რესპონდენტთა 30.7% აღნიშნავს, რომ მათი დასახლებიდან უახლოესი ქალაქის მიმართულებით დღის განმავლობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტი 1 საათის ან ნაკლები ინტერვალით მოძრაობს. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთა დასახლებებიდან ქალაქის ცენტრის მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი ამ რეჟიმში მოძრაობს, 73.9%-ია. სოფლებში მცხოვრები ქალების 19.3% აცხადებს, რომ მათი დასახლებიდან უახლოეს ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი კვირაში 1-2-ჯერ ან საერთოდ არ დადის. ურბანულ დასახლებებში გამოკითხულთა 15.4% ამბობს, რომ ტრანსპორტი მათი უბნიდან ქალაქის ცენტრამდე იშვიათად (დღეში 1-2-ჯერ ან უფრო იშვიათად) ან საერთოდ არ დადის.

ბოლო 12 თვის განმავლობაში ურბანულ დასახლებებში მცხოვრები ქალების 51.2%-მა საზოგადოებრივი ტრანსპორტით კვირაში რამდენჯერმე ან უფრო ხშირად ისარგებლა. ეს მაჩვენებელი სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში 24.1%-ია. სოფლად მცხოვრები ქალების ნახევარზე მეტი (57%) საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფრო იშვიათად სარგებლობს (თვეში რამდენჯერმე ან უფრო იშვიათად), ეს მაჩვენებელი ქალაქებში მცხოვრები ქალების შემთხვევაში 42.4%-ია.

ფოკუს ჯგუფებმა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით ქალაქებსა და სოფლებში მცხოვ-რები ქალების პრობლემები გამოავლინეს. საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომის პრობლემა უფრო მწვავედ სოფლად დგას, ვინაიდან, ქალების აზრით, სერვისების მიღების და დასაქმების შესაძლებლობები უმეტესად ქალაქებშია თავმოყრილი, ხოლო ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები მათ ბევრ შესაძლებლობას უზღუდავს; ან ამ შესაძლებლობებს აძვირებს. ამიტომ, ქალებს უხდებათ ტაქსით სარგებლობა, რომელიც ძვირია, ან ფეხით კილომეტრების გავლა. შორ მანძილებზე ფეხით სიარული განსაკუთრებით პრობლემურია სკოლის მოსწავლეებისათვის, ხანდაზმულებისა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქალებისათვის. მათ ასევე უჭირთ პროდუქტების სახლში ხელით მიტანა. ეს პრობლემები განსაკუთრებით უამინდობის დროს მწვავდება. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყველა ურბანული დასახლება არ არის უზრუნველყოფილი, ასეთია, მაგალითად, მესტია და დედოფლისწყარო. სხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისში, უამინდობის დროს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა მნიშვნელოვნად ფერხდება.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით...

"აქედან ჩემს სოფელამდე ორი კილომეტრია და რამის ყიდვა თუ გინდა, ტრანსპორტი არ არის და ამ ასაკში როგორ წავალ და პროდუქტებს როგორ მოვიტან?"

- ჭიათურელი ქალი

"როდესაც ტრანსპორტი არ არის, ბავშვები სკოლაში ფეხით დადიან. ზოგჯერ სველდებიან კიდეც, მთავარ გზამდე ოთხიდან ხუთ კილომეტრამდეა."

- მარნეულელი ქალი

გამოკითხულთა 82% ამბობს, რომ მათ მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ამინდსა და კლიმატურ პირობებზე არ არის დამოკიდებული. ამის საპირისპიროდ, 12.4% აცხადებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით უკეთესი ან ცუდი ამინდის დროს სარგებლობს. იმ ქალების რაოდენობა, რომლების ამბობენ, რომ მათ მიერ ტრანსპორტით სარგებლობა ამინდზეა დამოკიდებული, ქალაქებში ოდნავ მეტია (14.7%), ვიდრე სოფლად (9%). 5.6%-ს გაუჭირდა ან უარი თქვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე. საზოგადოებრივ ტრანსპორტში გათბობა-გაგრილების სისტემით კმაყოფილია გამოკითხულთა 47.3%, ერთდროულად კმაყოფილი და უკმაყოფილოა 35%, ხოლო უკმაყოფილოა 14%. კმაყოფილების მაჩვენებელი შედარებით მაღალია ქალაქელებში მცხოვრებ ქალებს შორის (52.1%). ეს მაჩვენებელი სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში 40.3%-ია.

2.3.4. წყალმომარაგების პრობლემები

წყალმომარაგების პრობლემა აქტუალურია თითქმის ყველა ფოკუს ჯგუფის რაიონის ქალებისათვის. ეს პრობლემა მწვავდება ზაფხულში, როდსაც იზრდება სარწყავ, სამეურნეო და სასმელ წყალზე მოთხოვნა და მოსახლეობას, ფაქტობრივად, არც ერთი დანიშნულების წყალი საკმარისად არ მიეწოდება. ეს პრობლემა აწუხებთ ქალაქებში მცხოვრებ ქალებსაც, თუმცა ის სოფლად მცხოვრები ქალებისათვის უფრო მწვავეა, რადგან სასმელი წყლის მოტანა მათ ამოცანებში შედის (სოფლად მცხოვრები ქალების 35.1% და ქალაქებში მცხოვრები ქალების 12.1%).

წყლის პრობლემა ბევრ სირთულეს უქმნის ოჯახებს და ხშირად მათ შრომასაც აუფასურებს, რადგან რწყვის გარეშე და გაძლიერებული გვალვის პირობებში ისინი მოსავლის მოყვანას ვეღარ ახერხებენ. მეორე მხრივ, ქალებს ძალიან უჭირთ სიცხეში წყლის გარეშე საოჯახო საქმეების კეთება და სისუფთავის დაცვა. მათ უწევთ ლოდინი, რიგებში დგომა და წყლის მოტანა. ზოგიერთმა ოჯახმა ეს პრობლემა გარკვეულწილად დაძლია, ისინი ცდილობენ მოერგონ წყლის მიწოდების გრაფიკს და წყლის რეზერვუარებს იყენებენ. ბევრ ოჯახს შეუძლია სასმელი წყლის ყიდვა. სასმელი წყლის ხარისხიც პრობლემას წარმოადგენს, რაც ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აისახება.

> *"ბაღს სამი წელი ვუვლიდით და სამივე წელს არაფერი გამოვიდა. სარწყავი წყალი კვირაში რამდენჯერმე მოდის და ამისთვის ფულსაც ვიხდით"*
>
> *– ჭიათურელი ქალი*

> *„წყლის რეზერვუარები გვაქვს და წყალს ეკონომიურად ვიყენებთ, მაგრამ მათი შევსებაც საჭიროა. სოფელში პირუტყვიც გვყავს, მასაც უნდა წყალი"*
>
> *– დედოფლისწყაროელი ქალი*

> *"სოფელში მანქანები დადიან და წყალს ყიდიან, ვინც ვმუშაობთ და სამსახურში ვართ, როდესაც წყალი წყდება, ან სამსახური უნდა გავაცდინოთ, რომ წყალი ავავსოთ, ან წყალი უნდა ვიყიდოთ. მარტო ვცხოვრობ და წყალს ეკონომიურად ვხარჯავ, ხანდახან ერთი კვირა ვერ ვავსებთ წყლის რეზერვუარებს. ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე."*
>
> *– დედოფლისწყაროელი ქალი*

უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის ცვლილების გამო, ტენიანობის შემცირებასა და გვალვების გაძლიერებასთან ერთად, მიწის მორწყვის საჭიროება იზრდება. ამას ემატება ჭებისა და მდინარეების დაშრობა და, შესაბამისად, წყლის რესურსების შემცირება, რაზეც ქალები საუბრობენ.

2.3.5. ზრუნვის სისტემების არსებობის მნიშვნელობა

როდესაც ქალების სოციალური დაცვის სისტემა სუსტია ან არ არსებობს, ისინი ოჯახის მხრიდან მხარდაჭერას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ოჯახის წევრების ემოციური, ფინანსური თუ შრომითი მხარდაჭერა, ქალთა სოციალური მედეგობის ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რაც ასევე კავშირშია კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობასთან. შესაბამისად, ხანდაზმული და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მარტოხელა ქალები ამბობენ, რომ ცუდი კლიმატური პირობებისა თუ კატასტროფების დროს ფიზიკური დახმარების გარეშე ძალიან რთულია ყველაფრის მოგვარება და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის მომზადება. ამიტომ ეს ადამიანები

მეზობლების დახმარების იმედად არიან, თუმცა, როგორც ირკვევა, სოფლებიდან ოჯახების გადინების მაჩვენებელი მაღალია და მხოლოდ რამდენიმე ოჯახი თუ მოსახლეა დარჩენილი. ეს კიდევ უფრო ზრდის მათი მოწყვლადობის ხარისხს, ვინაიდან კატასტროფების ან სხვა საჭიროებების შემთხვევაში, დამხმარე ადამიანების რაოდენობა კიდევ უფრო მცირდება.

> "ბავშვის მოვლაში არავინ მეხმარება და ამიტომ ვერ ვმუშაობ"
>
> – ახალციხელი ქალი

მეორე მხრივ, ოჯახის წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში ქალებს სამსახურის შოვნისა და სოციალურად აქტიურად ყოფნის მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. აღინიშნა, რომ ასეთი მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისათვის, შშმ ბავშვების დედებისათვის, ქვიარ ქალებისა და გარემოს დამცველებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისათვის ოჯახის წევრების მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ ფიზიკური და სოციალური წინაღობების დასაძლევად, რომლებსაც ისინი აწყდებიან. როგორც შშმ ბავშვის დედა ამბობს, ასეთი დედების ცხოვრება ხშირად შვილების ცხოვრებასთან არის გადაჯაჭვული და მათი მუშაობა ან თვითრეალიზაცია დამხმარის გარეშე ნამდვილად შეუძლებელია. ქვიარ ქალების შემთხვევაში, თუ ოჯახი მათ იდენტობას არ აღიარებს, ეს ქალები ოჯახის სახით ისეთ მნიშვნელოვან მხარდაჭერას კარგავენ, რომელიც მათ სისტემური პრობლემებისა და რისკების, მათ შორის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემებისა და რისკების დაძლევაში დაეხმარებოდა. აქტივისტი ქალებისათვის გარკვეულ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების ემოციური, ფიზიკური და/ან ფინანსური მხარდაჭერა, რადგან აქტივიზმი ამ ქალებისგან ბევრ მოხალისეობრივ და ემოციურ მუშაობას მოითხოვს და ზოგჯერ ეს საქმიანობა სხვადასხვა რისკებთანაც კი არის დაკავშირებული.

> *"რეგიონებში მცხოვრებ ქვიარებს ურჩევნიათ, მიატოვონ საკუთარი სახლები და თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლად, დედაქალაქში სუფთა ჰაერისა და მწვანე გარემოს ნაკლებობის მიუხედავად. მაგალითად, მახსენდება ერთი ქვიარ გოგონა, რომელიც ცდილობს ლაგოდეხში თავის ოჯახთან ნაკლებად ჩავიდეს, რადგან იქ კონსერვატიული გარემოა და აქ ყოფნა ურჩევნია"*
>
> *ქვიარ რესპონდენტი*

ეკომიგრანტი ოჯახებისთვის მნიშვნელოვანია ერთმანეთის მხარდაჭერა და გვერდში დგომა. ერთი მხრივ, ეკომიგრანტი ოჯახებისთვის რთულია საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა ადგილზე სამეზობლოს გარეშე გადასვლა. მეზობლების მხარდაჭერა ახალი ცხოვრების დასაწყებად საჭირო ადაპტაციის პროცესს აადვილებს. „ვნახოთ, სოფელი თუ წავა, ჩვენც წავალთ", - ამბობს ეკომიგრანტი ქალი, რომელიც ჯერ კიდევ მეწყერთან ახლოს ცხოვრობს და მის ოჯახს სოფლისა და სახლის დატოვება უჭირს.

2.4. აქტივებზე წვდომა და მათი კონტროლი

ქალებსა და მათ ოჯახებს შორის საკუთრება სხვადასხვაგვარად არის განაწილებული. ქალების 53.7% აცხადებს, რომ საერთოდ არ ფლობს კერძო საკუთრებას (ბინა, მანქანა, მიწა და ა.შ.). ქალების 26.7%-ის საკუთრებაშია სახლი/ბინა, 8.2%-ის საკუთრებაში - მანქანა, 7.7%-ის საკუთრებაში - სასოფლო-სამეურნეო მიწა და კიდევ უფრო მცირე რაოდენობის საკუთრებაში - სხვა სახის ქონება (მაგ., კომერციული ქონება). ისეთი ქალების რაოდენობა, რომელთა საკუთრებაში არ არის არანაირი ქონება ან სასოფლო-სამეურნეო მიწა, ოდნავ მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქებში. ხოლო, ისეთი ქალების რაოდენობა, რომლებიც ფლობენ ბინას და მანქანას, ქალაქებში ოდნავ მაღალია.

დიაგრამა 9:
ქალების საკუთრებაში არსებული ქონების სახეები



რაც შეეხება მიწის რესურსების გენდერულ განაწილებას, ქალების აზრით, არსებული ტენდენცია შეიცვალა და ახლა უფრო მეტი ქალი იღებს მიწას საკუთარი ოჯახიდან, ვიდრე წლების წინ. თუმცა სვანეთში განმარტავენ, რომ ქალებს ტრადიციულად მზითევში მიწის ნაკვეთსაც ატანდნენ, რომელსაც „ნაჭლაშს“ უწოდებდნენ და გათხოვილ ქალებს საკუთარი მიწა მათ მშობლიურ თემში ჰქონდათ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან ჩატარებული შეხვედრებისას გამოვლინდა ოჯახების მიერ მიწის ნაკვეთების ქალების სახელზე დარეგისტრირების ტენდენცია. ეს მათ საშუალებას აძლევს, აიღონ აგროკრედიტები, ვინაიდან მამაკაცებს ბანკებში ცუდი საკრედიტო ისტორიები აქვთ. ქალებს ნაკლებად აწუხებთ ის, რომ საკუთარი ოჯახებიდან მიწას არ იღებენ. ამას ხსნიან იმით, რომ „ქალებს ასე გვზრდიან, გვეუბნებიან, რომ საკუთარ ძმას კონკურენცია არ უნდა გავუწიოთ“ - მესტიელი ქალი. ამიტომ, მათ ოჯახის საჭიროებისათვის მიწის განკარგვა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე მიწის ოფიციალური რეგისტრაცია და ფლობა.

ისინი ასევე მცირე და დიდი ზომის ნაკვეთების მქონე ოჯახების მიმართ სახელმწიფოს შერჩევით მიდგომაზე საუბრობენ. მათი თქმით, სახელმწიფო დახმარება მიწის დიდი ნაკვეთების მქონე ოჯახებზე მოდის. ეს სავარაუდოდ ქალებზე მოქმედებს, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, მცირე ზომის ნაკვეთებს ქალები ამუშავებენ, უფრო დიდებს კი - მამაკაცები.

3 ქალების სპეციფიკური მოწყვლადობა, რომელიც ძირითადად გამოწვეული ან გაძლიერებულია საქართველოში კლიმატის ცვლილების ზემოქმედებითა და ტენდენციებით

წინამდებარე თავში შესწავლილია ქალების მოწყვლადობა, რომელიც გამოვლენილ იქნა კვლევის ფარგლებში და რომელიც ძირითადად გამოწვეული ან გაძლიერებულია კლიმატის კრიზისის ზემოქმედებითა და ტენდენციებით. აქვე წარმოდგენილია კლიმატის ცვლილების მიმართ ქალების დაუცველობისა და მგრძნობელობის ზოგიერთი ასპექტი. ამ ასპექტების გათვალისწინება ხელს შეუწყობს უთანასწორობის აღმოფხვრას და კლიმატის სამართლიანობის მიღწევას.

შრომის ბაზართან, განათლებასთან, ჯანმრთელობის დაცვასა და სხვა სფეროებთან ქალების ურთიერთქმედების მოდელების ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი ინტერსექციურობის, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტის, ეფექტიანობას ადასტურებს. თუმცა, აუცილებელია უფრო მეტად ჩაღრმავება და იმის გარკვევა, თუ როგორ იკვეთება პატრიარქატი, როგორც ძალაუფლების სისტემა, ჩაგვრის სხვა სისტემებთან, და წარმოქმნის იმ მოწყვლადობასა და უთანასწორობას, რომლებიც ჩვენს კვლევაშია განხილული. აქედან გამომდინარე, ქვემოთ გაანალიზებულია კლიმატის კრიზისის მიმართ მოწყვლადობის კონკრეტული ფორმები.

3.1. ზემოქმედება სოფლის მეურნეობაზე, როგორც ქალთა შრომის კატეგორიაზე

სამუშაოს ტიპი, რომელიც ქალმა უნდა შეასრულოს, განსაზღვრავს და ამძაფრებს კლიმატის ცვლილების მიმართ ქალების მოწყვლადობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალები, რომელთა სამუშაო კავშირშია გარემოსა და კლიმატურ პირობებთან, კლიმატის ცვლილების მიმართ უფრო მოწყვლადები არიან, ვიდრე ის ქალები, რომლებიც სხვა სახის საქმიანობას ეწევიან. აქედან გამომდინარე, მომდევნო ქვეთავში განხილული იქნება ზემოქმედება იმ ქალებზე, რომლებიც საკუთარ მცირე მეურნეობებში მუშაობენ.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით...

"თუ გადავხედავთ კლიმატის ცვლილებას და ქალების როლს, რაც უფრო ინტენსიური გახდება კლიმატის ცვლილება, მით უფრო გაიზრდება ქალების დატვირთვა. მაგალითად, მებაღეობა რომ ავიღოთ, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტი წყალია საჭირო. მცირე სავარგულების 99%-ს ქალები ამუშავებენ, მამაკაცები ნაკლებად არიან ჩართული."

- ზუგდიდელი ქალი

კლიმატის ცვლილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ ქალებს დამატებით გამოწვევებს უქმნის. მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემცირებული რაოდენობა ქალების ეკონომიკურ მდგომარეობას ართულებს. შესაბამისად, კლიმატის ცვლილება სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალების ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ საქმიანობას ძირითადად ეწევიან ქალები, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი სტაბილური შემოსავალი და რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

კლიმატის ცვლილების გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა უფრო რთული და ძვირი ხდება, ქალებისგან მეტ შრომას მითხოვს და სულ უფრო ნაკლები რაოდენობისა და ხარისხის პროდუქცია იწარმოება. ძვირდება სათესი მასალა და ნერგები, თუმცა ქალების თქმით, მოყვანილი პროდუქციის გაყიდვა მაინც იაფად უწევთ. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მოსავალი დიდხანს არ ინახება და მალე ფუჭდება.

ქალებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გრაფიკს, ანუ ბოსტნეულის თესვისა და მოსავლის აღების დროს, კლიმატი კარნახობს, თუმცა სეზონების ცვლილება სოფლის მეურნეობის წარმოებას ართულებს. მაგალითად, სვანეთში აცხადებდნენ, რომ ახლა გვიან უწევთ თესვა, სამაგიეროდ, მოსავლის აღებას უფრო ადრე იწყებენ. მათი თქმით, კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან გასამკლავებლად სოფლის მეურნეობა მეტ ცოდნას მოითხოვს.

ქალები ასევე ნიადაგის დამუშავების პერიოდში ნალექების გაზრდილ რაოდენობაზე საუბრობენ, რაც უარყოფითად მოქმედებს ბოსტნეულზე, ხოლო ზაფხულის პერიოდში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ნიადაგი ტენს საჭიროებენ, ძლიერი სიცხე და გვალვაა. ქალების თქმით, ის, რაც გვალვას გადაურჩება, შემოდგომის წვიმებით ნადგურდება.

"3 წელია ოჯახში კარტოფილის მოსავალი არ მიგვიღია. გვალვის გამო მთლიანად დაჭმუჭნილ კარტოფილს ვიღებთ ".

– მესტიელი ქალი

ძლიერი ქარი, გარდა იმისა, რომ ნიადაგის ეროზიას იწვევს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე სხვა სახის უარყოფით ზემოქმედებასაც ახდენს. მაგალითად, ზუგდიდში, სადაც ერთ-ერთი მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურა თხილია და რომელსაც ძირითადად ქალები აგროვებენ, ძლიერი ქარი თხილის კრეფის პერიოდს ემთხვევა. ქარის გამო თხილი მიწაზე ცვივა და იფანტება.

გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ კლიმატის ცვლილების ზემოქმედება სოფლის მეურნეობაზე საგანგაშო ნიშნულზეა და ქალებს მასთან ადაპტაციისთვის საჭირო ცოდნა და რესურსები არ გააჩნიათ. დიაგრამაზე ნაჩვენებია სოფლის მეურნეობისა და ქალების მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების გამოწვევების მიმართ. ქალების უმრავლესობა გადაჭრით ან უბრალოდ ეთანხმება განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ კლიმატის ცვლილებამ სექტორი არაპროგნოზირებადი გახადა, მათ არ იციან, ამ პირობებში რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურა იქნება უფრო მოსავლიანი და როგორ გაართვან თავი გართულებულ სამუშაოს, ისინი იყენებენ პესტიციდებს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მოსავლის მიღება მოყვანა და ხაზს უსვამენ ამ საქმიანობიდან ფინანსური სარგებლის მისაღებად სამუშაოებში მამაკაცების ჩართვის აუცილებლობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლად მცხოვრები რესპონდენტების ოჯახების მხოლოდ 5.3% ფლობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ტექნიკის სიმცირემ შესაძლოა შეამციროს ქალების შესაძლებლობები მამაკაცებისგან დამოუკიდებლად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების კუთხით და გაზარდოს მათი მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ.

დიაგრამა 10:
სოფლის მეურნეობის სექტორსა და ქალებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ დებულებებზე დათანხმების შეფასება 5-ქულიან სკალაზე



სასოფლო-სამეურნეო დაზღვევით გამოკითხულთა მხოლოდ 4.2% სარგებლობს. გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო დაზღვევით არსარგებლობის სამი ძირითადი მიზეზი: საჭიროების აღქმის არარსებობა, საკმარისი ინფორმაციის ნაკლებობა და სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის მაღალი ფასი.

მცირე მეურნეობებში დასაქმებული ქალების სამუშაოს გარდა, კლიმატის ცვლილების მიმართ მგრძნობიარე სამუშაოების კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ ისეთი საქმიანობები, რომლებსაც ქალები ღია ცის ქვეშ, კლიმატური პირობების მიუხედავად ასრულებენ, მაგალითად გარე მოვაჭრეები. ეს საკითხები და ქალების სხვა ჯგუფები საინტერესო თემაა მომავალი კვლევებისათვის.

3.2. კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ჯანმრთელობაზე

ფოკუს ჯგუფებში ასევე აღინიშნა, რომ მეტეოროლოგიური პირობების ხშირი ცვალებადობა და ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება უარყოფითად მოქმედებს ქალებზე, აზიანებს მათ ჯანმრთელობას და აქვეითებს შრომისუნარიანობას. ხანდაზმული ქალებისთვის, ქრონიკული დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისათვის ვითარება საგრძნობლად უარესდება.

> *"როგორც ნიადაგი შრება ძლიერი სიცხის დროს, იგივე ემართება ჩვენს საყრდენ-მამოძრავებელ სისტემასაც."*
>
> *- დედოფლისწყაროელი ქალი*

ცხადია, რომ კლიმატის ცვლილება მძიმედ აისახება იმ ქალების ჯანმრთელობაზე, რომელთა საცხოვრებელი გარემო და სხეული მუდმივად უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, მაგალითად, სამთო-მოპოვებითი საწარმოების მხრიდან; რომლებსაც არ აქვთ სათანადო წვდომა სამედიცინო სერვისებზე, მაგალითად, დაბალშემოსავლიანი ან შემოსავლის არმქონე ქალები, პერიფერიაში მცხოვრები ქალები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ხანდაზმული და ქრონიკული დაავადებების მქონე ქალები, და სხვ. კლიმატის ცვლილების ძლიერ უარყოფით ზემოქმედებას შშმ ქალებზეც ახდენს, ვინაიდან, შესაძლოა, ეტლით მოსარგებლე ქალებს ჰქონდეთ დაქვეითებული თერმორეგულაცია, რევმატიული პრობლემები და უჭირდეთ მაღალი ტემპერატურისა და სითბური ტალღების გაძლება.

> *"ჩემი პირადი გამოცდილებით, ზაფხულში გარეთ ყოფნა ძალიან მიჭირს. რადგან ფეხებს ვერ ვამოძრავებ და თერმორეგულაცია დარღვეული მაქვს, ტანზე მცხელა და ფეხები შეიძლება გაყინული მქონდეს, ზაფხული ჩემთვის უარესია"*
>
> *- შშმ რესპოდენტი*

ქალების აზრით, ამინდის ხშირი ცვლილება არტერიულ წნევას ზრდის, ამიტომ ზოგჯერ მათი სხეული ამინდის ცვალებადობაზე წინასწარი რეაგირებს და ისინი ამას გრძნობენ. ქრონიკული დაავადებების მქონე ქალები აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ამინდის ცვალებადობაზე ორგანიზმის რეაქციას მედიკამენტებითაც კი ვერ უმკლავდებიან. საერთო ჯამში, კლიმატის ცვლილება სამედიცინო დახმარებაზე ამ ქალების დამოკიდებულებას ზრდის. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილების შედეგად ჰაერის ხარისხის გაუარესება კიდევ უფრო აუარესებს ალერგიისადმი მიდრეკილი ქალების საარსებო გარემოს.

> *"კლიმატზე ძალიან ვარ დამოკიდებული, წინასწარ ვიცი, როდის გავხდები ავად. ქარი მკლავს, მიუხედავად იმისა, ვიღებ თუ არა წამალს. წამალი ხან შეხმარება, ხან - არა"*
>
> *- თელაველი ქალი*

3.3. გაუარესებული გარემო პირობები

კვლევებით დადგენილია, რომ კლიმატის ცვლილების შედეგები გარემოსდაცვით პრობლემებთან არის დაკავშირებული. კლიმატის ცვლილება ამძაფრებს ამ გარემოსდაცვით პრობლემებს და/ან, პირიქით, გარემოსდაცვითი პრობლემები აღრმავებენ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პროცესებს.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქალების წინაშე მდგარი გარემოსდაცვითი გამოწვევები მათი დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავდება. ქალაქში მცხოვრებ ქალებს განსაკუთრებით აწუხებთ

ჰაერის დაბინძურება (49.5%), ავტომანქანების რაოდენობის ზრდა (44.9%) და ინტენსიური მშენებლობა (27.9%). ქალაქელ ქალებს ასევე აწუხებთ საკუთარი დასახლების ქაოტური განაშენიანების პრობლემები, მოუწესრიგებელი კანალიზაცია, საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურება და პარკებისა და სკვერების სიმცირე. მათი გადმოცემით, ეს და სხვა გარემოსდაცვითი პრობლემები აუარესებს მათ (52.4%) და ბავშვების (28.0%) ჯანმრთელობას, მათ (28.6%) და ბავშვების (15.4%) მიერ უსაფრთხოების განცდას, აძლიერებს სტრესს (19.4%) და მათ გადაადგილების პრობლემებს უქმნის (19.9%).

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ქალების თანახმად, ურბანულ დასახლებებში სათანადო ბუნებრივი და მწვანე რეკრეაციული სივრცეების არსებობა მნიშვნელოვანია მათთვის და მათი შვილებისათვის. მათი გადმოცემით, ურბანულ დასახლებებში არსებული პარკები მათ ბუნებასთან ახლოს ყოფნასა და მისი ესთეტიკის შეგრძნებაში, აგრეთვე სოციალიზაციასა და ზაფხულის სიცხესთან გამკლავებაში ეხმარება. მაგალითად, რესპონდენტის თქმით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში ხეების დარგვის შედეგად ზაფხულში ჰაერის ტემპერატურა შედარებით დარეგულირდა. სხვა ქალის აზრით, ქალაქებში ბევრი ხის არსებობა მათ მისცემს შესაძლებლობას, უფრო მეტი იარონ ფეხით, რაც ზაფხულში, ჩრდილის გარეშე ძალიან რთულია. მათ აწუხებთ ის, რომ ასეთი სივრცეები არა მხოლოდ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც მცირდება და მათზე წვდომაც იზღუდება. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ზუგდიდის ბოტანიკური ბაღში შესვლა ფასიანი გახდა, ქალები და ბავშვები ამ სივრცით ნაკლებად სარგებლობენ. მწვანე ადგილების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის, ვინაიდან დღეს ქალაქებში ძალიან ცოტაა ისეთი ადგილი, სადაც ქალებს ბავშვების წაყვანა და იქ უსაფრთხოდ ყოფნა შეუძლიათ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობასთან ერთად, რესპონდენტებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, პრობლემას ჯანსაღი საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობაც წარმოადგენს, მათი ფასი იზრდება და სახელმწიფო ხარისხის კონტროლს არ უზრუნველყოფს.

> *"ჯანსაღი საკვები პროდუქტების შოვნა სულ უფრო რთულდება, ამასთან დაკავშირებით არანაირი სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს, ჯანსაღი საკვები ძალიან ძვირია და ასეთი საკვების მწარმოებელი ადამიანები კატასტროფების დროს მთავრობისგან დახმარებას ვერ იღებენ."*
>
> *- ქვიარ ქალი*

რაც შეეხება დასასვენებლად ქალაქიდან გასვლას, ქალების თქმით, ეს უკვე ფუფუნებად იქცა და ბევრისთვის სულ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია. ეს ასევე აწუხებს შშმ ქალებს, რადგან რეგიონებში და კურორტებზე ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული. კერძოდ, თბილისელ ქალებს აწუხებს ის, რომ ბავშვების ბუნებრივ გარემოსთან დაახლოების შესაძლებლობა მცირდება იმ დროს, როდესაც თბილისში ასეთი ბუნებრივი გარემო თითქმის აღარ არის შემორჩენილი. მათთვის ასევე ძალიან რთულია ქალაქებში ზაფხულის სიცხისთვის გაძლება.

> *"როდესაც გინდა შენი შვილი სუფთა ჰაერზე წაიყვანო, ეს მთელი წლის დანაზოგი არ უნდა დაგიჯდეს. ქალაქში უნდა იყოს რაღაც ადგილები, სადაც ბავშვთან ერთად დაისვენებ".*
>
> *- თბილისელი ქალი*

სოფლად მცხოვრები ქალების მიერ დასახელებული გარემოსდაცვითი პრობლემების გარდა, მათ მნიშვნელოვან ნაწილს აწუხებს გაუტყეურება (27.1%), საძოვრებზე ჭარბი ძოვება (21.5%), პესტიციდების ხშირი გამოყენება (17.3%), საკანალიზაციო სისტემის არარსებობა (14.5%), საძოვრების, ტყეების და სხვა ბუნებრივი რესურსების პრივატიზაცია (17.3%) და ბიომრავალფეროვნების განადგურება (15.3%). სოფლად მცხოვრები ქალების აზრით, ეს და სხვა გარემოსდაცვითი პრობლემები უპირველეს ყოვლისა ამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახეობებს (30.9%) და საკვები პროდუქტების რაოდენობას (26.7%), ოჯახის შემოსავალს (33.3%), უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მათ უსაფრთხოებაზე (31.6%), ფიზიკურ ჯანმრთელობაზე (29.9%) და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (18.7%), ზრდის მათ სამუშაო დატვირთვას (19.0%) და ამცირებს შრომის ნაყოფიერებას (20.8%).

ფოკუს ჯგუფების თანახმად, გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული და გამწვავებული პრობლემების ერთობლივი მძიმე სოციალური ზემოქმედება ქალებზე კარგად ჩანს სამრეწველო და სამთო-მოპოვებით ობიექტებთან დაკავშირებული მაგალითებიდან. მაგალითად, ჭიათურაში მანგანუმის ღია წესით მოპოვება ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას უშლის ხელს (მაგ., ოჯახებს აღარ ჰყავთ პირუტყვი, რადგან ის ხშირად კარიერებში იკარგება), აზიანებს საცხოვრებელ სახლებს, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალების უსაფრთხოებაზე, აუარესებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას (განსაკუთრებით მომატებულია ალერგიული ფონი და ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევები) და უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ქალების გადმოცემით, არსებული მძიმე ეკოლოგიური ვითარების გამო უარესდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სოფლები ხალხისგან იცლება. ქალები სახელმწიფოს მხრიდან სისტემურ ჩაგვრაზე საუბრობენ, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ადამიანების დახმარება და ადგილზე მდგომარეობის გაუმჯობესება. გარდა ამისა, ისინი აცხადებენ, რომ სამთო-მოპოვებითმა სამუშაოებმა გააააქტიურეს არსებული მეწყერი, რომელმაც სოფლებს სერიოზული ზიანი მიაყენა.

სამთო-მოპოვებითი სამუშაოები დედოფლისწყაროშიც მიმდინარეობს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თანახმად, კლიმატის ცვლილების გამო ქალაქში ჩრდილოეთის ქარები გაძლიერდა. სამთო-მოპოვებითი სამუშაოები ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მიმდინარეობს, შედეგად ქალაქში ღია კარიერებიდან წამოღებული მტვრის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ფოთელი მონაწილეების თანახმად, ფოთში მაღალია ზღვისა და ჰაერის სამრეწველო დაბინძურების დონე, რის გამოც ბავშვებში მძიმე ლითონებით მოწამვლის შემთხვევების რაოდენობა გაიზარდა. ეს ლაბორატორიული კვლევებითაც დასტურდება. მძიმე ლითონები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვების ჯანმრთელობას.

> *"ბავშვს თბილისში გამოკვლევები ჩავუტარე და სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა აღმოაჩნდა. არ გაიყვანოთ ბავშვი გარეთ, ასე მითხრეს ექიმებმა. ბავშვი ერთი წლით სოფელში წავიყვანე, მაგრამ როდემდე დავრჩებით იქ. არც კი ვიცით ზუსტად საიდან ბინძურდება ეს გარემო. ყველაფერი წამლავს ამ გარემოს."*
>
> *- ფოთელი ქალი*

სვან ქალებს გაუტყეურების პრობლემა აწუხებთ. მათი თქმით, ტექნოლოგიების დახვეწამ, დიდი რაოდენობის ლიცენზიების გაცემამ და ხე-ტყეზე გაზრდილმა მოთხოვნამ ტყის საფარის შემცირება დააჩქარა, რაც, მათი აზრით, მიკროკლიმატზეც აისახება. მათივე თქმით, მიკროკლიმატის ცვლილება რეგიონში არსებულ ჰესებსაც უკავშირდება. შედეგად, რეგიონში მოსალოდნელია ქარების გაძლიერება და მეწყრული პროცესების გააქტიურება.

3.4. ეკონომიკური პირობები და ზემოქმედება ადამიანების კეთილდღეობაზე

შემოსავლისა და ასაკის ცვლადი მაჩვენებლები ერთმანეთთან კორელაციაშია. შემოსავალი ასაკის ზრდის პარალელურად მცირდება. 400 ლარამდე შემოსავალი აქვთ 65 წლის და უფროსი ასაკის ქალების 81.9%-ს, 45-64 წლის ქალების 43.9%-ს, 30-44 წლის ქალების 29.4%-ს და 18-29 წლის ქალების 29.4%-ს. აკადემიური განათლების დონე რესპონდენტების ასაკთან ერთად მცირდება. გამოკითხულთა შორის უმაღლესი განათლების (არასრული ან სრული) ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 65 წელზე უფროსი ასაკის ქალების (13.1%) შემთხვევაში ფიქსირდება. ასაკთან კორელაციაშია ქონების ფლობის მაჩვენებელიც. კერძოდ, საკუთარი ქონება აქვს 65 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების 56.2%-ს. ეს მაჩვენებელი 45-64 წლის რესპონდენტების შემთხვევაში 37%-ია, 30-44 წლის რესპონდენტების შემთხვევაში - 34.4%, ხოლო 18-29 წლის რესპონდენტების შემთხვევაში - 24.7%.

სხვადასხვა საფრთხეების რისკის ზონებში მცხოვრები ქალების ნახევარზე მეტს დაბალი შემოსავალი აქვს, რამაც, შესაძლოა, კლიმატის ცვლილებისთვის მზადყოფნისა და მასთან ადაპტაციის მათი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეამციროს. საფრთხეების რისკის ზონებში მცხოვრები ქალების 56.4%-ის შემოსავალი 400 ლარამდეა, 22.3%-ის - 401-დან 800 ლარამდე, 7.1%-ის - 801-დან 1200 ლარამდე, ხოლო 2.8%-ის - 1201 ლარზე მეტი.

დიაგრამა 11.
კორელაცია ქალების შემოსავალსა და სტიქიური საფრთხეების რისკის ზონებში ცხოვრებას შორის.



კატასტროფების რისკისა და მათგან მიყენებული ზიანის შესამცირებლად ოჯახებს კონკრეტული ნივთების გარკვეული მარაგი უნდა ჰქონდეთ. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთი სახის ნივთი ბევრ ოჯახში ნაკლებად მოიპოვება. ქალების გადმოცემით, ოჯახების 85.5%-ის აქვს პირველადი დახმარების ნივთების 3-7 დღის მარაგი, 84.8%-ს აქვს ჰიგიენური საშუალებები, 67.8%-ს - ფარანი, სანთელი და სხვა საშუალებები ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის დროს გამოსაყენებლად, 67.5%-ს - საკვები პროდუქტები, რომლებიც არ ფუჭდება, 47.2%-ს - გათბობის ალტერნატიული საშუალებები, ხოლო 37.9%-ს - წყლის მარაგი. უნდა აღნიშნოს, რომ პირველადი დახმარებისა და ჰიგიენური საშუალებები ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტების უფრო დიდ ნაწილს აქვს, ხოლო სხვა სახის მარაგები - სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებს.

კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია საცხოვრებლის მახასიათებლების გათვალისწინება. ამის შესაფასებლად საჭიროა კონკრეტული პარამეტრების ცოდნა. კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქში მცხოვრებ რესპონდენტთა ნახევარს (51%) საცხოვრებელთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის პრობლემები აქვს, ხოლო სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია (63.1%). გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა სახლების ცუდი მდგომარეობა, სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა, საკანალიზაციო სისტემის არარსებობა, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართობი და შეშის გამოყენება გასათბობად ან საჭმლის მოსამზადებლად. ამის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ ქალები და მათი ოჯახები ზოგადად მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში არიან, ბევრი სახლი ძველია და ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და სოციალური კეთილდღეობის სტანდარტებს არ შეესაბამება. მეორე მხრივ, ეს მედეგი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის სტანდარტების დანერგვის აუცილებლობაზე მიუთითებს. კლიმატის კანონმდებლობა ფაქტობრივად არ არსებობს, შესაბამისად, ეს სტანდარტები და მოწყვლადი ოჯახების დახმარების სქემები დანერგილი არ არის.

4 კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გავლენის ქვეშ მყოფი ქალების კონკრეტული ჯგუფების მოწყვლადობა და ინტერსექციურობის კონცეფცია

ინტერსექციური მიდგომის გამოყენებით კვლევის ფარგლებში შესაძლებელი გახდა მოწყვლადობის სხვადასხვა სახეებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა და კლიმატის ცვლილების მიმართ მათი დაუცველობისა და მგრძნობელობის გამოკვლევა. კლიმატის ცვლილების კონტექსტში ქალების მოწყვლადობის შესასწავლად აუცილებელია იმ სისტემური ელემენტების ანალიზი, რომლებიც ამ უთანასწორობას უდევს საფუძვლად. როგორც წინა თავებში აღინიშნა, ინტერსექციურობა არ არის მხოლოდ იმის აღიარება, რომ სხვადასხვა ქალის შემთხვევაში შედეგი განსხვავებულია; ეს არის იმის დადგენა, თუ როგორ ყალიბდება ეს შედეგები ძალაუფლებისა და ჩაგვრის ურთიერთდაკავშირებული სისტემების მიერ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ქალების რამდენიმე სახის სოციალური სტატუსი და მახასიათებელი, როგორიცაა ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, დედობა, სოციალური მდგომარეობა, და სხვ. გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების 20.2%-ის ასაკია 18-29 წელი, 24.7%-ის - 30-44 წელი, 33.8%-ის - 45-64 წელი, ხოლო 21.3%-ის - 65 წელზე მეტი. რაც შეეხება აკადემიურ განათლებას, გამოკითხულთა 37.3%-ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 35.1%-ს - სრული საშუალო განათლება. 20.2%-ს საშუალო ტექნიკური/საშუალო პროფესიული განათლება აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალების რაოდენობა ქალაქებში უფრო მაღალია (47.7%), ვიდრე სოფლად (24.5%). გარდა ამისა, ქალების 63.0% დაქორწინებულია, 17.5% - ქვრივია, 12.9% - არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 5.9% - განქორწინებულია ან მეუღლისგან განცალკევებით ცხოვრობს, ხოლო 0.5% ცხოვრობს პარტნიორთან სამოქალაქო ან რელიგიური ქორწინების გარეშე.

ბოლო 12 თვის განმავლობაში ყოველი მეათე ქალი მარტო ცხოვრობდა, 18.2% - ერთ ადამიანთან ერთად, 42% - 2-3 ადამიანთან ერთად და 30.2% - ოჯახის 4 და მეტ წევრთან ერთად. გამოკითხული ქალების 48%-ს ჰყავს მზრუნველობის ქვეშ მყოფი 18 წლამდე ასაკის ბავშვი/მოზარდი. 18 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავს 30-44 წლის ქალების 77.4%-ს (ძირითადად 6-18 წლის მოზარდები) და 18-29 წლის ქალების 48.1%-ს (ძირითადად 2 წლამდე ბავშვები).

ჯანმრთელობის მდგომარეობის, შემოსავლისა და ასაკის ცვლადი მაჩვენებლები ერთმანეთთან კორელაციაშია. ანალიზის შედეგად ხანდაზმული და დაბალი შემოსავლის მქონე ქალების მოწყვლადობა იკვეთება. ირკვევა, რომ ქრონიკული და მძიმე დაავადებების მქონე რესპონდენტთა 48% 65 წლის და უფროსი ასაკისაა, 36.3% - 45-64 წლის, 9.4% - 30-44 წლის, ხოლო 6.4% - 18-29 წლის. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქრონიკული/სერიოზული დაავადებები და ჯანმრთელობის უმნიშვნელო პრობლემები ახალგაზრდებშიც გვხვდება.

დიაგრამა 12:
ქრონიკული/მძიმე დაავადებების მქონე ქალები და მათი ასაკი



ინტერსექციური ანალიზი აჩვენებს, რომ პატრიარქატი, ძალაუფლების სხვა ისეთ სისტემებთან ერთად, როგორიცაა კაპიტალიზმი, ხელს უწყობს ხანდაზმული და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ქალების მოწყვლადობის დონის ზრდას. ეს კავშირი სქესს, შემოსავალსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის შემდეგი მონაცემებიდანაც ჩანს: ქრონიკული/მძიმე დაავადებების მქონე რესპონდენტების 74.3%-ის ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი 400 ლარამდეა, ასეთივე შემოსავალი აქვს ჯანმრთელობის უმნიშვნელო პრობლემების მქონე რესპონდენტების 48.8%-ს და პრაქტიკულად ჯანმრთელი რესპონდენტების 29.1%-ს. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, 400 ლარამდე შემოსავლის მქონე რესპონდენტთა 40.4%-ს ქრონიკული/მძიმე დაავადებები აქვს.

დიაგრამა 13.
ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა და სტაბილური ყოველთვიური შემოსავალი



კვლევა აჩვენებს, რომ სხვადასხვა საფრთხეების რისკის ზონებში მცხოვრები ქალების ნახევარზე მეტს დაბალი შემოსავალი აქვს, რამაც, შესაძლოა, კლიმატის ცვლილებისთვის მზადყოფნისა და მასთან ადაპტაციის მათი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეამციროს. ამ შემთხვევაში ინტერსექციური მიდგომა გვკარნახობს, გავარკვიოთ, თუ როგორ იკვეთებიან სხვადასხვა სისტემები, მათ შორის კაპიტალიზმი და პატრიარქატი, ამ უთანასწორობის გასამყარებლად.

„კლიმატის ცვლილება ჩემზეც უარყოფითად მოქმედებს“ განცხადებაზე დათანხმების ხარისხი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის მიხედვით იზრდება. პრაქტიკულად ჯანმრთელი რესპონდენტების შემთხვევაში განცხადებზე დათანხმების საშუალო მაჩვენებელი 5-ქულიანი სისტემით 3.45-ის, ჯანმრთელობის უმნიშვნელო პრობლემების მქონე რესპონდენტების შემთხვევაში - 4, ხოლო ქრონიკული/მძიმე დაავადებების მქონე რესპონდენტების შემთხვევაში - 4.22. განცხადებაზე დათანხმების საშუალო მაჩვენებელი იმავე სისტემით ასაკის მიხედვითაც იზრდება. გარდა ამისა, ირკვევა, რომ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებს შორის სითბური ტალღების უარყოფითი ზემოქმედება ყველა ასაკობრივ ჯგუფში მაღალია, თუმცა ხანდაზმულ მოსახლეობაში ეს ტენდენცია ოდნავ ძლიერდება. საყურადღებო ტენდენციაა ის, რომ განცხადებებზე იმის შესახებ, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ რესპონდენტებმა კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად და როგორ აიცილონ მისი შედეგები, დათანხმების საშუალო მაჩვენებელი შედარებით მაღალია 30-44 წლის რესპონდენტებში, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

გამოკითხვაში მონაწილე ზოგიერთი რესპონდენტი მოსახლეობის სხვადასხვა დაუცველ ჯგუფს ან უმცირესობას მიეკუთვნება: 12.1% - ქრონიკული დაავადებ(ებ)ის მქონე, 8.0% -სოციალურად დაუცველი (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი), 4.3% - იძულებით გადაადგილებული პირი, 4.0% - ეთნიკური

უმცირესობის წარმომადგენელი, 2.0% - მარტოხელა დედა, 2.7% - მრავალშვილიანი დედა, 1.2% - შშმ ქალი, 1.2% - შშმ პირის დედა ან მზრუნველი და 0.1% - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალი. ქალების ამ მცირერიცხოვან ჯგუფზე სტატისტიკური კვლევის ჩატარება რთული აღმოჩნდა, ამიტომ, სოციალურ და სამედიცინო სერვისებზე ამ ჯგუფებიდან ზოგიერთის წვდომის სხვა ტენდენციები ქვემოთ, ხარისხობრივ მონაცემებზე დაყრდნობით არის გაანალიზებული.

კონკრეტული წინაღობების არსებობის გამო, სერვისებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისათვის. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქართული ენის არასაკმარისი ცოდნის გამო მათ ადგილზე, ზოგადად, სხვადასხვა სახის სერვისისა და ინფორმაციის მიღება უჭირთ. არაადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და სერვისების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს მათზე წვდომა არ აქვთ. განსაკუთრებით მწვავეა საგანმანათლებლო და მობილობის სერვისების პრობლემა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომისთვის საჭირო ადაპტირებული საშუალებების ნაკლებობა. ხშირია შშმ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, ხოლო ასეთ ქალებისთვის საკუთარი უფლებების რეალიზაციის საშუალებები შეზღუდულია. ეს ფინანსებზე წვდომასაც ეხება, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უმეტესობა სხვა ადამიანების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. დამოუკიდებლად ცხოვრებაში ასეთი ქალების მხარდაჭერის არსებული პრაქტიკა სუსტი და იშვიათია.

> *"ზოგადად, სტატისტიკა ჩვენთვის დიდი პრობლემაა, ჩვენ არც კი ვიცით ქვეყანაში რამდენი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. სტატისტიკა წარმოებს მხოლოდ სოციალური პაკეტების, ანუ იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც სოციალური პაკეტით სარგებლობენ."*
>
> *- შშმ ქალი*

> *"ასეთი პრობლემები ბევრგანაა: ავტობუსი ადაპტირებულია, მაგრამ არ არის გაჩერებამდე მისასვლელად საჭირო ინფრასტრუქტურა."*
>
> *- შშმ ქალი*

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და სხვათა გამოცდილების შესწავლისას ცხადი ხდება, რომ სერვისებსა და რესურსებზე წვდომა მნიშვნელოვნად სისტემური წინაღობების გამოა შეზღუდული. მაგალითად, ენობრივი ბარიერები, არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა და სამედიცინო სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა ამ ჯგუფებზე არაპროპორციულ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. ინტერსექციური მიდგომა გვაიძულებს, გავარკვიოთ, თუ როგორ იკვეთებიან პატრიარქატი და ძალაუფლების სხვა სტრუქტურები ეიბლიზმთან, რასიზმთან და დისკრიმინაციის სხვა ფორმებთან ამ წინაღობების შესაქმნელად.

სამედიცინო სერვისებზე შეზღუდული წვდომა აქვთ დაბალშემოსავლიან ოჯახებსაც. გარდა ამისა, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, რომლისთვისაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება რთული ან შეუძლებელია, მომსახურებაა ძირითადად ქალაქებში იღებს. სერვისებზე წვდომა და დასაქმების შესაძლებლობები პრობლემურია ქვიარ თემისთვისაც, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ადგილი აქვს კულტურულ ჩაგვრასაც.

ქალების კონკრეტულ ჯგუფებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც ფიქსირდება. ცხადია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ყველაზე ხშირია იძულებით გადაადგილებულ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ეკომიგრანტ ქალებს შორის. იმავდროულად, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ეკომიგრანტის სტატუსის მიღებას ელოდებიან, ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებასთან ერთად, სოფელში ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობა არ იზრდება. შესაბამისად ამ ქალების ცხოვრების ხარისხი ძალიან დაბალია. იძულებით გადაადგილებული ქალები და ეკომიგრანტები განსახლების შემდეგ ახალ პირობებთან ადაპტაციის პროცესების, მათ შორის ახალ კლიმატთან შეგუების სირთულეებზე საუბრობენ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე რესპონდენტების აზრით, გადასახლება შშმ პირებისთვის განსაკუთრებით რთულია და ამიტომ ამ ასპექტის სახელმწიფო პოლიტიკაში გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია.

> *"თითქმის ერთი წელი დამჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ ეს ახალი რეალობაა და მე მას უნდა შევეგუო. ჩემო აზრით, 6 თვიდან 1 წლამდე ყველაზე რთული გარდამავალი ეტაპია. მერე მივხვდით, რომ არავინ აღარსად წავიდოდა და შევეგუეთ. შეგუება ახლაც გრძელდება. მაგრამ ქვეცნობიერად და სიზმრებში, და ეს სხვებისგანაც ხშირად მსმენია, მე ისევ ახალგორში ვარ"*
>
> *იძულებით გადაადგილებული ქალი*

ინტერსექციური მიდგომით ირკვევა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები გავრცელებულია ქალთა ისეთ კონკრეტულ ჯგუფებში, როგორიცაა იძულებით გადაადგილებული პირები და ეკომიგრანტები. ეს ნიშნავს იმას, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ადგილმონაცვლეობასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული ძალაუფლების დინამიკა გენდერსა და შემოსავალთან იკვეთება, რაც საბოლოო ჯამში ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

5 პოლიტიკური სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ ქალებსა და კლიმატთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე გავლენის ან დადებითი ცვლილების მოხდენა

კლიმატთან დაკავშირებული სამართლიანობის მისაღწევად აუცილებელია კლიმატის ცვლილების საკითხების ძლიერი მართვა ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობითა და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. კლიმატის პოლიტიკის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ინტერსექციური მიდგომა, ქალების სხვადასხვა დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებები და გამოწვევები. თუმცა, ირკვევა, რომ არცერთი უწყება თუ ორგანიზაცია კლიმატის ცვლილებასა და ქალების რისკებზე სისტემურად არ მუშაობს. ქვემოთ განხილულია, თუ რომელ უწყებას და როგორ შეუძლია გაუმჯობესოს საკუთარი საქმიანობა ქალების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, შევეცდებით განვსაზღვროთ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ადგილობრივი მოქმედებების მხარდაჭერის საშუალებები.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს კანონმდებლობა და კლიმატის პოლიტიკა არ არის გენდერულად მგრძნობიარე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ნახსენები იყოს ისეთი ტერმინები, როგორიცაა „გენდერული მეინსტრიმინგი" ან „ქალების გაძლიერება", ეს ცნებები არც სამოქმედო გეგმებშია ასახული და არც შესაბამისი ღონისძიებები და მათი შესრულების ინდიკატორებია შემუშავებული. ეროვნულ დონეზე შექმნილია კლიმატის პოლიტიკაზე მომუშავე რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, თუმცა კონკრეტულად გენდერზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი არ არსებობს.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად საჭიროა არსებობდეს გენდერული ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები. ეს ხელს შეუწყობს კლიმატის პროექტებსა და პოლიტიკაში გენდერული საკითხების ინტეგრაციას. გარდა ამისა, არა მხოლოდ ცენტრალური უწყებები, არამედ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიც არ არიან საკმარისად ინფორმირებული კლიმატის ცვლილების შესახებ და, როგორც წესი, არ იციან, რომ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაციაზე უკვე მუშაობენ. მაგალითად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი მოსახლეობის წყალდიდობისაგან დასაცავად, გაბიონებს აშენებენ. თუმცა, ამ ინფრასტრუქტურაზე სახსრები არაეფექტიანად იხარჯება და ეს ინფრასტრუქტურა, ზოგადად, უხარისხოა.

5.1. უწყებების რეაგირება (უმოქმედობა) კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებზე

გამოკითხვისას გაირკვა, რომ სახელმწიფო, მედია, არასამთავრობო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები ნაკლებად რეაგირებენ რესპონდენტების საჭიროებებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირების კუთხით. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის, რას საქმიანობენ ეს უწყებები კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით, ან უჭირს მათი მუშაობის შეფასება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ქალებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, მუშაობენ თუ არა ეს უწყებები კლიმატის ცვლილების პრობლემებზე და როგორ აკეთებენ ამას. მაგალითად, ქალების 40.2%-

მა არ იცის, რას საქმიანობს ამ მიმართულებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან/და უჭირს შეფასება. ეს მაჩვენებელი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შემთხვევაში 43.0%-ია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემთხვევაში - 45.6%, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემთხვევაში - 45.5% და საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაში - 45.2%, პარლამენტის შემთხვევაში - 39.8% და პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში - 45.2%

ცხრილი 6:
ქალების პასუხები კითხვაზე, თუ რამდენად პასუხობენ ინსტიტუციები მათ საჭიროებებს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით

უწყება და ორგანიზაცია	არ პასუხობს	თანაბრად პასუხობს კიდეც და არც პასუხობს	პასუხობს	არ ვიცი/უარი პასუხზე
ადგილობრივი თვითმმართველობა	28.3%	22.6%	16.3%	**32.8%**
პარლამენტი	32.2%	17.2%	9.2%	**41.4%**
მთავრობა	29.6%	20%	10.9%	**39.5%**
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	25.3%	19.9%	13.2%	**41.7%**
გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	24.4%	18.1%	12%	**45.5%**
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	26.2%	16.6%	8.9%	**48.3%**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	26.6%	16.6%	7.5%	**49.2%**
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	25.6%	16.3%	8.1%	**50%**
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	25.6%	16.9%	7%	**50.4%**
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	23.9%	15.7%	14.8%	**45.5%**
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	25.8%	16.6%	8.6%	**49.1%**
საერთაშორისო ორგანიზაციები	26.5%	17%	7.9%	**48.7%**
მედია	23.8%	21.3%	14%	**40.9%**

ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG)	24.3%	13.3%	7%	**55.5%**
რელიგიური ორგანიზაციები	27.4%	13.3%	5.7%	**53.6%**
პოლიტიკური პარტიები	33.2%	13.6%	4.9%	**48.4%**

კლიმატით გამოწვეულ საჭიროებებზე უწყებების მუშაობის 5-ქულიანი სისტემით შეფასებისას, მკვეთრად დადებითი შეფასება არ ერთმა უწყებამ ამ მიიღო. ეს მაჩვენებელი ძირითადად საშუალო და საშუალოზე დაბალია. 2.5-ის ტოლ საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ მაღალი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის (საშუალო - 2.57), საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (საშუალო - 2.57) და მედიის (საშუალო - 2.54) შეფასება.

კითხვაზე, თუ რომელ უწყებას/ორგანიზაციას ენდობიან ყველაზე მეტად კლიმატის ცვლილების რისკების შემცირებისა და მზადყოფნის გაუმჯობესების კუთხით მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რესპონდენტები ყველაზე ხშირად „არცერთს“ (31.3%) პასუხობდნენ, პასუხების რაოდენობით მომდევნო ადგილზე იყო „ადგილობრივი ხელისუფლება“ (28.0%). აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს (36.2%) ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ ოდნავ მაღალი ნდობა აქვთ. ქალაქებში ეს მაჩვენებელი 28.0%-ია. დანარჩენმა უწყებებმა რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილის ნდობა დაიმსახურეს. McKay, Jennings და Stoker საკუთარ სტატიაში აცხადებენ, რომ „განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში სოფლად ცხოვრება პოლიტიკური ნდობის უფრო მაღალ დონესთან ასოცირდება“. (2023: 3). ისინი აღნიშნავენ, რომ ნდობის ხარისხი, ზოგადად, განვითარებადი სამყაროს, მათ შორის სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის სოფლებში უფრო მაღალია (იქვე). სხვაობა ნდობის დონეებს შორის უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ განსხვავებასთან და არა გენდერთან.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აცხადებენ, რომ მათი პრობლემების მოგვარება სახელმწიფო უწყებებისა და პარლამენტის ვალდებულებაა, მაგრამ, ზოგადად, ქვეყანაში გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის პოლიტიკური ნება არცერთ უწყებას არ აქვს. მათი აზრით, სისტემური მიდგომა გარემოსდაცვითი პრობლემების მოსაგვარებლად გარემოს დაცვის სამინისტროს მუშაობაშიც კი არ ჩანს. გარდა ამისა, ისინი აცხადებენ, რომ აუცილებელია გარემოს განადგურებისა და ფემიციდის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობისა და კანონაღსრულების გამკაცრება და ქალებისა და კლიმატის საკითხებზე მუშაობის გაფართოება. კლიმატის ცვლილების საკითხებზე აქტიურად უნდა იმუშაოს ყველა იმ ორგანიზაციამ და უწყებამ, რომლებსაც შესაბამისი ფუნქციები, გამოცდილება და როლი აქვთ.

> ქალების აზრით, საჭიროა სახელმწიფო უწყებების მიმართ ნდობის გაზრდა და ქალებსა და ახალგაზრდებთან მათი თანამშრომლობის გააქტიურება. უნდა აღინიშნოს, რომ დაუცველ ჯგუფებს და ამ შემთხვევაში, ქვიარ აქტივისტის თქმით, მათ უმრავლესობას აქვს უნდობლობა სახელმწიფო უწყებებისა და ხელისუფლების მიმართ, რაც ქვიარ თემის მიმართ სახელმწიფოს მტრული პოლიტიკით არის გამოწვეული. გარდა ამისა, აქტივისტებს დაბალი დონის გადაწყვეტილებების მიმღები უწყებების ნაკლები იმედი აქვთ, რადგან თვლიან, რომ გადაწყვეტილებები და პოლიტიკა ზემოდან იმართება.

ეს დასკვნები გადაწყვეტილებების მიღების ოფიციალურ პროცესში ქალებისა და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლობას უკავშირდება. ანგარიშის დასაწყისში ჩვენ სახელმწიფო უწყებებსა და მთავრობაში ქალების წარმომადგენლობაზე ვისაუბრეთ; რაც შეეხება უმცირესობებს, ამ კუთხით მდგომარეობა უარესია:

- **ეთნიკური უმცირესობები:** საქართველოს პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა ძალიან დაბალია. ამჟამად საქართველოს პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ ექვსი დეპუტატია (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021 წ.). ეთნიკური უმცირესობების დაბალი წარმომადგენლობა იმ რეგიონებშიც ფიქსირდება, სადაც ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (იქვე). აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის ბიურო მონაცემებს სახელმწიფო უწყებებისა და საჯარო მოხელეების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ სისტემატურად არ აგროვებს (UNDP, 2022b). თუმცა, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა რამდენიმე მუნიციპალიტეტში გამოკითხვა ჩაატარა, რომელმაც ადგილობრივ თვითმმართველობებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის კუთხით მნიშვნელოვანი უთანასწორობა გამოავლინა. მაგალითად, მარნეულის მერიაში

დასაქმებულთა მხოლოდ 36% არის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 91.4% ეთნიკური უმცირესობებისგან შედგება, (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021). მსგავსი შეუსაბამობებია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში (დასაქმებულთა მხოლოდ 14%-ია ეთნიკური უმცირესობა, როდესაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 69.1%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ), დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში (დასაქმებულთა მხოლოდ 21%-ია ეთნიკური უმცირესობა, როდესაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 66.9%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ) და წალკის მუნიციპალიტეტის მერიაში (დასაქმებულთა მხოლოდ 22%-ია ეთნიკური უმცირესობა, როდესაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 53.5%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ) (იქვე).

- **რელიგიური უმცირესობები:** რელიგიური უმცირესობების შესახებ ცალკე ოფიციალური მონაცემები არ არსებობს; თუმცა, სხვადასხვა ანგარიშებში საუბარია მათი დასაქმების ტენდენციებზე. მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმი უმცირესობები იშვიათად არიან წარმოდგენილი სახელმწიფო სექტორში (სოლიდარობის თემი, 2022 წ.).

- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები:** 2022 წლის მონაცემებით, საჯარო სამსახურში და ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებულია 240 შშმ პირი, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 0.6%-ია (კილასონია 2022).

- **ქვიარ ადამიანები:** საქართველოში ქვიარ ადამიანების სისტემატური დისკრიმინაციის გამო, ქვეყანაში სტატისტიკური ინფორმაცია არ მოიპოვება.

გამოიკვეთა ხუთი ძირითადი მიმართულება, რომლებზეც, რესპონდენტების აზრით, უნდა იმუშაონ უწყებებმა და ორგანიზაციებმა კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირებისა და მათი მზადყოფნის დონის გასაუმჯობესებლად. ესენია: გარემოს დაცვა (მაგალითად, მდინარეების დაცვა და ჰაერის ხარისხის კონტროლი) (46.5%), სოფლის მეურნეობის გაძლიერება და მისი ადაპტაცია კლიმატის ცვლილებასთან (40.2%), მშენებლობების ხარისხისა და მათთვის ტერიტორიების გამოყოფის კონტროლი (35.5%), ტყეების დაცვა და აღდგენა (26%), კატასტროფების რისკის მართვის გეგმების მომზადება (24.5%).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა პრიორიტეტები გამოკითხვისას გამოვლენილ მიმართულებებს ემთხვევა. ქალების აზრით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის კლიმატის მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობის შესახებ ცოდნის გაზიარება და ამის შემდეგ მათი შესაძლებლობების გაძლიერება. გარდა ამისა, აუცილებელია ბუნებრივი რესურსების უფრო მდგრადი მეთოდებით მართვა, წყლის რესურსების უკეთ გამოყენება და ცალკეულ ადგილებში წვიმის წყლის შეგროვებაც, ნიადაგსა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული კვლევების მხარდაჭერა, საფრთხეების შესახებ ინფორმაციის რაოდენობისა და მათ მიმართ მედეგობის დონის გაზრდა, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის შესახებ ინფორმაციისა და მასზე წვდომის უზრუნველყოფა, ქარსაცავი ზოლების აღდგენა, მონოკულტურების წარმოებიდან შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაზე გადასვლის ხელშეწყობა, და სხვ.

> *"ამ ტრენინგების შემდეგ ჩვენი სოფლის ქალებმა დაიწყეს ისეთი კულტურების მოყვანა, რომელიც ჩვენთვის მანამდე ცნობილი არ იყო. მაგალითად, სატაცური, არტიშოკი, ვარდკაჭაჭა... ბოსტნეული, რომლის მოყვანა არ ვიცოდით და ამ მხარდაჭერის გარეშე ვერც მოვიყვანდით."*
>
> *სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამფუძნებელი და ეკომიგრანტი ქალი*

ქალების თანახმად, რეგიონებში აუცილებელია ძირითადი სერვისების (ელექტროენერგია, გზების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, და ა.შ.) უზრუნველყოფა/გაუმჯობესება და მათი შვილების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ცხადია, რომ მნიშვნელოვანია ქალებისა და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ალტერნატიული სამუშაო ადგილების (მაგ. ბიოგაზის წარმოება, პლასტმასის შეგროვება-გადამუშავება და ა.შ.) შექმნა, რაც გარემოზე ზეწოლას შეამცირებს. ასევე მნიშვნელოვანია ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდ მეტი ქალის დაინტერესება და დასაქმება.

გარდა ამისა, ერთ-ერთ პრიორიტეტად გარემოს დაცვის გაძლიერება დასახელდა. სამრეწველო და სამთო-მოპოვებითი რაიონების დასახლებებში დაბინძურების შემცირება და აღმოფხვრა და გარემოს (მდინარეების ჩათვლით) მდგომარეობის გაუმჯობესება, რეკრეაციული და დაცული ტერიტორიების შექმნა, ურბანული დასახლებებში არსებული/შემორჩენილი ბიომრავალფეროვნების და მწვანე საფარის დაცვა და ამ პროცესებში ქალების, ახალგაზრდებისა და ბავშვების ჩართვა.

5.2. ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც მნიშვნელოვანი სუბიექტი კლიმატის ცვლილების მართვის გაუმჯობესების საქმეში

ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყებებსა თუ ორგანიზაციებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ან გამწვავებული პრობლემის გადასაჭრელად გამოკითხულთა მხოლოდ 6.7%-მა მიმართა: სოფლად მცხოვრები ქალების 9.4%-მა და ქალაქებში მცხოვრები ქალების 4.7%-მა. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართა. რესპონდენტებმა უწყებებს ძირითადად შემდეგი პრობლემების მოსაგვარებლად მიმართეს: დახმარების თხოვნა კატასტროფის შედეგად მათი ან მათი ოჯახის ქონების დაზიანების გამო (38.8%) და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება (სანიაღვრე არხები, დამცავი კედლები, წყალმომარაგება, და სხვ.) (24.3%). სოფლად მცხოვრები ქალების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ასევე მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას კატასტროფების შედეგად ნათესების დაზიანებაზე რეაგირებისათვის და სარწყავი თუ სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მოთხოვნით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რესპონდენტებს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, სხვა უწყებებთან შედარებით, ოდნავ მაღალი ნდობა აქვთ. მათ სურთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა სხვადასხვა მიმართულებით იმუშაონ იმისათვის, რომ მათზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედება შემცირდეს. კვლევის შედეგად 5 ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა. ესენია: დასახლებაში მცენარეული საფარის გაზრდა - 41.5%, კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ადეკვატური ფინანსური და სხვა სახის დახმარების გაწევა - 36%, საფრთხეების რისკის ზონებში მშენებლობების შეზღუდვა-აკრძალვა - 31.5%, მდინარეების ნაპირების გამაგრება - 29.4% და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება (ტრანსპორტის გათბობა-გაგრილების სისტემის გამართული ფუნქციონირების ჩათვლით) – 28.8%. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად მცხოვრები ქალების 5 ძირითად მიმართულებას შორის ასევე მოხვდა კატასტროფების საფრთხისა და რისკების გამოვლენა და აღრიცხვა, ხოლო კატასტროფების რისკის ზონებში მშენებლობების შეზღუდვა-აკრძალვა უფრო მეტად ქალაქებში მცხოვრები ქალების მიერ დასახელდა.

> რესპონდენტებს სურთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობა კლიმატის ცვლილების რისკებისა და ზემოქმედების შემცირებისკენ შემდეგნაირად წარიმართოს: კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად მეტი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფით (37.1%), მოსახლეობასთან უფრო ხშირი შეხვედრების ორგანიზებით (33.9%), კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებით (31%) და კლიმატის ცვლილებაზე სამოქმედო გეგმების შემუშავებით (29.6%).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს სურთ იხილონ უფრო მეტად დეცენტრალიზებული ადგილობრივი თვითმმართველობები და ადგილზე არსებულ რეალურ პრობლემებზე სათანადო მუშაობა. ზოგიერთ თვითმმართველობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პრობლემა შესაძლოა მდგომარეობდეს არა იმდენად კომუნიკაციაში, არამედ მოქალაქეთა პრობლემების მოსმენასა და მოგვარებაში.

კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადი ჯგუფების მედეგობის გასაუმჯობესებლად ასევე მნიშვნელოვანია სოციალური სერვისების გაძლიერება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების რესურსებით იმისათვის, რომ მათ უკეთ შეძლონ ამ ჯგუფების დახმარება. რესპონდენტების თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველობას, მაგალითად, არ აქვს სრული სტატისტიკა შშმ პირების შესახებ და ამიტომ ვერ ეხმარება ყველა იმ ადამიანს, რომელსაც დახმარება სჭირდება. ქალების აზრით, ზოგადად საჭიროა ქალებზე ადაპტირებული პოლიტიკის დაგეგმვა და ისინი ამ დროს საზოგადოებრივი სივრცეების ხელმისაწვდომობის პრობლემასაც გულისხმობენ. მათი თქმით, ვინაიდან გადაწყვეტილებებს ძირითადად მამაკაცები იღებენ და პოლიტიკისა და პროექტების დაგეგმვის მთელი პროცესი მასკულინურია, ხოლო საზოგადოებრივი და მწვანე სივრცეები უფრო მეტად ქალებს აინტერესებთ, ეს უფრო ქალების საჭიროებად აღიქმება და, შესაბამისად, მწვანე სივრცეების მოწყობა ამ პროცესის მიღმა რჩება.

> *„ჩვენ არც კი ვიცოდით, რომ ჩემს შვილს ჰენსია ეკუთვნოდა. ეს მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც ის 6-7 წლის გახდა“.*
>
> *– ჭიათურელი ქალი*

რაც შეეხება გარემოსა და კლიმატის ცვლილების საკითხებს, აქტივისტი რესპონდენტებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობები გარემოსდაცვითი საკითხებისა და პრობლემების სურათს ფრაგმენტულად ხედავენ და კლიმატის და გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების ერთიანი ხედვა არ აქვთ. რაც შეეხება გარემოს განადგურებას, აქ პასუხისმგებლობის

კერძო კომპანიებზე გადატანის პრობლემა დგას. თუმცა, შედეგად, ზარალდება მოსახლეობა და ამაზე პასუხისმგებლობას არც მერია და არც კერძო კომპანია არ იღებს.

> *"მერია კომპანიას კერძო მესაკუთრესთან მოლაპარაკებას ავალდებულებს. ისინი თანხმდებიან კომპენსაციის ოდენობაზე, ხელსაც აწერენ, თუმცა პასუხისმგებელი არავინაა."*
>
> *– ჭიათურელი ქალი*

გარდა ამისა, ზოგადად, ქალები ამ პრობლემას საჯარო უწყებებთან დაკავშირებითაც აწყდებიან, თუმცა გადაწყვეტილებებისადაგანხორციელებულიღონისძიებებისმდგრადობისადაინსტიტუციონალიზაციის არასტაბილურობის პრობლემები ყველაზე მეტად ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის არის დამახასიათებელი.

> "ახალციხის მერიამ მერების შეთანხმებას ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი. აქ იყო უწყება, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობდა. მერი შეიცვალა და მან ეს უწყება მთლიანად გააუქმა. ვერ მიხვდა, რისთვის იყო ის საჭირო. შემდეგ საქართველოს მთავრობამ მერიაც გააუქმა".
>
> *– ახალციხელი ქალი*

5.3. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი კლიმატის სამართლიანობის მიღწევის საქმეში

გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები ცოტას აკეთებენ მათი იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოიქმნა. თუმცა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო მეტად ენდობიან. მათი თქმით, ეს ორგანიზაციები პოლიტიკური პარტიების მიმართ ნეიტრალური და მიუკერძოებელია, მათ შეუძლიათ კრიტიკული აზრის თავისუფლად გამოთქმა და პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, არ აქვთ ხელისუფლების ხელში ჩაგდების ინტერესი.

> *"ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იმუშავებს კლიმატის ცვლილების საკითხებზე, მაგრამ უფრო მეტად არასამთავრობო ორგანიზაციებს ვენდობი. ისინი ნეიტრალურები არიან, ამიტომ მათ მიმართ მეტი ნდობა მაქვს".*
>
> *– მარნეულელი ქალი*

მათი თქმით, ისინი ძირითადად სწორედ ამ ორგანიზაციებისგან იგებენ გარემოსდაცვითი პრობლემების პრობლემებს და სანდო ინფორმაციას გარემოს მდგომარეობისა და მისი განადგურების შესახებ, ან იღებენ მათგან რჩევებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა არცერთი ეს ორგანიზაცია კლიმატის ცვლილების თემაზე აქტიურად და სისტემატურად არ მუშაობს.

> *"ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოიკვლია და გვაცნობა".*
>
> *– ფოთელი ქალი*

რესპონდენტებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემა მწვავედ დგას, „ამ ხარვეზს ავსებენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც რეგიონებში საკუთარი წარმომადგენლობა აქვთ" - აღნიშნა შშმ ქალმა, განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფებთან მიმართებით. თუმცა აქვე დაამატა, რომ ადგილობრივ დონეზე ასეთი ორგანიზაციები არც თუ ისე ბევრია.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, ორგანიზაციებმა, მათ რესურსებზე ადამიანებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ბიუროკრატიაც უნდა შეამცირონ. მათ ასევე უნდა გააძლიერონ ხალხთან მუშაობა და მათ პრობლემებს უკეთ გაეცნონ.

5.4. მედიის საშუალებით კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელობა

ქალები, როგორც ახალგაზრდები, ასევე ხანდაზმულები, აცხადებენ, რომ აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას და ონლაინ პლატფორმებს ინფორმაციის მოსაძიებლად, გასაზიარებლად და შესაგროვებლად. თუმცა, როგორც ირკვევა, კლიმატის ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის ადაპტაციისა და ზოგადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სწორი მართვის კუთხით ჯერ კიდევ ინფორმაციული ვაკუუმია. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ვირტუალურ სივრცეში ინფორმაცია ქართულ ენაზე ამ მიმართულებით ზოგადად მწირია.

ფოკუს ჯგუფებში გამოვლინდა ტელევიზორის როგორც ყურების, ასევე არყურების ტენდენცია. ამიტომ, ტელევიზიის საშუალებით ადამიანებთან ურთიერთობა კლიმატის ცვლილების პრობლემის გაშუქების მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები მეტ ინფორმაციას ადგილობრივი მედია საშუალებებიდან იღებენ, რაც აიხსნება იმით, რომ მათთვის ადგილობრივი ინფორმაციის მოსმენა უფრო მნიშვნელოვანია, ან ქალები ნაკლებად ენდობიან ცენტრალური მედიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. თუმცა, გაირკვა, რომ ზოგიერთ რეგიონში ადგილობრივ მედიასა და რადიოს გასაძლიერებლად დახმარება სჭირდება.

ქალების აზრით, მნიშვნელოვანია მედიის საშუალებით გარემოსა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება და ადამიანებისათვის სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა, მედია უნდა აძლიერებდეს მოსახლეობის ჩაგრული ჯგუფების ხმას, ყურადღებას ამახვილებდეს მათ პრობლემებზე და ზრდიდეს მათი ცნობადობის დონეს.

6 სივრცეები და პრაქტიკები რომლებიც ხელმისაწვდომია ქალებისათვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ან გამწვავებული მოწყვლადობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად

წინამდებარე თავში წარმოდგენილია რამდენიმე მეთოდი, რომლებიც, კვლევების თანახმად, ხელს უწყობენ ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას და ეხმარებიან მათ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისაგან თავის დაცვაში. გარდა ამისა, გაანალიზებულია ქალებისთვის ხელმისაწვდომი ისეთი სივრცეების ნაკლებობის საკითხი, სადაც მათ საკუთარი სოციალური და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოხატვის შესაძლებლობა ექნებათ. მოქალაქეებს აქვთ გარკვეული ფორმალური შესაძლებლობები იმისათვის, რომ საკუთარი პრობლემები და საჭიროებები გამოხატონ, როგორიცაა, მაგალითად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, საჯარო კონსულტაციები, და სხვ. როდესაც ქალებს საკუთარი პრობლემების მოგვარება უჭირთ, ისინი ახდენენ მობილიზაციას და პროტესტს გამოთქვამენ. საზოგადოებრივი მწვანე სივრცეების მობილიზაციის პლატფორმად გამოყენებას ქალები გამოხატვის მნიშვნელოვან საშუალებად განიხილავენ, რაც სიმბოლურად ამ ტერიტორიებზე მათთვის ჩამორთმეული საკუთრების უფლების დაბრუნებასაც ნიშნავს. ქვემოთ განხილული ეს მეთოდები და სივრცეები შემდგომ შესწავლასა და სისტემურ დონეზე მათი გაძლიერების საშუალებების გამოვლენას საჭიროებს.

6.1. სამეზობლო და არაფორმალური ადგილობრივი ჯგუფები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებისათვის

კვლევამ აჩვენა, რომ სამეზობლო კავშირები ქალებისათვის ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სოფლად. ურბანულ დასახლებებში არსებობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები - ფორმალური ასოციაციები. მათ ჰყავთ თავმჯდომარეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შენობის/

უბნის პრობლემების მართვასა და მერიასთან/ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციაზე. ფოკუს ჯგუფების ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ უბანში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები თავმჯდომარეების მიერ იქნა გაჟღერებული და მოგვარებული. ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი რგოლი ურბანული ტიპის დასახლებებში კლიმატის ცვლილების საკითხებზე მოსახლეობის მობილიზაციისა და შესაბამის ადგილობრივ ინიციატივებში მათ ჩასართავად; თუმცა, როგორც ჩანს, საჭიროა ამ ერთეულების შემდგომი გაძლიერება.

გაირკვა, რომ როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად აუცილებელია საზოგადოებრივი თავშეყრის, კულტურული და საგანმანათლებლო სივრცეების არსებობა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მობილიზების მეტ შესაძლებლობას მისცემს.

ფოკუს ჯგუფების ზოგიერთი მონაწილე თავად იყო თავმჯდომარე. მათ კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის საკითხებში ყველა მოქალაქის ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. რესპონდენტები თვლიან, რომ მათ დასახლებაში შედარებით აქტიური მოქალაქეები ძირითადად 30 წელზე უფროსი ასაკის ქალები (29.6%) და მამაკაცები (25.9%) არიან.

გარდა ამისა, 5-ქულიანი სისტემით დათანხმების საშუალო მაჩვენებელი განცხადებაზე იმის შესახებ, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ რესპონდენტებმა კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად და აიცილონ მისი შედეგები, შედარებით მაღალია 30-44 წლის რესპონდენტებს შორის, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

გამოკითხულთა 31.8%-ს აქვს ბოლო 1 წლის განმავლობაში განხორციელებული მინიმუმ ერთი სამოქალაქო აქტივობა. ირკვევა, რომ ქალების მონაწილეობის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო დასახლების საერთო კრებებში (7.7%), საჯარო შეხვედრებში (7.3%), დასახლების პრობლემების გადაჭრაში (6.6%) და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის განხილვაში (5.3%), და ა.შ.

6.2. ქალების შესაძლებლობების გაძლიერება მცირე მასშტაბის კლიმატგონივრული წარმოების ხელშეწყობის გზით

ხარისხობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მცირე ფერმერული მეურნეობის თუ არასასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობა ქალების შესაძლებლობების გაძლიერების კარგი მაგალითია. მცირე ბიზნესის მფლობელმა რესპონდენტებმა საკუთარი საწარმოების შექმნა ბევრი პრობლემებით დაიწყეს, მაგრამ მათ მოახერხეს მათი წარმატებით მართვა, წარმოებაც გააფართოვეს და სხვა ქალებიც დაასაქმეს. საწარმოების შესაქმნელად და წარმოების დასაწყებად ძალიან მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციებისა და მთავრობის მხარდაჭერა. ქალები ცდილობდნენ, მორგებოდნენ პროექტის მოთხოვნებს, რამაც მათი საწარმოების შექმნა განაპირობა.

> *"ბევრ მცირე ბიზნესს, ღვინის მარნების გარდა, ქალები უძღვებიან. ალბათ იმიტომ, რომ უფრო დაკვირვებულები ვართ, არ ვართ ზარმაცები და ექსპერიმენტების არ გვეშინია".*
>
> *– მეწარმე ქალი*

ეს ქალები სხვების წარმატების მაგალითებით იყვნენ შთაგონებული და ახლა მათ, გამოცდილების გასაზიარებლად, საკუთარი ბიზნესის დაწყების მსურველი ბევრი ადამიანი უკავშირდება. თუმცა, მათი დაკვირვებით, ქალების ინიციატივების მიმართ ბევრი სკეპტიკურად იყო და არის განწყობილი და მათ ამის გადალახვაც მოუხდათ.

საინტერესოა ქალების მიერ საკუთარ საქმიანობაში ტრადიციული ცოდნის გამოყენება. ისინი ამ ცოდნას ხშირად იყენებენ. თუმცა, ისეთი სახის საქმიანობა, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების გამოყენება, მაგალითად, მცენარეების შეგროვება, გარკვეულწილად მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ.

> *"იყო შემთხვევები, როდესაც ყვავილების დასაკრეფად წავედით და ყვავილები უკვე გაშლილი დაგვხვდა, რადგან წელიწადი უფრო ადრე დაიწყო. ვეღარ დავკრიფეთ. ამინდი ყოველთვის უნდა გადაამოწმო. თუ ადრე დათბება, ყვავილი, რომელიც ადრე ყვავილობს, დროზე ადრე გაიშლება. ყვავილი არ უნდა იყოს კარგად გაშლილი, ის კვირტის მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ ჩაისთვის გამოდგეს. ამიტომ, ჩვენი ბიზნესი ამ პირობებზე ძალიან არის დამოკიდებული ".*
>
> *– მეწარმე ქალი*

გამოკითხულთა აზრით, ქალებისათვის მნიშვნელოვან წინაღობას მცირე ბიზნესის დასაწყებად (მაგ., რეგისტრაციის პროცესი) და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციის არცოდნა (მაგ. სამოგზაურო პლატფორმები ჯავშნების გასაკეთებლად) წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალი. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს იდეები, რომელთა განხორციელებას ისინი ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში ისურვებდნენ. ისინი შესაძლებლობებს ნარჩენების რეციკლირებაში, რესურსების მდგრად გამოყენებაში, ორგანული პროდუქტების წარმოებაში, და სხვ.

6.3. კოოპერატივების გაძლიერება სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალების მედეგობის გასაზრდელად

კოოპერატივები, შესაძლოა, კლიმატის ცვლილების მიმართ სოფლის მეურნეობის მედეგობის გაზრდის კარგი გზა იყოს. რესპონდენტების აზრით, კოოპერატივი ამრავლებს საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ადამიანურ, მიწისა და ფინანსურ რესურსებს, ზრდის მოგებას, აძლიერებს თანამშრომლობასა და შედეგებს, რაც წარმოების გაზრდისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირების შესაძლებლობას წარმოადგენს. გარდა ამისა, ის, წარმოების რამდენიმე ადამიანის ხელში თავმოყრის ნაცვლად, თანაბარი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. კოოპერატივი ასევე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის საშუალებას იძლევა, რაც ქალების ჩართულობის ზრდას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს ის, თუ როგორ უწყობს ხელს კოოპერატივის სტრუქტურა სოფლის მეურნეობაში ჩართულ ქალებს შორის ეკონომიკური და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებისა და უფლებების გაძლიერებას. უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერების შედეგია მეტი თავისუფლება სასოფლო-სამეურნეო მეთოდების დანერგვაში, რესურსებზე წვდომა და ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულება. გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობის გზით კოოპერატივი ხდება არა მხოლოდ კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის გაძლიერების, არამედ სოფლის მეურნეობის სექტორში ქალების როლისა და გავლენის გაზრდის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა.

> *"კოოპერატივის შექმნის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ინიციატივის დაფინანსების შესაძლებლობა იზრდება."*
>
> *– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამფუძნებელი*

> *"გამოთვლილია, რომ თუ ერთი კულტურას მოგყავს, მინიმალური მოგების მისაღებად ის, სულ მცირე, 20 ჰექტარზე მაინც უნდა გააშენო. და თუ 20 ჰექტარზე ერთი კულტურა მოგყავს, 10-15 ოჯახი მაინც უნდა გაერთიანდეს, რომ მათი საერთო საქმიანობა მომგებიანი იყოს."*
>
> *– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამფუძნებელი*

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, თავისთავად კოოპერატივის დაარსება იმდენად რთული არ არის, როგორც წევრების შეგროვება, მათი ნდობის მოპოვება და დარწმუნება: „4 თვე დავდიოდი სოფელ-სოფელში იმისათვის, რომ ხალხი კოოპერატივში გაწევრიანებაზე დამეთანხმებინა. შენატანი უნდა იყოს მინიმალური - 10 ლარი", - განაცხადა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამფუძნებელმა. თუმცა, ამავე დროს ჩანს, რომ კოოპერატივების მუშაობაში ქალები უფრო აქტიურები არიან და სამომავლო გეგმებზეც საუბრობენ.

საერთო საქმის წამოწყების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მათ მიაჩნიათ, რომ ეს გადაწყვეტილება ეფექტიანი იყო: „ერთად მუშაობაზე უკეთესი რა უნდა იყოს? გუშინ ერთად 20.000 ნერგი დავრგეთ. ამდენს მარტო ერთ თვეშიც ვერ დავრგავდი" - ამბობს სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამფუძნებელი.

ეს განცხადება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში თანამშრომლობის არსს ემთხვევა. ის ასახავს ერთობლივი ძალისხმევის ტრანსფორმაციულ ძალას და იმას, თუ როგორ შეიძლება ამ გზით ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლების დამოუკიდებლად მუშაობის შემთხვევაში შეიძლება შეუსრულებადი ჩანდეს. შედეგები კოლექტიური მუშაობის თაობაზე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების

ეფექტიანობაზე მეტყველებს. ამ წარმატებას სარგებელი მოაქვს არ მხოლოდ კოოპერატივების წევრებისათვის, არამედ წარმოაჩენს კოლექტიური შრომის მოდელს, როგორც საერთო გამოწვევების დაძლევისა და კოლექტიური მიზნების მიღწევის საშუალებას.

6.4. კლიმატის აქტივიზმის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ სივრცეებზე უფლების აღდგენა

"სამწუხაროდ, როცა რაღაცას ეჩვევი, გგონია, რომ ასე უნდა იყოს," - ამბობს გარემოს დამცველი რესპონდენტი. თუმცა, აქტივიზმის გზით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება იმ ქალებისათვის, რომლებმაც არ იციან სად წაიყვანონ საკუთარი შვილები; ბუნებისთვის, რომელიც განდევნილია ურბანული სივრცეებიდან; მიკროკლიმატისთვის და ზოგადად დასახლების სიჯანსაღისთვის. აქტივიზმის საშუალებით შეიძლება მოსახლეობამ დაიბრუნოს საკუთრების უფლება ადგილობრივ გარემოზე და მის დაგეგმარებაზე.

> *"მითხრეს, რომ ეს ადგილი შესწავლილი იყო და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მას არანაირი ღირებულება არ ჰქონდა. მერიაშიც მითხრეს, რომ აქ არანაირი პრობლემა არ არისო. მაგრამ ჩვენ იმდენი რამ გავაკეთეთ, ხალხი მოვიყვანეთ, ჩავატარეთ კვლევა, შევაგროვეთ ვიდეო მასალა..."*
>
> *– გარემოს დამცველი აქტივისტი*

რესპონდენტები და ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ფიქრობენ, რომ საკუთარი აზრის გამოხატვისას, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, განსხვავებული წინაღობები აქვთ, კერძოდ, ქალები მათი ოჯახის წევრი მამაკაცების აზრის გათვალისწინებას ცდილობენ, რადგან საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვამ, შესაძლოა მათთან კონფლიქტი გამოიწვიოს, რის გამოც ისინი ზოგჯერ საჯაროდ საუბრისგან თავს იკავებენ.

აღინიშნა, რომ ქალები ძირითადად გარემოსდაცვით აქტივიზმში არიან ჩართული: „შესაძლოა, ქალებს უფრო მეტად აწუხებთ ეს საკითხი, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ქალებს უნდათ იცოდნენ, სად წაიყვანონ საკუთარი შვილი, რომ ის სახლში მთელი დღის განმავლობაში არ იყოს გამოკეტილი" - ამბობს გარემოს დამცველი რესპონდენტი.

აქტივიზმი შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ პროტესტის ფორმით, არამედ არატრადიციული მეთოდებით და ალტერნატივების ჩვენებით. მათ მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია აქტივიზმში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა. რესპონდენტების აზრით, სამოქალაქო აქტივიზმს ასევე შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკურ სფეროში დაჩაგრული ისეთი ჯგუფების ცნობადობის გაზრდის ფუნქცია, როგორიცაა, მაგალითად, ქვიარ თემი და შშმ პირები. თუმცა აღინიშნა, რომ ისინი მობილიზაციისა და აქტივიზმის გზაზე ბევრ სისტემურ წინაღობას აწყდებიან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთარი ღონისძიებების ჩასატარებლად აქტივისტები ხშირად ბუნებრივ გარემოს იყენებენ, რაც მათთვის პოლიტიკური განცხადებაცაა, „მოქალაქეებისთვის მათზე წვდომის დასაბრუნებლად და ასეთი სივრცეების მნიშვნელობის ხაზგასასმელად, რადგან ასეთი სივრცეები ხშირად დეველოპერების ხელში ვარდება და კომერციულ ფართებად იქცევა, რაც საბოლოოდ ჩაბეტონებით სრულდება" - ამტკიცებს რესპონდენტი. გარდა ამისა, აქტივისტების თქმით, ფიზიკური საზოგადოებრივი სივრცეები, სადაც შესაძლებელია პრობლემებზე საუბარი და მობილიზაცია, სულ უფრო ნაკლები რჩება.

მოყვანილ იქნა საკრებულოს შემოღობილი ტერიტორიისა და აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების იმ დედების პროტესტის მაგალითი, რომლებიც საკუთარი შვილებისათვის აუცილებელი წამლის უფლებისათვის იბრძოდნენ და რომლებიც „საკრებულოს წინ სადღაც ამ ბარიკადებში იყვნენ შეყუჟული". მათი თქმით, პროტესტის გარდა, არსებობს საკუთარი პრობლემების გახმოვანების სხვა შესაძლებლობებიც, მაგალითად, საკრებულოს სხდომაზე ამ საკითხების დაყენება, თუმცა აქტივისტებისთვის ეს შესაძლებლობები ნაკლებად ცნობილია.

6.5. ქალების ტრადიციული ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინება კლიმატის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში

ფოკუს ჯგუფების შეხვედრების დროს ქალების მიერ წარმოთქმულ ფრაზებში საინტერესოდ არის ფორმულირებული მათი აღქმა და დამოკიდებულება ბუნებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად არიან ისინი ბუნებაზე დამოკიდებული და რა ძალა აქვს მათზე ბუნებას. ირკვევა, რომ გარემო ერთდროულად მათ ხელსაც უწყობს და შესაძლებლობებსაც უზღუდავს.

დიაგრამა 14:
ქალების გამონათქვამები, რომლებშიც ასახულია ბუნებასთან მათი დამოკიდებულება და ურთიერთობა

- *არ ვიცი, მოგვცემს თუ არა ბუნება მოსავალს*
- *წყალი არ გვაქვს, მხოლოდ წვიმის იმედზე ვართ*
- *იმდენი სიმინდი არ აგვიღია, რომ გავყიდოთ, ბუნებაც არ დაგვეხმარა*
- *ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, რისიც თქვენ გეშინიათ, რადგან ამ ბუნების შვილები ვართ, აქ ვიზრდებით*
- *ჩვენ უნდა ვისწავლოთ კლიმატის ცვლილების პირობებში ცხოვრება*
- *ბუნებასთან შეგუებით ვიღებთ იმას, რასაც ის გვაძლევს, მის წინააღმდეგ ვერ წავალთ*
- *ჩვენ კლიმატზე ვართ დამოკიდებული.*

კვლევაში მონაწილე ქალების შეხედულებები და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებები გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ცხოვრობენ ეს ქალები - სოფლად თუ ქალაქებში. იმის გამო, რომ სოფლად მცხოვრები ქალების უმეტესობას მიწასა და გარემოსთან უშუალო შეხება აქვს, კლიმატის ცვლილება მათ ორგანიზმსა და ცხოვრებაზე პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს, ამიტომ მათი ცოდნა და გარემოსთან დაკავშირებული გამოცდილება განსხვავებულია. ურბანულ დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებს ბუნებასთან გაუცხოება აღენიშნებათ, ამიტომ ზოგიერთ მონაწილეს გარემოსთან კავშირის დანახვა უჭირს.

საინტერესოა იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოცდილება. ერთი-ერთი რესპონდენტის თქმით, ეს ადამიანები ძირითადად სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებული, „მათ მიწაზე მუშაობა უყვართ“ და ქალაქის ტიპის დასახლებაში ცხოვრება ძალიან გაუჭირდათ. ამიტომ ზოგიერთმა ოჯახმა მიწა იყიდა და ისევ სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი.

ქალების ცოდნა და უნარები ასევე მნიშვნელოვანია კულტურული ტრადიციების, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მეთოდებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად. ქალებმა აღნიშნეს, რომ ისინი ტყეში სხვადასხვა მცენარეს, კენკრას, სოკოს აგროვებენ, რაც მათი ოჯახების სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას უწყობს ხელს. ზოგიერთი ოჯახისთვის ეს მათი კომერციული საქმიანობის ნაწილია. ისინი ამ პროდუქტებს ყიდიან ან საოჯახო ტიპის სასტუმროებში იყენებენ. ეს პროდუქტები სამკურნალო დანიშნულებით და ტრადიციული კერძების მოსამზადებლად გამოიყენება. თუმცა, მათი თქმით, კლიმატის ცვლილება ამ რესურსებზეც აისახება. ისინი ამზადებენ საპონს, სვანურ მარილს, ჩაის, თაფლს, შალის ტანსაცმელს, და სხვ.; იციან კერვა, ტრადიციული ხელსაქმე, ტრადიციული წესით ყველის წარმოება და ა.შ. მათ აღნიშნეს, რომ ისინი თანამედროვე კერძებს ძველი რეცეპტებით აახლებენ, რაც სხვადასხვა ადგილობრივი სანელებლებისა და მცენარეების გამოყენებას გულისხმობს.

გამოიკვეთა ქალების საინტერესო დამოკიდებულება პლანეტისა და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვასა და შენარჩუნებაში საკუთარი როლის შესახებ. მათი აზრით, ქალების, როგორც მომავალი თაობის დედების, ჯანმრთელობა მთელი ამ ორგანიზმის ფუნქციონირების გარანტიაა, რისთვისაც აუცილებელია ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება, ნარჩენების მართვა და გარემოში ტოქსიკური ნივთიერებების შემცირება.

> “ქალი ჯანმრთელ შვილს როგორ გააჩენს, თუ ის დაბინძურებულ წყალს სვამს, დაბინძურებულ საკვებს იღებს და დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს? რასაც ვჭამთ და ვსვამთ, არაფერია ჯანსაღი.”
>
> – მარნეულელი ქალი

დასკვნები

ქალებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის
შეფასება საქართველოში

7

დასკვნები

კლიმატის ცვლილება საქართველოში ქალთა სისტემურ პრობლემებს ამძაფრებს და დამატებით წინაღობებსა და რისკებს ქმნის. ეს არის კრიზისი, რომელიც აძლიერებს უთანასწორობას, აფერხებს სერვისებზე ქალების წვდომას და მათი მოქმედების თავისუფლებას ზღუდავს. კლიმატის ცვლილების მიმართ ქალების მოწყვლადობას სხვადასხვა სოციალური ფაქტორი განაპირობებს. ამიტომ, კლიმატის მიმართ მგრძობელობისა და კლიმატის უსამართლობის გასაგებად აუცილებელია კლიმატით გამოწვეული რისკების ინტერსექციური ანალიზი და კომპლექსური შესწავლა.

ჩვენი კვლევა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალების დამოკიდებულებებსა და საჭიროებებს მოიცავს. ამ მიდგომით შესაძლებელია როგორც საქართველოში მცხოვრები ქალების მოწყვლადობის ზოგადი მიმოხილვა, ასევე კონკრეტული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მგრძნობელობის იდენტიფიცირება. აუცილებელია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კრიზისის მიმართ ქალთა მგრძნობელობისა და მისთვის არასაკმარისი მზადყოფნის გამომწვევი მიზეზების დადგენა.

კლიმატის ცვლილების მიერ ქალებისათვის შექმნილი რისკები დასახლების ტიპისა და კლიმატური ზონის მიხედვით განსხვავებულია. თუმცა, ამ ფაქტორების მიუხედავად, კლიმატის ცვლილებისთვის მზადყოფნისა და მასთან ადაპტაციისათვის გადამწვეტი მნიშვნელობა ქალების შემოსავალსა და ფინანსურ სტაბილურობას აქვს. კვლევის დასკვნები ცხადყოფს, რომ ქალების თითქმის მეოთხედს სტაბილური შემოსავალი არ აქვს, ხოლო სტაბილური შემოსავლის მქონე ქალების დაახლოებით ნახევარი თვეში მაქსიმუმ 400 ლარს იღებს. დარდა ამისა, სხვადასხვა საფრთხის რისკის ზონაში მცხოვრები ქალების ნახევარზე მეტის შემოსავალი 400 ლარს არ აღემატება.

კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს ჯანმრთელობის მდგომარეობაც წარმოადგენს. ქრონიკული და სერიოზული დაავადებები, ისევე როგორც ჯანმრთელობის უმნიშვნელო პრობლემები, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ქალებს აწუხებთ, მათგან უმრავლესობა 45 წელზე უფროსი.

კლიმატის ცვლილების რისკების მიმართ დაუცველობას ასევე განაპირობებს სამუშაოს ტიპი, რომელსაც ქალები ასრულებენ და ის, თუ რამდენად არის დამოკიდებული ეს სამუშაო გარემო პირობებზე. კვლევის თანახმად, სოფლის მეურნეობა, როგორც ქალების დასაქმების სფერო, მოწყვლადია. კლიმატის ცვლილებასთან სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ადაპტაციისთვის საჭირო რესურსებისა და ცოდნის ნაკლებობა, გაძლიერებული საფრთხის მიმართ მოუმზადებლობასა და დამცავი სისტემების არარსებობასთან ერთად, ქალებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამ გამოწვევებს ქალების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ბუნებრივ და საცხოვრებელ გარემოზე და ოჯახისა თუ ინსტიტუტებისაგან სოციალური მხარდაჭერის არარსებობაზე შორსმიმავალი შედეგები ექნება.

ქალები ყველაზე ხშირად ასახლებენ კლიმატის ცვლილების ისეთ შედეგებს, როგორებიცაა გვალვა, სითბური ტალღები, ნიადაგის ეროზია, გაძლიერებული ნალექი, ქარი და სეტყვა, ამინდის სეზონური არასტაბილურობა და ბიომრავალფეროვნების შემცირება. ეს ზემოქმედებები სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობასა და სურსათით უზრუნველყოფაზე, შემოსავალზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მობილობასა და სერვისების ხელმისაწვდომობაზე. გარდა ამისა, მეწყერი, წყალდიდობა და სხვა კატასტროფები ანადგურებს ადამიანების სიცოცხლეს, საცხოვრებელ სახლებს, საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას, და სხვ.

ქალებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია კლიმატის ცვლილების, მისი რისკების და კლიმატის ცვლილებისთვის მზადყოფნისა და მასთან ადაპტაციის მეთოდების შესახებ. გარდა ამისა, მათ სჭირდებათ სათანადო მხარდაჭერა კლიმატის ცვლილების მართვაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისგან. კვლევაში ასევე გამოვლენილია სასარგებლო პრაქტიკა, როგორიცაა ქალების შესაძლებლობების გაძლიერების და კლიმატის დაცვის სტრატეგიები, რომელთა გაძლიერება და შევსება, ქალებისათვის კლიმატის მიმართ უფრო მედეგი მომავლის შექმნის მიზნით, შესაძლებელია სხვა მიდგომებითაც.

კვლევის პროცესში ცხადი გახდა, რომ კლიმატის ცვლილება ხელს უწყობს სიღარიბის გაზრდას, გენდერულ და სოციალურ უთანასწორობას, სურსათის დეფიციტს, აუცილებელ სოციალურ სერვისებზე წვდომის შეზღუდვას და ქალებისა და საზოგადოების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. მიუხედავად ამისა, კლიმატის კანონმდებლობა, სათანადო პოლიტიკა და დამხმარე სისტემები ქალებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესამცირებლად ჯერ არ არსებობს. ეს ბადებს კითხვას იმის შესახებ, არის თუ არა კლიმატის კრიზისი მთავარი პრიორიტეტი სახელმწიფოსა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. კლიმატის კრიზისი აუარესებს საზოგადოების, ქალებისა და ბავშვების ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობას, რაც ხაზს უსვამს მისი გადაჭრის აუცილებლობას. უთანასწორობის დასაძლევად და კლიმატის სამართლიანობის მისაღწევად აუცილებელია ამ გამოწვევების აღიარება და მათი მოგვარება.

ლიტერატურა

1. **Adger WN**. 2006. Vulnerability. Global Environmental Change. 16: 268–281.

2. **Alaimo, S**. 2016. "Climate systems, carbon-heavy masculinity, and feminist exposure." In Exposed: Environmental politics and pleasures in posthuman times, by S. Alaimo, 91-108. London, UK: University of Minnesota Press.

3. **Amorim-Maia, Ana T., Isabelle Anguelovski, Eric Chu, and James Connolly.** 2022. "Intersectional climate justice: A conceptual pathway for bridging adaptation planning, transformative action, and social equity." Urban Climate 41: 1-18.

4. **Arora-Jonsson, S. 2011.** "Virtue and vulnerability: Discourses on women, gender and climate change." Global Environmental Change 21: 744-751.

5. **Arora-Jonsson, S**. 2014. "Forty years of gender research and environmental polity: Where do we stand?" Women's Studies International Forum 47: 295-308.

6. **Asian Development Bank, 2018**. Georgia: Country Gender Assessment, s.l.: s.n.

7. **Asian Development Bank, 2020.** Key Indicators for Asia and the Pacific 2020. URL: http://dx.doi.org/10.22617/FLS200250-3

8. **Asian Development Bank, 2021.** Climate Risk Country Profile: Georgia, https://www.adb.org/sites/default/files/publication/707481/climate-risk-country-profile-georgia.pdf

9. **Babunashvili, G., 2021.** Adopting Car Alternatives: Who Needs Encouragement? Policy Bulletin, https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/PolicyBriefs/PolicyBrief_Transportation_Formatted_12.01.2021.pdf

10. **ბენდელიანი, ნ., ტურქი, პ., ამაშუკელი, მ. და ხეჩუაშვილი, ლ., 2014 წ.** კვლევის ანგარიში: „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში", თბილისი

11. **Briggs, R.A., and George B.R. 2023** What Even is Gender? London: Routledge 1st edition.

12. **Bussmann, R.W., Paniagua Zambrana, N.Y., Sikharulidze, S., Kikvidze, Z., Kikodze, D., Tchelidze, D., Khutsishvili, M., Batsatsashvili, K. and Hart, R.E., 2016.** A comparative ethnobotany of Khevsureti, samtskhe-Javakheti, Tusheti, svaneti, and Racha-Lechkhumi, republic of Georgia (sakartvelo), Caucasus. Journal of Ethnobiology and Ethnomedicine, 12, pp.1-18.

13. **Bussmann RW, Paniagua-Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE., 2017.** Plant and fungal use in Tusheti, Khevsureti, and Pshavi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. Acta Societatis Botanicorum Poloniae 86:3517.

14. **Carastathis, A. 2016.** Intersectionality: Origins, Contestations, Horizons. London: University of Nebraska Press.

15. **Chaladze, G., 2012.** Climate-based model of spatial pattern of the species richness of ants in Georgia, "Journal of Insect Conservation", 16(5), pp. 791–800. https://www.researchgate.net/publication/256088238_Climate-based_model_of_spatial_ pattern_of_the_species_richness_of_ants_in_Georgia

16. **Climate Just, n.d.** Socially vulnerable groups sensitive to climate impacts, https://www.climatejust.org.uk/socially-vulnerable-groups-sensitive-climate-impacts

17. **Collins, P.H., and S. Bilge. 2020.** Intersectionality. Vol. 2nd ed. Polity.

18. **Cote M., and Nightingale A.J. 2012.** Resilience thinking meets social theory: Situating social change in socio-ecological systems (SES) research. Progress in Human Geography. 36: 475–489.

19. **Crenshaw, K. 1989.** "Demarginalizing the intersection of Race and Sex: A Black Feminist Critique of Antidiscrimination Doctrine, Feminist Theory and Antiracist Politics." University of Chicago Legal Forum1989 (1, Article 8).

20. **Cullen, B.T, and Pretes, M. 2000.** The meaning of marginality: interpretations and perceptions in social science. Soc Sci J 37(2):215–229

21. **დევიძე, მ., 2021.** ხილული თუ უხილავი: კლიმატის ცვლილება და სოფლად მცხოვრები ქალების შრომა, https://socialjustice.org.ge/ka/products/khiluli-tu-ukhilavi-klimatis-tsvlileba-da-soflad-mtskhovrebi-kalebis-shroma

22. **Dill, B.T., and Zambrana, R.E. 2009.** Critical Thinking about Inequality: An Emerging Lens. in: Emerging Intersections: Race, Class, and Gender in Theory, Policy, and Practice, edited by Dill, B.T., and Zambrana R.E. Rutgers University Press: pp. 1–21.

23. **Djoudi, H., B. Locatelli, C. Vaast, K. Asher, M. Brockhaus, and B. Basnett Sijapati. 2016.** "Beyond dichotomies: gender and intersecting inequalities in climate change studies." Ambio 45: 248-262.

24. **Elizbarashvili, M., Khardziani, T., Maisuradze, R. and Tatishvili, M., 2018.** Mountain environment and population in Georgia: case study of Upper Svaneti. International Journal of Sustainable Development & World Ecology, 25(4), pp.362-370.

25. **Enarson, E. 1998.** "Through women's eyes: A gendered research agenda for disaster social science." Disasters 22: 157-173.

26. **Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), 2018.** Gender, Agriculture and Rural Development, Gender Country Assessment Series, Rome.

27. **Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), 2020.** Mountain people among the world's hungriest as biodiversity loss and climate change take their toll, https://www.fao.org/news/story/en/item/1363998/icode/

28. **Garcia, Alicea, and Petra Tschakert. 2022.** "Intersectonal subjectivities and climate change adaptation: An attentive analytical approach for examining power, emancipatory processes, and transformation." Transactions of the Institute of British Geographers 47 (3): 651-665.

29. **Gardiner, S. M. 2011.** Climate Justice. Oxford, UK: Oxford University Press.

30. G**lobal Facility for Disaster Risk Reduction and Recovery, 2015.** Tbilisi Disaster Needs Assessment, https://www.gfdrr.org/sites/default/files/publication/pda-2015-tbilisi.pdf

31. **Gonzalez, C.G. 2021.** "Racial capitalism, climate justice, and climate displacement." Onati Socio-Legal Series11 (1): 108-147.

32. **Hajat, S., Kovats, R.S. and Lachowycz, K., 2007.** Heat-related and cold-related deaths in England and Wales: who is at risk?. Occupational and environmental medicine, 64(2), pp.93-100.

33. **Haraway, D. 1991.** Simians, cyborgs, and women. The reinvention of nature. New York: Routledge.

34. **Harris, Paul G. 2019.** A Research Agenda for Climate Justice. Cheltenham, UK: Edward Elgar Publishing Limited.

35. **Hulley, M.E., 2012.** The urban heat island effect: Causes and potential solutions. In Metropolitan sustainability (pp. 79-98). Woodhead Publishing.

36. **Im, E. S., Pal, J. S., & Eltahir, E. A. B., 2017.** Deadly heat waves projected in the densely populated agricultural regions of South Asia. Science Advances, 3(8), 1–8. URL: https://advances.sciencemag.org/content/3/8/e1603322

37. **ჯავახიშვილი, ნ., 2010 წ.** ოჯახური ძალადობის გავრცელება საქართველოში. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში.

38. **Jerneck, Anne. 2018.** "What about Gender in Climate Change? Twelve Feminist Lessons from Development." Sustainability 10 (3): 627-647.

39. **Jost, C., Kyazze, F., Naab, J., Neelormi, S., Kinyangi, J., Zougmore, R., & Nelson, S., 2016.** Understanding gender dimensions of agriculture and climate change in smallholder farming communities. Climate and Development, 8(2), 133-144.

40. **Kaijser, A., and A. Kronsell. 2014.** "Climate change through the lens of intersectionality." Envitonmental Pol-

itics23: 417-433.

41. **Keggenhoff, I., Elizbarashvili, M., Amiri-Farahani, A. and King, L., 2014.** Trends in daily temperature and precipitation extremes over Georgia, 1971–2010. Weather and Climate Extremes, 4, pp. 75–85. URL: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/ S2212094714000334

42. **Khandelwal, Meena; Hill Jr., Matthew E. ; Greenough, Paul; Anthony, Jerry; Quill, Misha; Linderman, Marc; Uduaykumar, H. S. 2017.** World Development. 92: 13-27

43. **კილასონია, გ. 2022.** შშმ პირთა დასაქმების სირთულეები საჯარო სამსახურში: https://gyla.ge/ge/post/shshm-pirta-dasaqmebis-sirtuleebi-sajaro-samsakhurshi?fbclid=IwAR3XnTdpvaDgf8PY4dqbVUEN-KL2ZSlZO1y8ZO2jtXRQMgF359yzdVzKPk1U#sthash.McPV6LsS.DtbpUdFA.dpbs

44. **Kohler, T., Elizbarashvili, N., Meladze, G., Svanadze, D. and Meessen, H., 2017.** The demogeographic crisis in Racha, Georgia: Depopulation in the central Caucasus mountains. Mountain Research and Development, 37(4), pp.415-424.

45. **Lopez-Bueno, J.A., Díaz, J., Sánchez-Guevara, C., Sánchez-Martínez, G., Franco, M., Gullón, P., Peiró, M.N., Valero, I. and Linares, C., 2020.** The impact of heat waves on daily mortality in districts in Madrid: The effect of sociodemographic factors. Environmental research, 190, p.109993.

46. **McKay, L., Jennings, W. and Stoker, G. 2023.** What is the geography of trust? The urban-rural trust gap in global perspective. Political Geography. 102: 1-11.

47. **102863, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG), 2016.** კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი: https://drive.google.com/file/d/1_0cUgVsqwjPAM6SOCIW4YSaaHeIBU3A2/view

48. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 წ.** ხელფასები: https://www.geostat.ge/en/modules/categories/39/wages

49. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020a.** დასაქმება და უმუშევრობა: https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment

50. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020b.** ქალები და მამაკაცები საქართველოში: სტატისტიკური პუბლიკაცია.

51. **Nellemann, C., Verma, R., & Hislop, L., 2011.** Women at the frontline of climate change: Gender risks and hopes: A rapid response assessment. United Nations Environment Program, GRID-Arendal.

52. **ღია საზოგადოება საქართველო, 2019 წ.** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/

53. **Gatzweiler, F.W., and Baumuller H. 2014.** Marginality – A Framework for Analyzing Causal Complexities of Poverty; in Marginality: Addressing the Nexus of Poverty, Exclusion and Ecology. Editors: von Braun J., Gatzweiler, F. London: Springer

54. **გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, 2022.** ანგარიში ქალებისა და გოგონებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, წყალი, ინტერნეტი) ხელმისაწვდომობის შესახებ, https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/infrastruqtura/angarishi-qalebi-infr-2022.pdf

55. **Kurdadze M., Durglishvili N., Kechakmadze V., 2020.** Gendered Perceptions of Climate Change in Tbilisi, Georgia, Horizonti 2020

56. **Palermo T, Bleck J, Peterman A.** Tip of the iceberg: reporting and gender-based violence in developing countries. Am J Epidemiol. 2014 Mar 1;179(5):602-12.

57. **საქართველოს პარლამენტი 2023 წ.** Parliament.ge https://parliament.ge/en

58. **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2016 წ.** ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჭრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება

59. **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2019 წ.** სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები: ეროვნული შეფასება

60. **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2019 წ.** უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში), სპეციალური ანგარიში, https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040113594483544.pdf

61. **საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წ.** ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

62. **საქართველოს სახალხო დამცველი, 2022 წ.** ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

63. **Ravera, Federica, Berta Martín-López, Unai Pascual, and Adam Drucker. 2016.** "The diversity of gendered adaptation strategies to climate change of Indian farmers: A feminist intersectional approach." Ambio 45 (3): 335-351.

64. **Resilience Office of Tbilisi City Hall, 2019.** Resilient Tbilisi: A Strategy for 2030, https://resilientcitiesnetwork.org/downloadable_resources/Network/Tbilisi_Resilience-Strategy-English.pdf

65. **Rocheleau, D.E., B. Thomas-Slayter, and E. Wangari. 1996.** "Gender and environment: A feminist political ecology perspective." In Feminist political ecology: Global issues and local experiences, by D.E. Rocheleau, B. Thomas-Slayter and E. Wangari, 3-26. London: Routledge.

66. **საფარი, 2017.** „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი", თბილისი.

67. **Shue, H. 2014.** Climate Justice: Vulnerability and Protection. Oxford, UK: Oxford University Press.

68. **სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021 წ.** ეთნიკური უმცირესობებისათვუს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება: https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebistvis-politikur-tskhovrebashi-monatsileoba-kvlav-mnishvnelovan-ga-motsvevad-rcheba. 20.09.2023

69. **სოლიდარობის თემი. 2022 წ.** თავსაფარი მუსლიმი ქალების ყოველდღიურობაში: https://solidaritycommunity.ge/tavsaphrianimuslimebikvlevasc/?fbclid=IwAR0Kye599pR7j9jUEYEuEKevA69tqquKOhCRm635_AttT0gLFkgDvtSvcCs

70. **Sparke, M., and D. Bessner. 2019.** "Reaction, resilience, and the trumpist behemoth: Environmental risk management from "hoax" to technique of domination." Annals of the American Association of Geographers 109: 533-544.

71. **Sosnovcová, B.K., 2020.** Contribution of subsistence farming and Local Ecological Practice to the mountain livelihoods in the Georgian Greater Caucasus.

72. **Sultana, Farhana. 2022.** "Critical Climate Justice." The Geographical Journal 188 (1): 118-124.

73. **ნ.მ. ტაბიძე და მ.ქოჩლაძე, 2021 წ.** გენდერული თანასწორობა და გარემოსდაცვითი სამართლიანობა, https://www.womenfundgeorgia.org/Files/GEO%20FINAL%20.pdf

74. **Tsiklauri M., 2016.** Gender in Georgian Secondary Education, Adam Mickiewicz University in Poznan, Poland

75. **Tschakert P, and Tuana N. 2013.** Situated resilience: Reframing vulnerability and security in the context of climate change. In: Dugard J, St Clair AL, Gloppen S, editors. Climate talk: Rights, poverty and justice. Cape Town: Juta and Company; pp. 75–96

76. **Tevzadze, G. and Kikvidze, Z., 2016.** Ethno-ecological contexts of the Skhalta Gorge and the Upper Svaneti (Georgia, the Caucasus). Journal of Political Ecology, 23(1), pp.246-262.

77. **Theissen, T., Aurbacher, J., Bedoshvili, D., Felix-Henningsen, P., Hanauer, T., Hüller, S., Kalandadze, B., Leonhäuser, I.U., Magiera, A., Otte, A. and Shavgulidze, R., 2019.** Environmental and socio-economic resources at the landscape level–Potentials for sustainable land use in the Georgian Greater Caucasus. Journal of environmental management, 232, pp.310-320.

78. **Thompson-Hall, Mary, Edward R. Carr, and Unai Pascual. 2016.** "Enhancing and expanding intersectional

research for climate change adaptation in agrarian settings." Ambio 45 (Suppl. 3): 373-382.

79. **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2021a.** საქართველოს-მეოთხე-ეროვნული-შეტყობინება-კლიმატის-ცვლილების-შესახებ-გაეროს-ჩარჩო-კონვენციისადმი, https://www.undp.org/ka/georgia/publications/საქართველოს-მეოთხე-ეროვნული-შეტყობინება-კლიმატის-ცვლილების-შესახებ-გაეროს-ჩარჩო-კონვენციისადმი

80. **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2021b,** საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება - მეორე ტალღა, თბილისი

81. **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2022a**. სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში: 2020 და 2021 წლის არჩევნების პრაქტიკა. თბილისი

82. **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2022b.** ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_par_enthic-minorities-in-public-service_2022_geo.pdf

83. **UNFCCC, n.d.** Introduction to Gender and Climate Change, https://unfccc.int/gender

84. **UNFCCC, 2018.** Considerations regarding vulnerable groups, communities and ecosystems in the context of the national adaptation plans, Least Developed Countries Expert Group, URL: https://unfccc.int/sites/default/files/resource/Considerations%20regarding%20vulnerable.pdf

85. **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2017.** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა

86. **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2018a.** სომხეთისა და საქართველოს შრომის ბაზრის რეგულაციების გენდერული ანალიზი, თბილისი

87. **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2018b.** სომხეთისა და საქართველოს შრომის ბაზრის რეგულაციების გენდერული ანალიზი, თბილისი

88. **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2020a.** ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი - საქართველო, თბილისი: UN Women.

89. **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2020b.** საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, თბილისი: UN Women.

90. **მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2018 წ..** საქართველო: რეფორმატორიდან შემსრულებლამდე - სისტემატური დიაგნოსტიკური კვლევა

91. **Walby, S. 1989.** Theorising Patriarchy. Sociology, vol. 23, no. 2, pp. 213–34.

92. **Walker B, Holling CS, Carpenter SR, Kinzig A. 2004.** Resilience, adaptability and transformability in social-ecological systems. Ecology and Society. 9:2.

93. **World Health Organization (WHO). 2014.** Gender, Climate Change and Health. Geneva, Switzerland: World Health Organization.

94. **Zuurbier, M., van Loenhout, J.A.F., le Grand, A., Greven, F., Duijm, F. and Hoek, G., 2021.** Street temperature and building characteristics as determinants of indoor heat exposure. Science of the Total Environment, 766, p.144-37.

ფოტო: ნათელა გრიგალაშვილი

ქალებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება საქართველოში